№1 (36),
2007 წლის
ზამთარი



ბოტანიკოსებს რომ ჰკითხო – ფესვი მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ორგანოაო, რითაც იგი მიწაშია დამაგრებული და საზრდოს იღებსო; ექიმის აზრით – ფესვი კბილის ის ნაწილია, რომელიც ყბის ძვალშია მოთავსებული.

მათემატიკოსის განმარტებით – ფესვი სიდიდეაო, რომელიც მისი ამა თუ იმ ხარისხში აყვანის დროს იძლევაო ახალ რიცხვს.

აბა, ახლა მე მკითხეთ – ფესვები ჯიშისა და ჯილაგის საწყისია, რომელ-ზედაც შენ – ცოცხალ-ხილვადი ადამიანი დგახარ, ვისაც სულიერებით გკვებავს და მომავალსაც გინათებს, ტკბილ-სახსოვარია ერთგვარი, იმიერში გამაგრებული შენი სიდიადე, ხარისხობრივი სიმრავლით რომ მტკიცდება და ყველა სიმრავლით მოჰოვებულ ნაყოფს ამდიდრებს თავისი ცხოველმყოფ-ლობით, რადგან ოდესმე ისიც ფესვი გახდება და შეუერთდება მარადისობაში დამკვიდრებულ ფესვთა სისტემის კანონზომიერებას.

მე რომ მკითხოთ – ,,ფესვები“ გაზეთ ,,მამულის“ ყოველსეზონური ლიტე-რატურული დანართია. იგი არ არის ტრაფარეტული სახელწოდება, იგი სიმძლავრეა ჩვენი ფესვების, ჩვენი გენის, ქართველობა რომ ჰქვია სახელად. ამ ფესვებმა აქ, დედამიწის მეორე ნახევარსფეროზე ოკეანეთა გამოვლით ამოიყარა. ამოიყარა და განსაკუთრებული სიყვარულით მოეფერა ყველა ჩვენთაგანს და გაგვითბო გულები.

ამიტომ სამშობლოდან წამოსული ლიტერატურული ნამოღვაწარი მა-მულს-მოცილებულთ მამულსავე სულის მაჯისცემას გვაზიარებს და ჩვენც ჩვენსავე გულისნადებს ვუერთებთ საერთო ეროვნულ კულტურას.

ამდენად გაზეთი ,,ფესვები“ (მომავალში ,,ჟურნალი“) დედამიწის წრე-ბრუნვაში მოქმედი სიცოცხლის გაცხადებაა, ჩვენი ერთიანი ძლავრი ხმით რომ იქმნება სამშობლოსთვის საქართველოს წიაღიდან და მის მიღმიდან ერთობლივი ძალისხმევითა და შემოქმედებითი შთაგონებით, რათა ერთად ვადიდოთ დამბადებელი.

საკუთარი თავის მფერი

● დავითოგბას საკითხავი ●

მე უთვისტომო ქართველი უცხოობაში გადახვეწილი, ცხოვრების ავკარგიანობით სამშობლოდაკარგული, ასევე ცხოვრებისავე ავკარგიანობით ბოლომდე ვერშეცნობილი ყმაწვილკაცობის გამო, შენსკენ მოვილტვი დიდო მეფეო იმერამერის (აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა, სხვათა და სხვათა და სხვათა), მეფევ - საქართველოვ, მითისა და რეალობის გზისგასაყარზე ამართულო დიდებულო სახებავ. შენ - მარადისობავ, მე - წამიერება, - აი, ასეთი თვალსაწიერიდან მოგმართავ წმიდა მეფეო დავით აღმაშენებელო - შენ და არა სხვას, ყველაზე დიდებულ ქართველს, იბერთა მოდგმის ერთადერთ თვალის ჩინს უამრავთა შორის, ყველაზე თავმდაბალსა და მომნანიეს... მოგმართავ მე, - უსახელო, შენი უდიდესი მრევლის ნამცეცის ნამცეცი, ჩიტის გადაფრენის მანძილით გაზომილი ჩიტისავე ერთი ფრთის მოქნევის მეათასედი, როდესაც შენ ამ ჩემს პატარა სამყოფელშიც შენი დიდბუნებოვნებით ჩემს უთავეამობას სიკეთით ავსებ.

არავინ მეგულება შენს გარდა, ასე-რიგად სრულმომცველობით რომ შემოვიდეს ჩემი ცხოვრების უხიაგ ლაბირინთებში და გაანათლოს და გაანათოს მისი ყოველი კუნჭული ქართველობით.

შენს წინაშე ქედდადრეკილი ვარ და მოგმართავ... არ გთხოვ, ან კეთილდღეობას, ან გამბედაობას, ან სახელ-დიდებას, ან რაღაც სხვას, ამქვეყნიურ ფუფუნებას რომ ეძახიან, - არ შემოგჩივლებ არაფერს, არც რჩევის სათხოვნელად მოვალ, რჩევისთვის სხვას მივდგები, შენ სხვა ხარ მეფევ-ბატონო, არც მსჯავრის დასაყენებლად გავკადნიერდები შენს წინაშე წარსადგომად, რადგან არ მეშეტები ძვირფასო მეფევ საამისოდ გაგსარჯო... მეზობელმა მეზობელს რომ ზამთარში თოვლი არ ასესხოს, ამისათვის ცა და ქვეყანას ვინ შეაწრიალებს... მეზობელი მეზობელთან - მე და ჩემი ფიქრ-პრობლემები ვართ, ცა და ქვეყანად შენ მეგულები, მეფეო!...

შენც იგივეს იტყვი ალბათ: „რომ მთხოვო კეთილდღეობა, ან სიძლიერე, ან გამბედაობა, ან სახელ-დიდება, ან რაღაც სხვა, ამქვეყნიური ფუფუნება, ვერ შეგისრულებ, რადგან არ გამაჩნია. მე ღმერთი არა ვარ, რომ ვარიგო მსგავსი მოწყალებები, არც ეშმაკეული სული ვარ, საცდუნებელში ჩაგაგდო. მე სული ვარ ღვთის წინაშე მლოცველი. არც შემოჩივლება მჭირდება, ვერ გამაკვირვებ საჩივრებით, იმდენი მინახავს და გამიგონია, და მიტომ. ერთიღა დამრჩენია უფლის წინაშე ვილოცო ყველა გლახაკთათვის. რჩევასაც ვერას მოგცემ, ბრძენი არა ვარ, ერთი ცხოვრებაგამოვლილი სულიერების კუთვნილებაგამხდარი ყოფილი მეფე ვარ, რომელმაც სინანული ვიგალობე ამქვეყნიური. სინანულის მეტს ვერას გასწავლი. რჩევისთვის სხვას მიმართო, გიჯობს, ვიდრე ჩემთან მოხვიდე. მსჯავრსაც ვერ დავაყენებ, წავიდა ჩემი სამართალი მოუსავლეთში და ასეც უნდა ყოფილიყო. რაც ვსაჯე, ის მსაჯეს, ასე იყო, ასეა და ასეც იქნება. მსაჯული ერთადერთია და შეუმცდარი ყველა დროში და ყველა ერში“.

მაგრამ მე მოვსულვარ არა იმისთვის, რომ გაუწყო, მეფევ-ბატონო, რომ „ტაოსკარს მოადგნენო თურქნი“... ან მსგავსი მისთანანი, რომ ქუდზე კაცი დავაყენოთ მამულდედულში. არა, ასეთი რამ აღარ მოხდება ჩვენში, რადგან, -

მენტალიტეტი შეიცვალა ხალხში. აღარ არიან პატრონის მოიმედენი და პატრონის დამცველი ერისკაცები. საკუთარ თავს ძლივს პატრონობენ, ხოლო თუ ვინმე თავგამოდებულია მამულიშვილობის იდეით, ყველაფერი სპეკულაციაა და მეტი არაფერი, რათა ხალხთა მსჯებით კარგად ითამაშონ და ამ თამაშით ალაფი ბლომად მიირგონ თავისად. ახლა ყველაზე პოპულარული გამოთქმა ქართველობაში არის „თავს უშველეთო...“

ვისგან???

ქვეყნის მესვეურთაგან, თანაბარზომიერად უკუმთქმელთაგან, ოპოზიცია რომ ჰქვია სახელად. ორთავე ოხერია ამ ქვეყანაში, ესაა, რომ კეკლუცობენ ხალხის თვალის ასახვევად. მეფე-პატრონის იდეა რახანია შეცვალა რესპუბლიკანმანიამ და კონსტიტუციამ. ღირებულებები შეიცვალა საუკუნეობრივ ჭიდილში. სისხლმა წაახდინა ეპოქა და მთელი მსოფლიო მოიცვა ამ უთავბოლო ღირებულებებმა, რომელიც ათასგზის უფრო მავნებელია, ვიდრე ათასი გულბოროტი ხელმწიფე. კანონები და წესები უზნეობაზეა დაფუძნებული, ამ ქვეყნის მესვეურთა და მათ უკუმთქმელთა საამებლად. კაპიტალზეა მოჭრილი კოდექსი და კონსტიტუცია. ამიტომაა უზნეობა ეპოქა, რომელსაც გავურბივარ. ასევე გაურბოდნენ ამ დამყაყებულ ჭაობერას პოლ გოგენი, არტურ რემბო, ერნესტო ჰემინგუეი, ჩარლი ჩაპლინი... ვერ გაექცნენ საბოლოოდ, რადგან არ იცოდნენ სად გაქცეულიყვნენ. საითაც გაიქცნენ, იქვე წაიქცნენ, რადგან იქ, შორეულ ოკეანაშიც, ყურისძირში - აფრიკის უდაბნოშიც, გაწითლებულ კუბაშიც და ინგლისურ შინაპატიმრობაშიც, ყველგან ეს უხამსი ცივილიზაცია ხვდებოდათ თან. მე კიდევ ამათგან განსხვავებით ყველაზე ორიგინალური გაქცევა მოვახდინე - გავექეცი საკუთარ თავს და შენთან მოვედი -

გაძარცვული;

გაუხეშებული;

გაუპატიურებული;

გაუკულმართებული...

რათა შენს წიაღში დროთა ტრიალის უკუქცევაში, არათუ საშუალო საუკუნეებისა თუ თანამედროვე ცივილიზაციის საკურთხეველზე, არამედ მარადისობის ღირებულებათა შენმიერი გადასახედიდან ვიპოვო ჩემი -

გაძარცული სამოსი;

გაუხეშებული სული;

გაუპატიურებული სინდის-ნამუსი;

გაუკულმართებული ბედ-იღბალი...

საკუთარ თავს გავექეცი, რათა მეპოვა საკუთარი თავი, უფრო მართალი, ვიდრე ვარ და უფრო გულწრფელი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ... ნათქვამია, რომ ისტორიას სხეულები აკეთებს, ხელოვნებას კი თავ-წაცლილი სხეულები. იქნებ ეს ასეც იყოს, მაგრამ სწრაფვა პირველყოფილობისკენ, რაც ვიყავი შენი დროის მისტიურ სამყაროში, რომელიც მითად გადადის ახალ თაობებში შეუცნობადობის გამო, ესაა სწორედ ეს თავდაპირველობა, შენსკენ რომ მაბრუნებინებს მზერას, რადგან მზეა შენი სახება, როგორც წარმართული ხანის მზის ხატება. აღარ არის ის მსოფლგაგება თანამედროვეობაში, რომ გაზღაპრდეს ნებისმიერი ღვაწლი დიდი კაცების. წამი წამს წაება და აფახულდა წამწამებად წამსა და წამსშორის თვალსაწიერი, რადგან ვიწამე გაწამებულმა წამიერების წრთობით გამოწურული სარწმუნოება. და ყველაფერი ეს ეწამა ქრისტესთვის და ამიტომ მე, ჩემს რეალობაში უკმარისობით აღვივსე და ამ უკმარისობით თვალში შესვლა მოვისურვე, ჩინი რომ მისცემოდა სამზერალს...

არადა, ჩემი ადგილსამყოფელი ქვეყანა - ეფემერაა, მოჩვენებით რომ გამოკრთის არარაისად დედამიწის ყოველ კუნჭულში და ამ ქვეყნის მოქალაქეებსაც ასეთსავე მოჩვენებად აქცევს საბოლოო ჯამში.

ვერ დაემალები მას, რადგან იგი შენშია გამჯდარი და ამდენად შენ ხდები ამ მონსტრი ქვეყნის ეპიდემიური დაავადების მატარებელი და გამავრცელებელი, თავად დგაქვს ლოკოკინას ნიჟარასავით ეს დაავადებად ქცეული თავშესაფარი, და თავად ხდები შენს თანამემამულეთათვის მირაჟი. ტატოს წყევლით ვიარე აქამომდის ქვეყნიერებაზე და მეგონა ჩემთვის ითქვა - „საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა-სამშობლო, მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“. არადა, „ჩვენ დამშვიდებისათვის დაბადებული თაობა არ ვიყავით“, - ეს კიდევ ბონაპარტის სინანულია, იქნებ გსმენია.

ერთადერთია მხოლოდ - მე მსურს, ჩემო მეფევ და პატრონო, ავივსო საკუთარი თავით შენი მადლმოსილების წყალობით, რათა ამ პირქუშ დროებაში, ყველაზე ულმობელ დროებაში, არ დავკარგო ის, რასაც ასერიგად ვეძებ. თუ სხვა დროებაში ხმლით მოდიოდნენ, რათა ეროვნული შეგნება დაეკარგა ქართველობას, ახლა არავინ ირჯება საამისოდ, რომ სისხლი დაღვაროს ჩვენს გადასარჯულებლად. აქ ნიადაგში გაიბრჯნა დაავადება, რომელსაც არავინ ებრძვის, რადგან ერის ცენტრალური ნერვული სისტემა მოშლილია, რომელიც უცილობლად გაუმკლავდებოდა ამ მავნებლობას. ხოლო ავადმყოფობას თავადვე ვუღებთ კარს სიხარულით. ადრე თუ გვართმევდნენ, ახლა ჩვენით, ნებაყოფლობით ვართმევთ ჩვენგან ჩვენსავე თავს; ადრე თუ მტერს მდევარი ჰყავდა, ახლა მდევარი აღარად ჩანს და მტერი, არათუ გადამთიელი, ჩვენ გავხდით საკუთარივე თავისა.

ბავშვობაში გუდიანი კაცით რომ გვაშინებდნენ, დავინახეთ მოზრდილებმა, რომ ეს ბავშვური საფრთხობელა წარმოსახვა ყოფილა შიშის დასანერგად. აღარ გვეშინია შიშის, პირიქით ჩავკალით შიშის ინსტიქტი ჩვენში. გავუთამამდით ცხოვრებას და თვითკონტროლი დავკარგეთ. აღარც შინაურის გვეშინია და აღარც გარეულის. მტრის აღარ გვეშინია არა იმიტომ, რომ ძლიერები ვართ, საერთოდ გაქრა მტრის ხატი ჩვენი შემეცნებიდან. თვითდინებას მივენდეთ, ისეთ დინებას, კალაპოტს ჩვენით რომ ვქმნით და ბუნებისა და ღმერთის კანონებსა და კანონიერებას არაფრად ვაგდებთ.

სიფრთხილე შემოგვეცალა თვალსა და ხელს შუა. დავრჩით კი შინაური მოლაყბეების ამარა - მთავრობისტებად და ანტიმთავრობისტებად. აქ არითმეტიკა ასრულებს თავის ფუნქციას, რამეთუ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი მაინც არ იცვლება.

„იგი წავა და სხვა მოვაო“, - გვაიმედებენ. თუ შიში ჩავკალით ჩვენში, იმედები კარგა ხანია აღარ არსებობს ჩვენთვის. რისი იმედი... როცა აღარ არსებობს მოძრაობის მარადიული შინაგანი მოთხოვნა. აი, თურმე რამდენ კარგს გვიკეთებდა თურმე ის გუდიანი კაცი, ბავშვობაში რომ გვაშინებდნენ მშობლები, ბებიები და ბაბუები. რაღაც დიდი ვაკუუმია ჩვენში უამისობით შექმნილი და მე მინდა რაღაც თვითგვემის მაგვარი, რათა ტკივილმა მაინც წარმოშვას ფიქრის მოთხოვნილება. დღეს აღარავინ იტყვის: „ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით, ოღონდ შენ იყავ მეფევ დღეგრძელი...“, დღეს უფრო უპრიანია პირში შესძახონ ქვეყნის საჭეთმპყრობელს - „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო...“. რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ერთი - აღარ არიან თავდადებულები მამულისა და პატრონის; მერე კიდევ - თვით „პატრონი“ არ არის ღირსი, თავი გასწირონ მისთვის და თითოეული ინდივიდი ქვას ქვაზე უგზავნის „პატრონს“ თავისი თავის შემდეგ. ეს უკვე ღვარძლია ერში დაბუდებული „ძლიერთა ამა სოფლისათა“-ს მიმართ, უსამართლობაა ქვეყნად ცივილიზაციით მოტანილი პრეზიდენტებიც და კონსტიტუციებიც. ეპოქას წარმართავს ნაძარცვნაგლეჯი კაპიტალი, ქაღალდად ქცეული ადამიანთა სისხლი და ოფლი, ოქროს ზოდებში ჩაკირული ადამიანთა სევდა ციებ-ცხელებით გამოწვეული და ყალთაბან-ბანდით ბანკების აფიორებში წართმეული უკანასკნელი ლუკმა და თავიანთ აქტივში მითვლილი რამდენის შიშმილი. არაოდა, შიში არა გვაქვსო? - შემეკითხები მრავალმნიშვნელოვნად.

ეს შიში აღარაა, ამას სახელი არ ეწოდება, რადგან შიშის დროს რაღაცას უფრთხი, ამ შემთხვევაში კი იმ სიფრთხილეს უგუნურად თვალწინ ვუტრიალებთ და საშუალებას ვაძლევთ საკუთარი თავი შევაჭმევინოთ. ეტყობა ცუდად გვისწავლია გუდიანი კაცის შიშის გონიერება. უბრალოდ გვეშინოდა, და მეტი არაფერი, და გონებას არ ვაყოლებდით, თუ რატომ გვეშინოდა ან რატომ უნდა გვშინებოდა. ერთია, რომ რაღაცის მიმართ კომპლექსის ჩამოსაყალიბებლად იყენებდნენ ამ ზღაპრულ არარაობას. კომპლექსი მართლაც ჩამოყალიბდა, მაგრამ არასრულფასოვნად და არასრულყოფილების მიმართ. ეს ისაა, დღეს რომ მენტალიტეტი შეიცვალა ადამიანმა: პიროვნება - არსება, ანუ არსებითი სახელი რიცხვით სახელად რომ გადაიქცა (მაგალითად: ვინმე სახელით და გვარით, რიგით რომელიღაც რიცხვად რომ გადაიქცა. ადრე რომ დაესმოდა კითხვა - „ვინ?“ და ახლა კითხვა „მერამდენე?“).

ლამაზია?

გვიხარია?

ვითომ რაა ყველაფერი ეს?

ან შენთან რა ესაქმება ყველაფერ ამას?

არ ვიცი...

და მაინც, ქართველ კაცში შეიცვალა ფსიქიკა, ბუნება. ხატოვნად ვამბობდით „კიდევაც დაიზრდებიან ალვეთს ლეკვები მგლისანიო...“. მგლური ბუნება ვირთხის ბუნებით შეიცვალა, და ეს ჩვენდა სასიკეთოდ, რადგან მგლები დაიხოცნენ დროთა და ეპოქათა განმავლობაში. ხოლო თვითგადარჩენისთვის ზედგამოჭრილი იყო ვირთხის ბუნება, ანუ ქართველმა კაცმა ისწავლა საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა, ყველა ქარტეხილს ამით უმკლავდებოდა და ახლაც უმკლავდება. „ფეხებზე მკიდიაობა“ ისე მყარად შეითვისა ქართულმა ბუნებამ, რომ თვით ქართული აღათის ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი სუფრის აკადემიაც კი ინდიფერენტულობის ყაიდაზე მოაქციეს, და როგორ? -

კრწანისის ომის დროს ვიღუპებოდით როგორც ქვეყანა... ჩვენ ალაზნის ველზე ვქეიფობდით!

დაიქცა ქართული სახელმწიფოებრიობა, ეკლესიებში რუსულად აღემართებოდა წირვა-ლოცვა, ქართული ფრესკები თაბაშირის სქელ ფენაში დამალეს, თანდათანობით ენასაც ვკარგავდით, დედა შვილს თარჯიმანის მეშვეობით

ესაუბრებოდა, გაჩნდა ფენომენი „გიჟ-ვრაცუასი“...

ჩვენ ტფილისის დუქნებში ვქეიფობდით...

ბანკებმა სახლ-კარი წაგვართვეს, ილია მოკლეს, შეიქმნა ქართული პირველი რესპუბლიკა...

ჩვენ მაინც ვქეიფობდით და ფიროსმანს ვპოზიორობდით...

თვითდინებაზე მივუშვით ეს რესპუბლიკა. მე-2 ინტერნაციონალის გერმანელ დელეგატებთან ერთად დროს ვატარებდით და თითი თითზე არ დაგვიკარებია, სამაგიეროდ -

სამაგალითოდ ვქეიფობდით მაშინაც, როცა რუსეთის მე-11 არმია წამოგვადგა თავზე. მერეც და იმის მერეც ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნული მნიშვნელობის კატაკლიზმებისას თავგამოდებით ვქეიფობდით და ფეხებზე გვეკიდა ჩვენს თავს დატეხილი უბედურებანი. ამის ნათელი მაგალითია თბილისის ე.წ. ომი და აფხაზეთის ფატალური ომი.

როგორ რიტორიკულად ჟღერს დიდო მეფეო შენი „სინანულის“ სიტყვები - „ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს...“, ქვეყანა პარანოიამ მოიცვა, მსოფლიო სიგიჟესთან ინტეგრაციამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიიღო. გვკარნახობენ ათას სისულელეს, გვკარნახობენ პოპულისტურ და დემაგოგიურ დოგმებს, ადამიანი და მისი უფლება რაა, თუ არა მოდერნიზებული ჩაგვრა, მარადიული ჩაგვრა დასაბამითგან მოყოლებული დღემდე და დღეის აქეთ უკანასკნელ დღემდე. და რაში გამოიხატება ეს ჩაგვრა?! სწორედ „ადამიანის უფლებებით“ თვალში ნაცრის შეყრაში მდგომარეობს ექსპლუატაცია ერთისა მეორის მიმართ. პარანოია აქ გადამწყვეტ როლს ასრულებს - ატმოსფეროს ქმნის ბოდვითს. ვიღაც იფიქრებს, მართლაც დაცულია ჩემი უფლებებიო, სინამდვილეში არის ერთი აქსიომური ჭეშმარიტება - სადაც არის ჯარი, სატუსაღო და სამსჯავრებელი, სხვა ინსტიტუტებს რომ თავი დავანებოთ, იქ იმთავითვეა დარღვეული ნებისმიერი სუბიექტის უფლებები, რადგან როგორც ერთ-ერთი ანდაზად ქცეული ფრაზა გვამცნობს: „სადაც მთავრდება შენი თავისუფლება, იქ იწყება სხვისი თავისუფლებაო“.

უფლება ერთია და მოვალეობა მეორე, უერთმანეთოდ არ არსებობს კაცთა შორის ურთიერთობა. დეკლარაციებში უმთავრესად უფლებებზეა საუბარი, ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას მოვალეობებზე. ესეც ხომ ჩაგვრის და არასრულფასოვნების ტიპური ნიმუშია... მსოფლიოც ასეთი გამოფიტულია აზროვნებაში, ცალმხრივი და მუკერძოებულია რაღაც მოტივით რაღაცის მიმართ. თამაშიც ტუზ-კოზირის კომპლექსით არის წარმართული.

ბევრი ხარ?!

ძლიერი ხარ?

ცოტა ხარ?!

სუსტი ხარ?!

თუ კოზირში ზიხარ და ხარ დაბალი საფეხურის სათამაშო ობიექტი, არა-კოზირის ფიგურებს შენზე მაღალი რანგისასაც კი გაჭრი, რადგან შენ „კოზირის მასტი“ ხარ, და საკმარისია ეს კოზირი სხვამ გადაიბაროს, შენ იქვე მსხვერპლი ხდები კოზირის მასტად გადაკეთებულის, ადრე რომ ის იყო შენი მსხვერპლი.

ეს არის რესპუბლიკის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა, სიძლიერეც ამ გაგებით ფორმულირდება, „ძალა ერთობაშიაო“ - ნაქურდალ ღერბზე წააწერეს სწორედ და მხოლოდ ტუზ-კოზირის კომპლექსის დედა-აზრით. ანუ: ყველაფერი ეს ნიშნავს იმას, რომ ალეგორიული გაზღაპრებული მოტივიდან გააზრებული იოლად გასაგები გახდება - ადრე თუ ლომი მეფობდა, ახლა ერთბაშად ტურებისა და აფთრების ხროვა განაგებს სამწყსოს. ირონიაა ეს ყველაფერი შავი იუმორის ნიმუშისთვის გამოსადეგი, რადგან სიძლიერის გაგება არათუ მკლავში, ან გონებაში გამოიხატება, არამედ გაუფასურებული ანდაზის შინაარსში - ერთობაში თავმოყრილ ძალაში. ძალაა და არა აზრადაყოლებული მოქმედება, ინსტიქტია და არა თვითშეგნება.

საჭიროა ძალა?!

დაურიდებლად გამოვიყენებთ ყველას მიმართ.

ამისათვის სახელმწიფოებრივ დოქტრინად ჩამოყალიბდა და მოქმედებს მთელი ქვეყნის გაუზრდელება, ყველაზე უკეთ ამას ახალგაზრდობაში ახერხებენ და ადრე თუ გვიან მიიღებენ უზრდელ ერს საბოლოო ჯამში და საქართველოში დადგება (მთელი სითამამით შემიძლია ვთქვა და მეტყველებაში შემოვიტანო ახალი ტერმინი - მ.კ.) „უზრდელიზმის ეპოქა“.

და ამ ფონზე როგორ სევდიან ელფერს იღებს იგი ამ შეფერილობაში და ატმოსფეროში -

„სხვამან მიიღოს სკიპტრაი...“ - რაოდენ სავალალოა, და ვინ!!!

„სხვასა შეუდგნენ სპანი...“ - როგორი დასანანია, და ვის; ან თუნდაც ვინ!!!

ისევ და ისევ დავუბრუნდები ნათქვამს - ტურები და აფთრები გამხდარან მასების მესაჭენი. ზნეობრივი გმირის გაგებაც ამ თარგზეა მოჭრილი. უზრდელობით თავგამოდებული უმწიფარაა დღეს მასიურად თაყვანისცემის ობიექტი. ერთი რამ უნდა განისაზღვროს აქედან გამომდინარე, რათა უზრდელობის ხარისხი დადგინდეს: უზრდელობენ მაშინ, როცა უზრდელობა არის საჭირო, ან უზრდელობა არის აუცილებელი, ან უზრდელობა არ არის არც საჭირო და აუცილებელი რომელიღაც კონკრეტულ მომენტში. საერთოდ, ზოგადი ეთიკის თავისეული ნორმების დასამკვიდრებლად მასა უმთავრესად მისდევს უზრდელობის მესამე ყველაზე აგრესიულ და საშიშ ფორმას.

სხვა საქმეა, როდესაც ამ თვისების გამოვლინება რაღაც მიზნისთვის ან საჭიროა, ან აუცილებელი, ან ორივე ერთად, რადგან ზნეობრივ კოდექსში ჩაუწერეს და თავშიც ჩაუბეჭდეს „მიზანი ამართლებს საშუალებასო...“. ამდენად მაღალი რანგის ავანტიურისტებისათვის უზრდელობა ნიღაბია, ობივატელისათვის კი სისხლსა და ხორცშია გამჯდარი იგი. რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს ობივატელი ახალგაზრდა თაობაა, ჩემი თანატოლი თუ უმცროსი ძმები და დები. საზოგადოებრივი აზრიც მათ სასარგებლოდ ტრიალებს.

საზოგადოებრივ აზრს ვამბობ, მაგრამ რას ნიშნავს საზოგადოება და მერე მისი აზრი, ან სად გააჩნია საზოგადოებას აზრი?!

საზოგადოება ხომ საყოველთაო აღწერით ანუ საბოლოო ჯამში ინვენტარიზაციით შეკრებილი მთლიანობის ვიღაცისთვის და რაღაცისთვის სასურველი ნაკრებია, რომელსაც ინვენტარიზებული მსოფმხედველობრივი მენტალიტეტიდან გამომდინარე, აზრიც ზომა-წონით „ჯერთებული“ სიმჭიდროვით გამოიხატება, პარანოია რომ თამაშობს მთავარ როლს ამ აზრის ჩამოყალიბებასა და გადმოცემაში. ამასაც რაღაც შიზოფრენიით გამოწვეული გამოხატვის ხერხები გააჩნია. ესეც კი ფარსია ერთგვარი და ამიტომ არ შეიძლება საზოგადოებას გააჩნდეს აზრი.

აზრი თუა, ის ინდივიდუალური გონების გამოხატულებაა, და არა კოლექტიურის. სასაცილოც კია ასეთ აზრზე დაყრდნობა და მითუმეტეს სამოქმედო რჩევა-დარიგებად მიღება მისი.

ყბადაღებული თავისუფლების იდეაც ასეთივე უნიჭო პროპაგანდის ნაყოფია. რაა თავისუფლება, თუ არა სიყალბე, პოლიტიკური სიყალბე, მაშინ, როცა ეს თავისუფლება რეალური და არა მირაჟი, წარსულს ჩაბარდა. პროვინციებიც დაუპირისპირდნენ მეტროპოლიას, რადგან თავკერძოებამ და ამპარტავნებამ თავი გადააჭამა მთელს დანარჩენ ნაწილს ერისას. თავისუფლებამ უპირველეს ყოვლისა გაათავისუფლა წნეხისა და ცენზურისაგან ადამიანის სხეული და უმიწო ქალაქში უსხეულო და უბედო კულტურით დახლზე დაიდო იგი ლამაზი თუ ულამაზო, თვალმა საზომი ერთეულებით გაზომა გაშიშვლებული სხეულის უბედობა, კულტურად რომ ითვლება და შრომისა და კაპიტალის შეჭიდება სიამოვნებით თანხვდა ერთმანეთს ამ სიშიშვლეში.

უცნაური არა?!

იქნებ სასიამოვნოც...

ან საძაგელი...

და ყველაფრის მიუხედავად, მე მაინც სხეულში ვაფასებ სიგრძესაც, სიგანესაც და უმთავრესად სიღრმეს. ეს უკანასკნელი უგულებელყოფილია თანამედროვეთა მიერ და მხოლოდ სიგრძე-სიგანით საზღვრავენ ხალხს, პოპულარობასაც მხოლოდ ამ კრიტერიუმებით ანიჭებენ ამა თუ იმ ადამიანს, თითქოს რაღაც დიდი მოვლენაა ეს პიროვნება, ტელე-რადიო-პრესა გამუდმებით ბეჭდავს მათ სურათებს შიშველს თუ შემოსილს, ეკითხებიან თუ რას ჭამს, სვამს, იცვამს, ვისთან იმოსება და ვისთან იხდის. არანაირი სიღრმე არც კითხვაში, არც რეკლამაში, ბუნებრივია არც პასუხში. უბრალოდ პიროვნება, დღეს რომ სადღაც პოდიუმზე წარმატებებს აღწევს ტანსაცმელთა ჩვენებით ან სცენაზე კომპიუტერული მეთოდით სიმღერით, საბოლოოდ სიღრმეში არაფერი არ არის, გარდა უპიროვნობისა.

უსხეულო უკულტურო კულტურამ მხოლოდ ფოტოგრაფირებული ხიბლი დატოვა მისგან და იგი დეკორაციაა მხოლოდ. არადა, ამბობენ და გაჰყვირიან ფემინისტურ იდეებს. და საბოლოო ჯამში მამაკაცი ქალს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ავხორცი ვნების დასაკმაყოფილებლად იყენებს. ხოლო ეს მამაკაცი ისაა, რაც ზემოთ აღვნიშნე: - საზოგადოებრივი აზრის ერთი პატარა ნაკაწრი.

თვალი კი ხარბია და როგორც იტყვიან - „თვალი ჭამს და თვალი სვამს“.

და ბოლოს:

თეატრალიზებული ესთეტიკის თვალსაზრისით ცხოვრების იმპულსი იჩქარის აპოკალიპსიურ ქალაქისაკენ და დიდი სიამოვნებით ელის წარმოდგენად წარმოსახულ ორთაბრძოლას; მე კიდევ, დიდო და საამაყო წინაპარო და მეფეო, შენს წინაშე წარვსდექი, რათა პირველყოვლისა შენი დიდბუნებოვნებით, სიწმიდით, ქართველობით საკუთარი თავი ვიპოვო ჭეშმარიტი,და არა ნიღაბი საკუთარი თავისა, რაც ჩემზე უკვე ბევრია მორგებული. ის სახისმეტყველება, რაც ერთადერთია, ყველაზე ლამაზი და მიმზიდველია, რადგან ღვთის ხატის ნაწილია იგი.

და მერე კიდევ ერთადერთი, რისთვისაც მოგმართავ, მეფევ-ბატონო, მსურს მადლი შემოგწირო, მე რომ დღეს ქართველი ვარ და მაწუხებს ეს ერა და ცივილიზაცია, და ვსაუბრობ ქართულად, და შენი სახება არის, რომ მოგმართო.

იქ, საქართველოშიც ყველასთვის ზნემრთელი მაგალითი ხარ, მაგრამ ჩემთვის, აქ, უფრო საჭირო და აუცილებელი ხარ, და ჩემსავით სხვა ემიგრანტთათვისაც, რათა უფრო მტკიცენი ვიყოთ რწმენაშიც და ქართველობაშიც.

... და მაინც არ ვიცი, რა მინდა!

მანუჩარ კაჭახიძე

«ნატვრის ხის» ტრაგიკული პერსონაჟი

დალი ფანჯიკიძე:

საოცარია ლიტერატურული პერსონაჟის ფილმის პერსონაჟად გადაქცევის პროცესი. ლიტერატურული პერსონაჟი, თუ იგი დიდი მწერლის კალმით არის შექმნილი, იმდენი სახით შეიძლება არსებობდეს, რამდენიც ეყოლება ჭეშმარიტი მკითხველი, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება მანამდე არც აცნობიერებდეს თავის წარმოდგენაში არსებულ პერსონაჟს, სანამ იგი სცენაზე ან ეკრანზე არ მოევლინება. მაშინ იგი ან დაემთხვევა მის წარმოდგენას, ან მისთვის მიუღებელი აღმოჩნდება ხოლმე. თავის მხრივ ეკრანული ან სცენური სახე რეჟისორისა და მსახიობის ერთობლივი შრომის ნაყოფია, ფაქტიურად ისინი გვევლინებიან კრებითი მკითხველის როლში და ამა თუ იმ პერსონაჟის თავიანთ ვარიანტს გვთავაზობენ. ამ მიზნის მისაღწევად მათ უწევთ მწერლისეული აქცენტების გადანაწილება ან თავმოყრა, რათა ეკრანულმა სახემ გამოკვეთილი კონტურები შეიძინოს — გახდეს დრამატული, ტრაგიკული, კომიკური და ა.შ. ცხადია, საქმე უფრო რთულდება, როცა ლიტერატურული პერსონაჟი ერთ ყალიბში ვერ თავსდება, მაგალითად: არის ტრაგი-კომიკური, როგორც გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი ნოველის გმირის ფუფალას სახეა. ტრაგი-კომიკურობა მჟღავნდება ფუფალას გარეგნობაში, ჩაცმულობაში, მეტყველებაში, პერსონაჟისადმი ავტორის და ხალხის (ანუ სოფლის) დამოკიდებულებაში და მისი განსახიერება მსახიობისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. საკმარისია ერთი გაუაზრებელი ჟესტი, ერთი მცდარი მიმიკა, მიხრა-მოხრასა და მეტყველებაში ზედმეტი შტრიხის ან ინტონაციის შეტანა, რომ ფუფალას სახე სოფლის სამასხარაო ერთ ჩვეულებრივ პერსონაჟად იქცეს, როგორც მრავლად გვინახავს ქართულ სცენაზე თუ ეკრანზე. სოფელი ერთობა, დასცინის ფუფალასნაირებს, თუმცა ზოგჯერ ისინი თავს თვითონვე იმასხარავებენ, აჰყვებიან ხოლმე სოფელს მასხარაობაში (პრინციპში, ესეც ერთგვარი თავდაცვის ინსტინქტია), რადგან სოფელზე არიან დამოკიდებული და მისგან გადმოგდებულ ლუკმას სხვაგვარად ვერ მოიპოვებენ. მაგრამ არსებობს ასეთი ადამიანების სხვა კატეგორიაც: მათ აქვთ ფარული სიამაყე, ღირსება და თავმოყვარეობა, ისინი ხშირად ზნეობრივად მაღლა დგანან იმ საზოგადოებაზე, რომელიც მათ გონებასუსტად თვლის, სინამდვილეში ისინი თავს არც უყადრებენ სოფელს და სოფელიც გულის სიღრმეში მათ პატივს სცემს. ასეთი ტიპაჟია ფუფალა გენიალური ფილმის ავტორის თენგიზ აბულაძისათვის და იგი, ბუნებრივია, მსახიობისგანაც შესაბამის არატრაფარეტულ ხერხებს მოითხოვს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის თამაში ტრაგიკულისა და კომიკურის ზღვარზე, სადაც კომიზმი ნელ-ნელა უკან იხევს, ტრაგიზმი კი თანდათან გროვდება, იძაბება, მძიმდება და კულმინაციას ფინალში აღწევს. ფინალამდე დიდი და ძნელი გზაა გასავლელი და საინტერესოა, როგორ გადის ამ გზას სოფიკო ჭიაურელი.

ჩავიხედოთ პირველწყაროში და ვნახოთ, როგორ აღწერს ფუფალას პირველ გამოჩენას გიორგი ლეონიძე: «გზაზე გამოჩნდა მარტოდმარტო ბერიქალა, შესაფერისად ეცვა სხვა და სხვა მხიარული, ჭყეტელა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა. ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი ჭრელი ბოხჩა. ძველმოდური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის დაგლეჯილი მაღალქუსლიანი ჩაღილული ყელიანი ფეხსაცმელი, მომტვრეული, შუაზე გადაჩეხილი ქუსლი ძალზე აწვალებდა. მოქანცული, შეოფლიანებული გმინავდა შეწუხებული ცალკე სიცხით, ცალკე უხერხული ფეხსაცმლით, ცალკე თავისი მწარე ბედით!»

ეკრანული ფუფალა მხოლოდ ჩაცმულობითა და «აღჭურვილობით» ჰგავს ლიტერატურულ პროტოტიპს. იგი არც მოქანცულია და არც ოფლშია გახვითქული, პირიქით, სოფიკო ჭიაურელის ფუფალა გრაციოზულად მოირხევა მტვრიან ბილიკზე, ღიღინებს კიდეც, სასაცილოა მისი ჩაცმულობა, დახეული ქოლგა, ქუსლმოქცეული ფეხსაცმელი, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, იგი გამოჩენისთანავე თანაგრძნობას იწვევს, ამის მიზეზი კი ისაა, რომ მსახიობი ასხივებს ერთ მთავარ თვისებას - სიამაყეს, იგი ამ სიამაყეს შინაგანად ატარებს, ესაა სოფიკოს პოზიცია ამ პიროვნებისადმი, დიახ, ფუფალა მისთვის პიროვნებაა და მე მგონი, აქ ძევს ამ როლის სწორად მონახული გასაღები. სოფიკოს არსად, არანარ სიტუაციაში არ ავიწყდება ეს და ამიტომაა, რომ ნორმალურ მყურებელს მის დანახვაზე არ ეცინება, პირიქით, გული ეკუმშება მაშინაც, როცა ფუფალა ბალახებში ზის, ფერუმარილს ითხიპნის სახეზე, მერე კი კიტრიპარია ბიჭისაგან მიწოდებულ კიტრს ჭამს და მაშინაც, როცა თავისავე გამოგონილ საქმროებზე ხმამაღლა მეოცნებე თვალდახუჭულ ფუფალას ხეზე გადმომდგარი ონავარი ბიჭუნა ჭავლს ზედ სახეზე მიუშვებს: ესაა სოფლის უხეში ხუმრობა, რომელიც ღიმილს მოგვგვრიდა, ჩვენს წინაშე სხვა ფუფალა რომ ყოფილიყო.



წყაროსთან თავშეყრილი ქალები უბოროტო დაცინვით ხვდებიან ფუფალას. როგორია ფუფალას რეაქცია? იგი აუჩქარებლად, გრაციოზულად ვდება, თავის განუყრელ ბოხჩას გვერდით დაიდებს, ფაქიზად კეცავს დაგლეჯილ ქოლგას, კაბას ისწორებს და ხედავ, რა დახვეწილია მისი ყოველი მოძრაობა, რა ღირსეულად იფერებს ქათინაურებს: «მართლაც ლამაზი ვიყავი, ალქალას, ოქროქალას, თვალჟუჟუნას მეძახდნენ», - ამბობს ფუფალა, ვითომ წარსულს იხსენებს, მაგრამ ახლაც ლამაზი ჰგონია თავი. განა ამას არ მოწმობს ის სცენა, ფუფალა ჯიბის სარკეში რომ იცქირება და სახეს ფერუმარილით იხატავს?! სოფიკო ჭიაურელი არსად არ გამოდის როლიდან - მის ყოველ ჟესტს, მიხრა-მოხრას, ლაპარაკის მანერას განსაზღვრავს ის შინაგანი პოზიცია, რაც მას აქვს ამ პერსონაჟისადმი შემუშავებული.

წყაროს ეპიზოდში ფუფალას სახეს კიდევ ერთი უსიტყვო სცენა მატებს შთამბეჭდაობას: იგი მარიტას უყურებს, არაფერს ამბობს, არც აღტაცების სიტყვები აღმოხდება, არც რაიმე ჟესტით ამძაფრებს სიტუაციას, აქ მხოლოდ სოფიკოს მეტყველი თვალები «თამაშობს» - მარიტასკენ მიმართულ მზერაში ერთდროულად გამოსჭვივის სიკეთე, ნაღველი, აღტაცება, სინანულიც თავისი გახუნებული ქალობის გამო, მარიტასადმი სიბრალულიც და წინათგრძნობაც, რომ ეს ღვთიური სილამაზე დასაღუპადაა განწირული. იგივე ნაღველი უდგას ფუფალას თვალებში, როცა ეკლესიიდან გამოსულ ჯვარდაწერილ მარიტას უყურებს.

ფუფალა ექიმბაშობს კიდეც, მისი კომიკური რეცეპტი: «ყვავი მოხარშე, ისე რომ ორთქლი არ გამოუვიდეს, მისი წვენი დალიე! მორიელის სისხლი გაახმე და მიიღე! მუხის ხის წყალი, მიმინოს ქონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული ვარდის წყალში ჩააგდეს» თავშეკავებული, სერიოზული, გროტესკს მოკლებული გადმოცემის გამო კვლავ სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვევს, ხოლო მისი «პაციენტის» ქმრის ბუზღუნის გამგონე, ეგ ქალი გააგდე, აქედან მოაშორეო, გაიხსენეთ, რა მორჩილად და ფაქიზად დებს პირისკენ წაღებულ ლუკმას, როგორ უჩუმრად დგება, რა გულნატკენია, რა შეურაცხყოფილი, როგორ მიდის... მისი ყოველი ნაბიჯიდან მარტოსულობისა და მიუსაფრობის გარდა ისევ და ისევ შინაგანი სიამაყე გამოსჭვივის და ყველაფერ ამას ტრაგიკული ფინალისაკენ მივყავართ.

«ნატვრის ხის» ფინალი, სადაც ერთ ფოკუსში იყრის თავს ყოველი პერსონაჟის გავლილი გზა, სადაც საბოლოოდ იკვეთება ფილმის ძირითადი იდეა, არაერთი ბრწყინვალე ეპიზოდითაა გაჯერებული და მითუმეტეს ფასეულია, რომ სოფიკო ჭიაურელის ფინალური სცენა მათ ფონზე გამოირჩევა. აქ ფუფალას ტრაგიზმი კულმინაციას აღწევს, ფილმის სცენარის ავტორებს, რეზო ინანიშვილსა და თენგიზ აბულაძეს, ფინალში მართებულად გამოუტანიათ და სიტყვიერი მასალის სწორი მონტაჟით გაუმძაფრებიათ სულ სხვა გარემოში ჩართული სცენა. ნაწარმოებში იგი მშვიდ გარემოში, წყაროსთან სალაღობოდ თავმოყრილი ქალების თვალწინ თამაშდება. ფუფალა იქ ეკედრება ერთ-ერთ გლეხის ქალს სიკვდილის შემდეგ დაიტიროს იგი, ფინალში კი საოცრად დაძაბულ სიტუაციაში, სადაც არამიწიერი გუგუნი ისმის და სახეგაქვავებული ადამიანები ვირზე უკუღმა შესმულ მარიტას მიაცილებენ, ტალახში გართხმული ფუფალა ერთ ასეთივე გულქვა გლეხის ქალს ფეხებზე ეხვევა და ეკედრება: «ერთი უმფარველო გოგო ვარ, ხომ გამიკითხავ, როცა მოვკვდები... სიტყვა მომეცი, რომ ჩემზე თმას გაიშლი, ჩემზე შავს ჩაიცვამ, ჩემს კუბოზე დაახლი თავს!» ტრაგიზმს აძლიერებს გლეხის ქალის პოზა, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს მის მკლავებს, იმიტომ რომ თანაგრძნობის უნარი არ გააჩნია.

ფინალური სცენით იკვრება ფუფალას ეკრანული სახე, დასტურდება მთელი ფილმის მანძილზე წვეთ-წვეთად ნაგროვები ტრაგიკულობის შეგრძნება, რომელსაც სოფიკო ჭიაურელი დიდი მსახიობისათვის დამახასიათებელი ძალითა და ოსტატობით უსვამს საბოლოო წერტილს, მყურებელს კი უჩნდება რწმენა, რომ ფუფალას სახით ქართულ კინოს კიდევ ერთი შედევრი შეემატა.

ეპილოგი

პანაშვიდებზე დგომა მამამ აუკრძალა. მამის არგუმენტი ურყევი იყო: „რა უნდა ათი წლის ბავშვს ბაბუამისის პანაშვიდზე? გასვენებამდე თხუთმეტი წუთით ადრე დადგეს ჩემ გვერდით და ყველაფერი დაამახსოვრდება“.

მამას არავინ შეჰკამათებია. მამიდებმა უხმოდ გადააჭიეს თავები, დედამ თავისებურად ჩაიბუტბუტა, უფროსმა ძმამ კი გამარჯვებული იერით შეხედა და მეასედ უთხრა:

- გასაგებია?!

პირველი პანაშვიდის დღეს დეიდამისმა წაიყვანა თავისთან. მშობლების მოთხოვნით იქ უნდა გაეთია ღამე. მისაღებ ოთახში ბებია იჯდა მაგიდასთან და მაწონს თქვლეფდა. ნიკაპი თეთრი სითხით მოეთხვარა, შავი პურის ნატეხს სრესდა თითებით და პირს აწკლაპუნებდა. დაინახა თუ არა, აჩლიფინდა:

- რაო ბაბუაშენმა სიკვდილის წინ? არაფერი დამიბარა? ესენი არ მეუბნებიან და შენ მაინც მითხარი. შენ დაგიბარებდა რამეს. ესენი არ უყვარდა. ისე, არც შენ ჰყვარებიხარ. არავინ ჰყვარებია. სულელმა დედაშენმა როგორ იცხოვრა იმ სახლში ოცი წელიწადი? სამჯერ ვნახე ბაბუაშენი სულ და ათასჯერ დამესიზმრა. ეშმაკისეული იყო და წაიყვანა კიდეც ეშმაკმა. რა, არ მოგწონს, რასაც ვამბობ? ჯერჯერობით მე მეკუთვნის ეს სახლი..

- კარგი, დედა, რა ესმის ამას! - უთხრა დეიდამ.

- ესმის, ესმის. თუ არა და, დროზე უნდა გაიგოს. ნახე, როგორ მიბღვერს?! ბაბუამისის ასლია ესეც. დედამისს და მამამისს აქ არ მოესვლებათ და რას გამომეცხადა, ნეტავ?

დეიდამ ხელი ჩაავლო მკლავში და სასწრაფოდ სახლში მიაბრუნა. პანაშვიდი ახალი დაწყებული იყო. მამამ ერთხელ შეავლო ამღვრეული თვალები:

- ჯიუტობს სიდედრი? შევიდეს ეს ჩემს ოთახში და ზეგამდე არ დამენახოს. ძმა ამაყად შეჰყურებდა, მამიდებს თავები ჩაეხარათ, დედა დეიდას ეჩურჩულებოდა.

მამის ოთახს უზარმაზარი ყრუ კარი ჰქონდა. იმ კარშიც ატანდა მომსვლელ-წამსვლელთა ხმამაღალი საუბარი. ისმოდა: „ხორცი, ხორცი“... მამა ვიღაცას ამშვიდებდა, ის ვიღაც კი გაუთავებლად იმეორებდა: „ხორცი, ხორცი“... ბოლოს მამამაც თქვა: „ხორცი მთავარია, რომ იცოდეთ“. ის ვიღაც დაშოშმინდა. მერე ნელ-ნელა იკლო ხმებმა. ბოლოს სიჩუმემ დაისადგურა. ოთახში ძმამ შემოყო თავი: - მამა გიხმობს.

კუბოსთან კაცები იდგნენ. მამამ საჩვენებელი თითი დაუქნია, მოდიო. ზურგს უკან ამოუდგა, ხელისგულები მხრებზე დააწყო და კუბოს თავთან დააყენა:

- იდექი ცოტა ხანს. დაგამახსოვრდება.

სამზარეულოდან ქალების ფუსფუსის ხმა გამოდიოდა. მერე შემწვარი ხორცის სუნი დატრიალდა. კაცები გამოცოცხლდნენ. ერთმა ხელები მოიფშვნიტა, მეორემ დაამთქნარა. მამიდებმა და დედამ სამზარეულო კაცებს დაუთმეს. ქალები ლოჯიაში ჩამოსხდნენ და პაპიროსები ჩამოირიგეს.

- რამდენ ხანს იდგები? - მიუახლოვდა ძმა.

მხრები აიჩეჩა. ძმას ეტყობოდა, ლაპარაკის წამოწყების სურვილი რომ კლავდა, მაგრამ თავმოყვარეობა არ აძლევდა უფლებას, პირველს თავად ეთქვა რაიმე. ხან ერთი მხრიდან უტრიალა, ხან - მეორიდან, მოთმინების ფიალა აევსო და თავმოყვარეობა დროებით დაივიწყა:

- ჩემი კლასი იყო პანაშვიდზე, - აქეთ-იქით გააცეცა თვალები და მრავალმნიშვნელოვნად დაამატა, - ისიც მოვიდა.

რომ შეატყო, მისმა განცხადებამ სასურველი ეფექტი ვერ მოახდინა, თავი დახარა, ტუჩები ყურთან მიუტანა, ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი და წასჩურჩულა:

- დამრიგებელი. აი, სურათი რომ გაჩვენე. და რაკი არც ამ სიტყვებმა იმოქმედა, ლამის შეჰყვირა:

- ბოზი როა.

ჯერ კუბოში ბაბუას დახედა, მერე ძმას გაუსწორა მზერა. დიდი კითხვის ნიშნები ედგა თვალებში. ძმა აიმრიზა:

- რა? მაგას არაფერი ესმის ახლა.

შებრუნდა. აღარ უნდოდა ძმის გაოფლილი საულვაშის დანახვა. შებრუნდა და ოთახის ზღურბლზე მოხუცი დაინახა. მოხუცს მშვიდი გამოხედვა ჰქონდა - თითქოს თვალებით იღიმისო.

ქალები წამოიშალნენ. ჯერ მამიდები გადაეხვივნენ მოხუცს, მერე დედამ აკოცა. მამაც გამოვიდა სამზარეულოდან - ქაღალდით იწმენდდა ხელებს.

- აი, ამას ჩემთან ინახავდა ოცდაათი წელიწადი, - მოხუცმა ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფერადი ქაღალდები ამოიღო და მამას გაუწოდა.

- რაა ეს? - მიაჩერდა მამა.

- ობლიგაციები. სჯეროდა, რომ ოდესმე გაუნაღდებდნენ.

მამამ ქაღალდები გამოართვა მოხუცს და როიალის თავსახურზე დაწყო. მამიდებმა და დედამ თვალები გააყოლეს ქაღალდებს.

- სახლში დამცინებენო და ამიტომაც მომბარა მე. მენდობოდა ცხონებული, - ამოიოხრა მოხუცმა.

- სულ გასულელებულა მამაჩემი, - ჩაიცინასავით მამამ.

ყველამ გაიღიმა. მოხუცმაც გაიღიმა და ითხოვა:

- წყალი დამალევინეთ.

მამა მკლავში ჩაფრინდა სტუმარს:

- ვახშამი გვაქვს. სადილობაში გადაგვეზარდა. მოკლედ, წყალს როგორ გაკადრებთ, - და სამზარეულოსკენ წაჩანჩალა.

ქალები ლოჯიას დაუბრუნდნენ. ობლიგაციები როიალის თავსახურზე დარჩა.

ძველი, გაცრეცილი ქაღალდები უხმობდნენ. უხმობდნენ ჩუმად და ჯიუტად. და როგორც კი ლოჯია დაცარიელდა, როიალს მიუახლოვდა, ერთი ქაღალდი გამოაძრო შეკვრას და შარვლის ჯიბეში ჩაიჩურთა. ცოტა ხანში კორიდორი სამზარეულოდან გამოსული ადამიანებით გაივსო. მამა, მამიდები და დედა მოხუცს აცილებდნენ.

- სჯეროდა, რომ გაუნაღდებდნენ, - აქეთ-იქით ირწეოდა მოხუცი, წასასვლელად ემზადებოდა, - მომაწოდე ქუდი.

- როგორი ღვინო მაქვს? - თავმომწონედ იკითხა მამამ.

- დიდებული, ჩემი ბატონო, დიდებული. იცი, რას გეტყვი? სიკვდილის შიშშა შეიძლება თვითმკვლელობამდე მიგიყვანოს კაცი.

- სიკვდილზე ფიქრმაც?

- ეგ ერთი და იგივეა. გამუდმებით არაფერზე არ უნდა იფიქრო. ეს უკვე ფობიაა.

მამა უცნაურ სტუმარს დაემშვიდობა და შუა ოთახში შეაბიჯა:

- აბა, დაგამახსოვრდა? დაიძინე ახლა, გვიანია.

მეორე პანაშვიდის დღეს ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მამის ბრძანებას: „დაეტიე შენ ჩემს ოთახში“, ძმის მოულოდნელი განცხადება მოჰყვა: „მეც იქ შევალ. მომბეზრდა დედამ, დავიღალე“... მამამ თვალები დააბრიალა: - სულ წადი, შვილო. მამიჩემის მამასთან წადი.

- ჩემი კლასი უკვე იყო და... - წამოიკნავლა ძმამ.

მამა წამით ჩაფიქრდა:

- რომელ კლასში ხარ ახლა შენ?

- მეცხრეში.

- უნდა მოვიდე ერთი სკოლაში, დამრიგებელს დაველაპარაკო.

ძმამ დიდი წვალების შემდეგ გადაყლაპა ნერწყვი.

- კაცი ხარ უკვე, გვერდით უნდა დამიდგე, - შეუბღვირა მამამ, - ხვალ შენი ძმაც დადგება.

მომსვლელ-წამსვლელთა ხმები უზარმაზარ ყრუ კარშიც ატანდა. ვიღაცამ მამას ახარა: „გადავრჩით, ხორცი ვიშოვე“. მამამ გაიოცა: „სადა, კაცო?“ იმ ვიღაცამ ამაყად თქვა: „შენი გულისათვის მიწიდან ამოვთხრი, მიწიდან“. მამამ დაამშვიდა: „ნუ შეწუხდები ასე. გადი სამზარეულოში და მოისვენე“.

მერე მომსვლელთა რიცხვმა იკლო. მამა სამზარეულოში შეკრებილებს შეუერთდა. ისინი გამოცოცხლდნენ. ხმაურმა იმატა. ვიღაც ამბობდა: „ხორცი ვიშოვეთ, ხორცი“... ბოლოს მამამ თქვა: ხორცი მართლა მთავარი ყოფილა, რომ იცოდეთ. დავიძინოთ ახლა, ხვალ საქმეა მილიონი.

გასვენებამდე თხუთმეტი წუთით ადრე მამამ გვერდით დაიყენა. მომსვლელები მამას კოცნიდნენ. რამდენიმემ ძმასაც აკოცა. მერე კუბოს გარშემო უვლიდნენ და მამიდებსა და დედას ეხვეოდნენ. ქალებს ყვავილები მოჰქონდათ და ბაბუის მკერდზე აწყობდნენ. ბაბუა აღარ ჩანდა - სხვადასხვა ფერის ყვავილების გორა ფარავდა. მამამ დედას ანიშნა: „მოაშორე ეს ყვავილები“. დედამ წაისისინა: „იყოს, ლამაზია“. მამა წამოწითლდა: „გაგალამაზებ მე შენ“. დედამ ყვავილები ვაზებში ჩაალაგა. მერე ვიღაც კაცმა თქვა: „აბა, ქალებმა დაგვტოვონ“. ქალები ნელ-ნელა წამოიშალნენ. მამიდებმა შუბლზე აკოცეს ბაბუას, დედას არ უკოცნია.

- სასაფლაოზე უნდა ეკოცნათ, - თქვა ვიღაცამ.

- იქაც აკოცებენ, შე კაცო, - დაღლილი მზერა კუბოს შეავლო მამამ, - დაშავდა რამე?

ოთახი ქალებისგან დაიცალა. ვიღაც-ვიღაცებმა ყვავილები გაიტანეს. გატანისას ძირს ეყრებოდათ. მთელი იატაკი ყვავილებით დაიფარა.

- აქ მიტოვებთ ყვავილებს? - გაოცდა მამა.

- ბევრია. სასაფლაოს სამყოფი გატანილია უკვე, - უპასუხა ვიღაცამ.

მამამ ხელი ჩაიქნია, არაფერი უთქვამს.

- აბა! - თქვა ისევ იმ ვიღაცამ და კუბოსთან ექვსი კაცი მივიდა.

წვალებ-წვალებით ასწიეს და სამჯერ მიაჯახუნეს მთავარ კარს. მამას ჩაეღიმა:

- ესე იგი, რა? მე ამ სახლიდან არსად გადამსვლელი არ ვარ და დღეიდან უკვდავი გავხდი?

- რატომ ამბობ მაგას? - დაინტერესდა მეზობლის კაცი.

- სამჯერ მიარტყეს, მეტი კუბო არ გავიდეს ამ ოჯახიდანო.

- არც მასეა საქმე, - თავი გააქნია მეზობლის კაცმა, - აგერ, ჩემი ბიძაშვილი ომში დაგვეკარგა. არც გაგვისვენებია და არც საფლავი გვაქვს. დალპა სადღაც.

- რას მეუბნები, ადამიანო? - შეიშმუშნა მამა, - ეს მეკუთვნის მე შენგან?

- კი, ასე იყო. დღემდე ვეძებთ. გადმოსვენების კომისიაც შევაწუხეთ, მაგრამ ჯერ ხომ უნდა ნახონ.

- აწი რაღას ნახავენ?

- ვერაფერს. არც ჩვენ გვაქვს დიდი იმედი.

- ისე, ომში და უბედურებაში რა მინდა მე? - თავის თავს ჩაეკითხა მამა.

- შენ რა შუაში ხარ, კაცო, ჯვარი გწერია, - ზურგზე ხელი დაარტყა მეზობელმა.

კუბო კიბეზე ჩაჰქონდათ. მამამ ოთახს მოავლო თვალი. როიალის თავსახურზე ობლიგაციების შეკვრა იდო.

- ამას რა ვუყო, ჩავატანო?

- მართლა რომ გაანაღდონ? - გაეცინა ვიღაცას.

- რა უნდა გაანაღდონ, თუ კაცი ხარ. წამოიღე, რამე ხომ უნდა ჩავატანოთ.

საფლავზე მამის გვერდით იდგა. დაინახა, როგორ ასწია დედამ სუდარა და როგორ ჩაუდო ბაბუას პიჯაკის ჯიბეში ობლიგაციების შეკვრა.

- აბა, ქალებო, დაგვტოვეთ, - გამოაცხადა ვიღაცამ.

ქალებმა ცრემლები გადმოყარეს. მამიდები კუბოსთან დაიხარნენ და კიდევ ერთხელ აკოცეს ბაბუას. მამა დედას მიაჩერდა. დედაც გადაეფარა ბაბუას სხეულს და შუბლი დაუსვეა ცრემლით. მამამ კმაყოფილებით დააქნია თავი. ქალები სასაფლაოს გასასვლელისკენ დაიძრნენ. მესაფლავეებმა კუბოს თავსახურის დაჭედება დაიწყეს. აუჩქარებლად, დიდი მონდომებით აჭედებდნენ. უცნაურად ყრუ ხმა ისმოდა - თითქოს საუკუნეების მანძილზე დაგუბებულ სიცარიელეს შხუილით აპობდნენ ლურსმნები. საფლავებს შორის დინჯად მიმავალ ქალებს არც ამ ხმაზე მოუხედავთ. ორი კაცი გათხრილ საფლავში ჩახტა, ოთხმა კუბოს ჩაშვება დაიწყო.

- სურათი დაგვრჩა, - შეწუხდა მამა.

- გავიქცე, მოვიტანო? - იკითხა ვიღაცამ.

- სად უნდა გაიქცე? იყავი ჩუმად, - შუბლი შეკრა მამამ, - მაინც სახლში უნდა წაგვეღო, - და გაღიმებულმა დაამატა, - რომ მოგვეტანა, აქ დავერჩებოდა.

სანამ კუბო ბოლომდე ჩაეშვებოდა, ის ორი კაცი საფლავიდან ამოხტა და ნიჩბები მოიმარჯვა.

- მიდი, მუჭით მიაყარე მიწა, - უთხრა მამამ, მხარზე მოხვია მკლავი და საფლავისკენ მისწია.

მიწა მშრალი იყო, ფხვიერი. სამი მუჭა მიაყარა კუბოს და ხელისგულზე გრამი არ შერჩენია. ნიჩბიანი კაცები გამალებით ირჯებოდნენ. სულ ცოტაც და კუბოს თავსახური სრულიად დაიფარა. მეზობლის კაცმა ღვინო და სანოვაგით სავსე კალათა მოიტანა საიდანღაც და მესაფლავეებს დაუტოვა.

- დავიმახსოვრე, - თავი ასწია და უთხრა მამას.

- ჯერ არ დამთავრებულა, - კისერზე ხელი მოუთათუნა მამამ, - ახლა დარბაზში წავალთ.

დარბაზი ცუდად იყო განათებული და ადამიანების სახეების გარჩევა ჭირდა. იატაკი ცივი იყო, საჭმელი - უგემური. ძმამ მალე მიატოვა მაგიდა და ქუჩაში გავიდა. ძმას გაჰყვა. ქუჩაში მამა და ის მოხუცი იდგნენ, ობლიგაციები რომ მოიტანა.

- აი, ვთქვათ, უმწეო ცხოველები გეცოდება, - უთხრა მამამ მოხუცს და დარბაზიდან გამოყოლებული ბოლოკი მოკბიჩა, - ამიტომაც გყავს ერთი ძაღლი, მერე - მეორე, მესამე. თუ გინდა, კატა იყოს. მთელი სამყაროს ცხოველებს ხომ ვერ მოეფერები? ანუ, მაინც რჩება მილიონობით უმწეო ცხოველი. ადამიანმაც თვითონ უნდა მიხედოს თავს. რომ მოკვდები, ვის ახსოვხარ? რით აიხსნება, რომ ეგოისტები დიდხანს ცოცხლობენ?

- სიკვდილს ახსნა არ აქვს. ან რა ახსნა უნდა ჰქონდეს? ახსნა აქვს წვიმას, თოვლს. მეხუთე კლასში ასწავლიან წვიმის და თოვლის მიზეზებს. ადამიანს ყველაფერი აინტერესებს, ყველაფრის ახსნას ეძებს. რას მიიკრავი ამ სიკვდილთან? თვითონ მოვა, როცა მოინდომებს. ადამიანი ვერ ისვენებს. სიკვდილს ღმერთს უკავშირებს. ეევდრება, ჯერ არაო. რას მიილტვი ღმერთისკენ, ადამიანებთან იყავი და ღმერთი თავად მოვა შენთან. ჭამს იქ ხალხი, სვამს. რა, მერე?! ას მეტრში მამაშენი წევს. მოკლეზე თუ გადახვალ, ოცდაათ მეტრზე მეტი არ იქნება.

- ესე იგი, ადამიანებთან ვიყო?

- კი,თუ იპოვე ადამიანი,- გაიღიმა მოხუცმა, - კარგად მენახე, - ხელი ჩამოართვა მამას და ქუჩას დაუყვა.

მამამ ახლაღა შეამჩნია, მიუახლოვდა და ბოლოკის დარჩენილი ნაწილი მთლიანად ჩაიდო პირში:

- აბა, ყველაფერი დაიმახსოვრე?

ბიჭმა თავი დაუქნია.

- სანამ გაიზრდები, დაგავიწყდება.

ბიჭმა შარვლის ჯიბეში ობლიგაციას მაგრად მოუჭირა ხელი.

ირაკლი ჯავახაძე

პირველი სოლო კონცერტი

გურამ დოჩანაშვილი

დღეს საღამოთი კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.

ველავ. ვცდილობ, დავშშვიდდე - ხან ჟურნალებს ვათვალიერებ, ხან ეზოში მოთამაშე ბავშვებს ვუყურებ.

ვერ ვწყნარდები. დავდივარ ოთახში - ერთი კუთხიდან მეორემდე. რაღაცით უნდა გავირთო თავი... რა ვქნა?

ჩამქრალ პაპიროსს ვუკიდებ. ტახტზე ვწვები და ჭერს თვალებით ვბურღავ.

დღეს ალბათ ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. რომ შემეშალოს?.. არა! არ შემეშლება. არ უნდა შემეშალოს, მაგრამ... რა ვქნა, როგორ დავწყნარდე?

ვდგები და დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე.

რა ვქნა?..

კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შევაცქერდი.

სურათიდან პატარა ბიჭუნა მიყურებს და ეშმაკურად მიღიმის. მოკლე შარვალი ჩაუცვამს. ყელზე დიდი ბაფთა გაუკეთებია. ხელში სათვალე უჭირავს. მისი ღიმილი ჩემზეც გადმოდის და ვუღიმი.

ეს ხომ მე ვარ, მე...

მე მაშინ პატარა, ძალიან პატარა ბიჭი ვიყავი.

მამაჩემი სხვა ქალაქში გაგზავნეს სამუშაოდ, დედაც თან გაჰყვა. დამტოვეს ბებიასთან.

ყოველი ბავშვივით, თამაში, ცელქობა და განსაკუთრებული შეკითხვები მიყვარდა.

ცოტათი... ცოტათი კი არა, საკმაოდ ახირებული გახლდით.

როგორ მიყვარდა ეზო!..

ბებია და სახლი მაშინ მგონდებოდა, როცა თამაშით დაქანცულს არაქთი აღარ მქონდა.

ავდიოდი კიბეზე, კარზე ბრაჰაბრუხს ავტეხდი და ლოყებდაწითლებული და ოფლიანი სავარძელზე მოვიკალათებდი ხოლმე.

- უუჰ, შე ყაჩაღო, - მეუბნებოდა ბებია და ტანსაცმელს მიცვლიდა, - სათვალიანი და ასეთი ცელქი!

სათვალეს მაშინვე ვიხსნიდი განაწყენებული, მაგრამ ისევ ვიკეთებდი. ბავშვობიდანვე სუსტი მხედველობა მქონდა.

ბებიას ჩემი სათვალეების გამოულეველი მარაგი ჰქონდა, რადგან თითქმის ყოველდღე ვტეხდი მათ - ხან ველოსიპედით მოვისურვებდი კიბეზე ჩასვლას, ხან ბურთი მხვდებოდა სახეში, ხან სირბილის დროს წავიქცეოდი ხოლმე.

ეზოდან ამოსული ცოტა ხანს ვისვენებდი.

- ბებო, რამე წამიკითხე, - ვეტყოდი ხოლმე შემდეგ.

ბებიაც მიკითხავდა გრიმების ზღაპრებს, მიამბობდა ამირანის ამბავს...

ერთხელ „მუმუ“ წამიკითხა.

- ბებო! - შევშფოთდი, - დაიხრჩო?

- დაიხრჩო...

- მოკვდა?

- მოკვდა...

- რატომ დაიხრჩო, ცოდვა არ არი? - შევაცქერდი ბებიას და ტირილი დავაპირე.

ტირილი ხმამაღალი მიყვარდა. ისეთ ღრიალს ამოვუშვებდი ხოლმე, რომ...

- დაიცა, დაიცა, - დაფაცურდა ბებია, - ჯერ არ დამიმთავრებია. მუმუმ იცოდა კარგი ცურვა, - განაგრძო „კითხვა“ ბებიამ, - გასცურა მდინარე, მივიდა გერასიმესთან და ახლაც იქ ცხოვრობენ კარგად და ბედნიერად... ფქვილი აქა, ქაცო იქა, - დაუმატა დამაჯერებლობისათვის.

მეც დავუჯერე და ცრემლიანი თვალებით გავუღიმე.

როცა გავულიმებდი, ბებია ყოველთვის მეფერებოდა, თმას თითებით მივარცხნიდა და გულზე მიკრავდა.

- ჩემი პატარა ბიჭი, - იტყოდა ხოლმე.

„ჩემის“ ბებია ყოველთვის აგრძელებდა და მოფერებით „ჩემის“ ამბობდა. მე კიდევ უფრო ვპატარავდებოდი მის მკლავებში.

- ჩემი სათვალიანი ბიჭი, - ამბობდა ბებია და თვალებში მკოცნიდა.

ჩვენს სახლში მოსულ სტუმრებს მოკლეობად მაჩნდათ, ჩემზე რაიმე აზრი გამოეთქვათ და, რა თქმა უნდა, ყოველთვის მაქებდნენ.

ბებია ცდილობდა, არ შეემჩნია ჩემი ქება, მაგრამ ვერ ახერხებდა, ილიმებოდა.

- რამდენი წლისა ხარ, ნუგზარ? - მეკითხებოდნენ სტუმრები.

მე საჩვენებელ თითს ცრით ვიჭერდი და სტუმრებს სამ თითს ვუჩვენებდი ხოლმე.

- უჰ! უკვე დიდი ბიჭი ყოფილა, - ამბობდნენ ისინი.

მე ვიცოდი, რომ არ ვიყავი დიდი.

- ბებო! შენ ხომ დიდი ხარ?

- კი, - მოგვიანებით მპასუხობდა ბებია. სტუმრებს უხერხულად გაელიმებოდათ და ლაპარაკს იწყებდნენ, მაგრამ მე არ ვაცლიდი.

- ბებო, მე რატომ ვარ პატარა და შენ - დიდი?

ბებია ბრაზდებოდა.

- ი-მი-ტომ! - მეუბნებოდა ნერვიულად.

მე და სტუმრები უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით. ასეთი კითხვების შემდეგ, ცხადია, ვერ შემაქებდნენ.

გამოსავალს ისევ ბებია პოულობდა.

- ნუგზარ, აბა უთხარი ბიძია გიორგის - ვინ დაწერა „თორნიკე ერისთავი“.

- აკაკი წერეთელმა, - ვპასუხობდი მე.

- უყურე შენ! - გაიკვირვებდა ბიძია გიორგი.

ბებია გაიბადრებოდა და გაგრძობდა:

- მუმუ?

- მუ-მუ - ტურგენევმა. მუმუმ ისეთი კარგი ცურვა...

- ნუგზარ! წადი, გენაცვალე, ეზოში ითამაშე.

ეზოში ჩავრბოდი და ომობანას ვთამაშობდი. სათვალეს ვიხსნიდი და ჯიბეში ვიდებდი - რომ არ მომეხსნა, აუცილებლად „გერმანელი“ ვიქნებოდი.

გადიოდა დრო.

ჩემი წლოვანების საჩვენებლად აღარ მყოფნიდა ერთი ხელის თითები. სკოლაში შემიყვანეს.

ეზოში ცოტა ხნითღა ჩავდიოდი ხოლმე.

სკოლა კიდევ არაფერი, ბებიამ გადაწყვიტა, რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრა მესწავლა.

„რომელზე?“ - ფიქრობდა.

- რომელზე? - ეკითხებოდა ნაცნობებს.

როიალისა და ვიოლინოს გაგონებაც არ სურდა - ყველა მაგაზე უკრავსო, ამბობდა, ბებიას ყოველთვის უნდოდა, რომ განსაკუთრებული ვყოფილიყავი.

ბოლოს ვიოლონჩელზე შეჩერდა.

დაიწყო ჩვენი სიარული მუსიკალურ სკოლაში! ბებია წინ მიმიძღოდა ვიოლონჩელით ხელში, მე ნოტები მიმქონდა.

როგორ ვბრაზდებოდი, ჩემს ტოლებს ეზოში ფეხბურთი უნდა ეთამაშათ, მე კი... მე უნდა დამეკრა.

გაბრაზება სწრაფად მავიწყდებოდა, ქუჩაში მრგვალ ქვას ამოვარჩევდი, ფეხს ვურტყამდი და თავს ფეხბურთელად ვთვლიდი. მივრბოდი თამაშით, ხტუნვა-ხტუნვით. ბებიას მივდევდი, ხან ვუსწრებდი ხოლმე, ხანდახან ზედმეტად გართული ბებიას ვეჯახებოდი.

- უუჰ, შე ყაჩაღო, - ამბობდა მაშინ ბებია, - სათვალიანი და ასეთი ცელქი!

სათვალის მოსახსნელად ხელი სახესთან მიმქონდა, - მაგრამ ისევ ვუშვებდი.

გზად ბებიას ნაცნობი ქალი ცხოვრობდა. დღენიადაგ ფანჯარაში იყო გადმომდგარი და ქუჩას ათვალიერებდა.

- ნუგზარი როგორა გყავს? - ეკითხებოდა ბებიას.

- ცელქობს, - პასუხობდა ბებია, - კვირაში ორ სათვალეს ამტვრევს.

გაკვეთილის შემდეგ წინ მე მოვდიოდი ისევ თამაშით, ბებია უკან მომყვებოდა ვიოლონჩელით ხელში.

ნაცნობი ქალი იდგა ისევ და ქუჩას ათვალიერებდა.

- ბებო, ეს ქალი „შპიონია?“ - ვეკითხებოდი ბებიას.

- არ არის შენი საქმე!

სახლში მისვლისას ცოტა ხნით ბებია ეზოში სათამაშოდ მიშვებდა. რას არ ვთამაშობდით - ლახტს, დამალობანას, დაჭერობანას, ომობანას, ყველაზე ხშირად კი ფეხბურთს. მე ყველაზე პატარა ვიყავი და ამიტომ მეკარედ მაყენებდნენ. თვადმსხმელად თამაში მერჩივნა, მაგრამ!.. მაინც გატაცებით ვთამაშობდი. ჩვენი ეზოს ნაკრების მეკარე ვიყავი.

- ნუგზარ, - დამიძახებდა უცებ ბებია, - ამოდი, გაკვეთილები მოამზადე.

- მოიცა რა, მოიცა რა, ბებო...

ბებია არ მიცდიდა.

- ნუგზარ! ამოდი.

ზანტად ავდიოდი სახლში.

მეცადინეობის შემდეგ ეზოში სტვენით ჩავრბოდი და დამალობანას ვთამაშობდი.

კარგ ადგილს ვიპოვიდი,დავიმალებოდი და ამ დროს...

- ნუგზარ, - დამიძახებდა ბებია, - ამოდი, გენაცვალე, და დაუკარი.

„დაუკარის“ ბებია ხაზგასმით ამბობდა.

მე არ ვპასუხობდი. ბებია, როგორც ყოველთვის, არ მიცდიდა.

- ნუგზარ! ახლავე ამოდი!

ოხვრით ავდიოდი კიბეზე. ბებია ვიოლონჩელით მეგებებოდა.

- დაუკარი...

იმ წუთში ალბათ ძალიან შეწუხებული და დაღვრემილი გამომეტყველება მქონდა.

- დაუკარი, ჩემო კარგო ბიჭო...

ბებია მაგიდასთან სკამს მიდგამდა და სურაზე ნოტებს მიაყუდებდა.

მე ყოველი შემთხვევისათვის უარის თქმას დავაპირებდი, მაგრამ...

- ნუგზარ! ჩქარა! დაჯექი და დაუკარი.

რაღა გზა მქონდა. ვჯდებოდი და ვუკრავდი.

ვიოლონჩელი კაცი იყო ჩემთვის, ბოროტი კაცი. ეს კაცი მუხლებშუა უნდა დამეყენებინა, მისი თავი მარცხენა მხარზე უნდა მიმესვენებინა, მარცხენა ხელის თითები ყელზე უნდა შემომეჭდო მისთვის, ხოლო მარჯვენათი უნდა ამემღერებინა.

ვიოლონჩელს მაშინ ბოხი, ჩახრინწული ხმა ჰქონდა და მთვრალი კაცივით უსმენოდ მღეროდა.

ბებია გვერდით მეჯდა და მიყურებდა, რომ მარჯვენა ხელის მოძრაობა არ შემეჩერებინა.

რა ნელა გადიოდა დრო!

ჩემზე მეტად მეზობლები იტანჯებოდნენ.

- ვეღარ გაათავა? - კითხულობდა ერთი.

- არ იქნა ჩემი მოსვენება, - ამბობდა სამსახურიდან დაბრუნებული ბუღალტერი.

ჩემი ბოროტი კაცი არავის ერიდებოდა და ჩახრინწული ხმით სიმღერას განაგრძობდა.

- ვა! ვეღარ გადახერხა? - ამბობდა მანამდე მოწყენილი მეწაღე სეროჟა და თავისი ხუმრობით კმაყოფილი კარგ ხასიათზე დგებოდა.

დაკვრის შემდეგ ისევ ეზოში ჩავრბოდი სტვენით.

- ნუგზარ, - მითხრა ერთხელ ბებიამ, - მე ცოტა ავად ვარ. წახვალ მარტო?

- როგორ ვერ წავალ, - გავიკვირვე.

- ვიოლონჩელი ფრთხილად ატარე. სადმე არ დამტვრიო. აბა, შენ იცი, ჩემი ჭკვიანი ბიჭი.

კიბეზე მართლაც ფრთხილად ჩამოვიტანე ვიოლონჩელი.

ეზოში ფეხბურთის თამაშს აპირებდნენ ბიჭები.

- თამაში გინდა? - მკითხა ეზოს გუნდის კაპიტანმა.

- კი...

- დადექი გოლში...

ჩემი კაცი მიწაზე დავაწვინე და დავდექი. ერთი ძელი ბურთიც ავიღე და ნამდვილ მეკარედ წარმოვიდგინე თავი. „აი, ნამდვილ კარში რომ ვიდგე, რა იქნებოდა, - გავფიქრე, - ძლეებიან კარში“. უცებ ისეთი გადაწყვეტილება მივიღე, რომ ყველას გაუხარდა. ერთი ძელის მაგიერ ხემი ჩავარჭე მიწაში, ხოლო მეორის ნაცვლად ვიოლონჩელი. ასეთ კარში მდგარი დამინახა ბებიამ... ერთი კვირის მანძილზე უმეკარეოდ იყო ჩვენი ეზოს ნაკრები...

გადიოდა დრო.

ჩვენ ისევ ერთად დავდიოდით მუსიკაზე.

- ნუგზარი როგორ არის? - ეკითხებოდა ფანჯარაზე გადმომდგარი ქალი ბებიას.

- ცოტათი დაჭკვიანდა, ერთი კვირაა, სათვალე არ გაუტეხია, - ამყად პასუხობდა ბებია.

ბებიასთვის ის დღე დღესასწაული იყო, როდესაც მე კონცერტზე ვუკრავდი.

- ბებო, რომ შემეშალოს, რა მეშველება? - ვეკითხებოდი შიშით ბებიას.

- არ შეგეშლება, - მაიმედებდა ბებია და მეფერებოდა, - არ შეგეშლება, ჩემი ჭკვიანი ბიჭი. როდის იქნება, სოლო კონცერტი რომ გექნება?

დრო არავის და არაფერს უყურებდა. მიდიოდა თავისთვის.

მე უკვე მეჩოთირებოდა მოკლე შარვლის ჩაცმა.

ვიოლონჩელი ისევ კაცი იყო ჩემთვის, ბოროტი კაცი, ოღონდ ისეთი ჩახრინწული ხმა აღარ ჰქონდა.

ერთხელ ბებია ავად გახდა. დიდხანს იწვა.

ფრთხილად დამქონდა ვიოლონჩელი.

- თამაში გინდა? - მეკითხებოდნენ ბიჭები.

- არა...

მე ღრმად განვიცდიდი ბებიას ავადმყოფობას.

- ბებო, რამე ხომ არ გინდა? - ვკითხე ერთხელ.

- ის დაუკარი.

- რა?

- მე რომ მიყვარს.

ბებიას სენ-სანსის „მომაკვდავი გედი“ უყვარდა.

ვიოლონჩელი მუხლებშუა დავიყენე, თავი მხარზე მივადებინე, კისერზე თითები შემოვაჭდე და დავუკარი.

არასოდეს დამიკრავს ისე კარგად...

- ჩემი ჭკვიანი ბიჭი. მოდი, მოგეფერო, - მითხრა ბებიამ და ცრემლები მოიწმინდა.

ისე მომეფერა, როგორც ყოველთვის მეფერებოდა, - თითებით დამივარცხნა თმა, გულში ჩამიკრა, თვალებში მაკოცა.

კარი გაიღო და ჩვენი მეზობელი ბუღალტერი შემოვიდა.

- კიდევ დაუკარი რა, ნუგზარ, - მითხრა მან, - მუსიკა ისე მასვენებს...

მე, რა თქმა უნდა, კიდევ დავუკარი.

იმ დღის შემდეგ შევიყვარე ვიოლონჩელი... ის ისევ კაცი იყო ჩემთვის, ოღონდ ისეთი, რასაც მოსთხოვ, რომ აგისრულებს. მინდოდა და, ბედნიერებაზე, სიხარულზე ავამღერებდი, მომინდებოდა და, სევდიან ჰანგებს გადმოვაღვრევინებდი.

აღარ მჭირდებოდა დაძალება. აღარც მეზობლებს ვაწუხებდი. პირიქით.

- დამწვრისა დაუკარი რა... - მთხოვდა ხოლმე მეწაღე სეროჟა.

ბებია ამაყობდა ჩემით. ხანდახან დაფიქრდებოდა და იტყოდა:

„ჩემი ბიჭი, როდის გექნება ნეტავ სოლო კონცერტი?“

დრო გადიოდა - ხან მდორე მდინარესავით მიიზლაზნებოდა, ხან მთის ნაკადივით მიისწრაფოდა. დრო შეუმჩნევლად მაშინ გადიოდა, როდესაც ვუკრავდი. აღარ ვიყავი პატარა ბიჭი - ბებია მხრებამდე ძლივს მწვდებოდა. კონსერვატორიის სტუდენტი გავხდი.

ბებია ერთხელ საწოლზე ჩამომიჯდა და მომეფერა. მივარცხნიდა თმას და მიყურებდა თვალებში. რაღაცის კითხვას აპირებდა.

- ჩემი დიდი ბიჭი, - გაუბედავად მომმართა, - არავინ გიყვარს?

კინაღამ გავწითლდი.

- არა, ბებო, რა დროს ჩემი...

- რატომ რა დროს... შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ.

იმ წუთს პირველად ვიგრძენი, რომ აღარ ვიყავი ბავშვი.

- ნუგზარ, ვინმე რომ გეყოლება... ხომ გამაცნობ?

- კი, ბებო...

ბებია დაფიქრდა.

- სოლო კონცერტი რომ გექნება, მაშინ გამაცანი, კარგი?

- კარგი, ბებო...

რამდენი ვიფიქრე იმ ღამეს!

მართლაც, აღარ ვიყავი ბავშვი. ვგრძნობდი, რომ აღარ შემეფერებოდა ცელქობა, ველარ ჩავიცვამდი მოკლე შარვალს, სათვალესაც აღარ გავტეხდი.

მე მხოლოდ მაშინ ვიყავი ბავშვი, როცა ბებია მეფერებოდა. მე ისე ხშირად მენატრებოდა მისი ალერსი...

- ბებო, - ვეუბნებოდი, - ჩემო ბებო, მომეფერე, რა!

ბებიაც მეფერებოდა, მეალერსებოდა და მეუბნებოდა:

- ხომ გამაცნობ იმას... შენს სოლო კონცერტზე?

* * *

მე ტახტზე ვწევარ და ჭერს ვუყურებ.

დღეს საღამოს კონცერტია. ჩემი პირველი სოლო კონცერტი.

ველავ. ჩამქრალ პაპიროსს ვუკიდებ. ბოლი ბოლქვებად მიიწევს ზევით. მერე იშლება და იფანტება.

რომ შემეშალოს?!

დღეს ალბათ ბევრი ხალხი იქნება კონცერტზე. ვიცი, მეზობლები გვირგვინს მიმზადებენ ჩუმად. ბევრი ხალხი იქნება. ისიც იქნება...

„იმას ხომ გამაცნობ?“ - მახსენდება ბებიას თხოვნა.

ის კი იქნება იქ, მაგრამ...

ცრემლი ნაოჭში ყოვნდება, მერე ჩარბის ქვევით, ტუჩის კუთხესთან, მერე ნიკაპთან ჩერდება და მკერდზე მეცემა.

მეორე წვეთი პირველის ნაკვალევზე უფრო სწრაფად მიგორავს და ისიც მკერდზე მეცემა.

ბებო, ჩემო ბებო, როგორ გინდოდა ჩემი სოლო კონცერტის მოსმენა!

თვალებს ვიმშრალებ. საოცრად აწყნარებს ადამიანს თურმე ტირილი...

დღეს საღამოს ჩემს კეთილ, მგრძნობიარე კაცს მუხლებშუა დავიყენებ, თავს მხარზე მივადებინებ, მარცხენა ხელის თითებს კისერზე შემოვაჭდობ და ავამღერებ. ავამღერებ სუფთა, ხავერდოვანი ხმით.

ოთახში დავდივარ ერთი კუთხიდან მეორემდე.

შემეშლება?

არა, არ შემეშლება!

ბებო, შენს ხსოვნას მიუძღვნის ჩემი სათნო კაცი თავის სევდიან სიმღერას.



ზოთა იათაშვილი

ფოტოამბები

ყოფილ ცოლთა მეუღლეები გამომეცხადდნენ ერთ დილას სახლში და განმიცხადეს, რომ მოვალე ვიყავ ჩემს ნაშიერებთან ფოტოგრაფირებას შევდგომოდი ახლავე, დღესვე.

არ შეწინააღმდეგებივარ, თუმც დავინტერესდი:

- კი მაგრამ, რატომ?

ამხსნეს: მართალია, ჭეშმარიტი სულიერი მამები ისინი არიან აწ უკვე და ამაში მათ ველარავინ შეეცილება, მაგრამ ეს ვერაც, საბწუხაროდ, არ ნიშნავს, რომ ბავშვებისთვის ბიოლოგიური მამა ნოლია.

დამიზუსტეს: ჰარმონიული განვითარებისთვის საჭიროა, სულიერი მამის გვერდით იშვიათად, მაგრამ მაინც ბიოლოგიური მამაც კრთებოდეს.

განმიმარტეს: ძველი მეთოდები - ორ კვირაში ან თვეში ერთხელ შეხვედრები და მიმოსვლები ზოოპარკსა თუ ცირკში ამისთვის აუცილებელი სულაც არაა.

მეტიც - ხელისშემშლელიც კია.

ეს ბავშვის ფსიქიკას ორად აპობს.

გაცილებით ეფექტურია სულ ახალი მათი მეთოდი.

მეთოდის არსი: მკირეწლოვან ასაკში ხდება ფოტოგრაფირება ბიოლოგიურ მამასთან, როგორც ვიღაც ,,ძიასთან'', ისე, რომ თავად ფოტოგრაფირების მომენტი და ეს ,,ძია'', როგორც ვიღაც ფრიად მნიშვნელოვანი, არ შემორჩეს მეხსიერებას.

ანუ: მთავარია ბიოლოგიურ მამასთან ცხოვრების დამადასტურებელი ფოტომასალა შეიქმნას, რომელსაც სულიერი მამა მაშინ გამოაჩენს, როცა ბავშვი გაიზრდება და დაინტერესდება საკუთარი გენეალოგიით.

შედეგი: ბიოლოგიური მამა რაკი არ ემახსოვრება, ფოტოსურათები შვილს გაულვივებს წარმოსახვას, ფოტოკადრები გაცოცხლდება, კინოკადრებად, ერთობლივი ცხოვრების სცენებად იქცევა და ბიოლოგიური მამა თანდათან მის ცნობიერებაში ისეთ სახეს მიიღებს, როგორიც მისთვის ყველაზე მისაღებია.

საბოლოოდ კი ბიოლოგიური მამის ეს ხატი სულიერი ტრავმებისა და ფსიქოლოგიური სტრესების გარეშე დაიკავებს მოკრძალებულ კუთვნილ ნიშას ჰარმონიულ პიროვნებაში.

* * *

სანამ ამ ყველაფერს მიხსნიდნენ, მე მათ ვაკვირდებოდი. სანდომიანნი იყვნენ, სანდონი, მონდომებულნი. კუბოკრული პიჯაკები ეცვათ და გაპრიალებული ფეხსაცმელები. კარგი სიგარეტით მიკვამლავდნენ ოთახს. მეც შემომთავაზეს, როცა სათქმელი ჩაათავეს და პასუხს უწყეს ლოდინი. არ მიუარია, ვინებე, ჩავისუნთქე ნატიფი კვამლი და ვიკითხე:

- ქალები რატომ არ მოვიდნენ?

- ეს ქალების საქმე არ არის - ბრძანა პირველი ცოლის მეუღლემ.

- ყველაფერი ჩვენ მოვიფიქრეთ, - განაგრძო მეორის მეუღლემ, - და ჩვენვე უნდა მოვაგვაროთ, მათ დაუხმარებლად. ისინი მხოლოდ ხელს შეგვიშლიან.

- ჰო, - კვერი დაუკრა პირველის მეუღლემ, - ქალები ასეთ საკითხებში მეტისმეტად კონსერვატულები და ისტერიულობამდე ემოციურები არიან. ამიტომ გადავწყვიტეთ არც კი გავაგებინოთ, თუ რას ვაპირებთ.

მომეწონა ასეთი მიდგომა, მაგრამ ვიფიქრე, აჯობებდა, ეს ჯერჯერობით არ დამმჩნეოდა. და ამიტომაც დილის სტუმრებს ირონიული ფრაზით შევცინე:

- ესე იგი, ფოტომოდელი ვხდები დღეიდან?

- გარკვეულწილად... - ჩაიბურტყუნეს და ერთდროულად, უხმოდ დამიქიცინეს თავები.

- სიხშირე?

- ჩვენ ვფიქრობთ, ოპტიმალურია 6 თვეში ერთხელ. - ეს მეორე ცოლის მეუღლე გახლდათ.

- და გასამრჯელოს რამდენს მთავაზობთ?

- გასამრჯელოს? - როგორც ველოდი, ისე მოხდა. გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს და მერე ისევ მე მომაჩერდნენ.

- აბა მუქთა მოდელი სად გინახავთ? - პირველი დაბნეულობისათვის უკვე დამეღწია თავი და ახლა შეტევაზე გადავდიოდი.

მათი პროტესტებისა და დანამუსებების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც ჩემი გავიტანე: ვივაჭრეთ და მოვრიგდით. თანხის ნახევარ-ნახევარი მაშინათვე მორჩილად ამოაძვრინეს საფულეებიდან და სასთუმალთან, ტაბურეტზე ჩამომიდეს გრაფინის გვერდით. ახლა კი დრო იყო წამოვმდგარიყავი.

- წვერი გასაპარსია - თქვა პირველის მეუღლემ.

მე დამეზარა.

ისინი უკვე გაგულისდნენ და ლამის კინწისკვრით შემაგდეს აბაზანაში. სანამ ვიპარსავდი,დრო არ დაუკარგავთ და ჩემი გარდერობი შეისწავლეს.

- სულ ესაა?

- მეტი რაღა უნდა იყოს? - ვითომ გამიკვირდა.

- პიჯაკი არა გაქვს?

- მქანცავს პიჯაკის ტარება.

- ფეხსაცმელებიდანაც არც ერთი არ ვარგა.

- არა უჭირს, თუ მაინცდამაინც მსხვილ ხედში არ გადაიღებთ ჩემს კოჭებს, არაფერი შეეტყობა - დავამშვიდე სულიერი მამები.

მეორეს მეუღლემ უკმაყოფილოდ წაბურტყუნა რაღაც, პირველისამ კი გამომძახა:

- ბარემ შხაპიც მიიღე!

ჭყუმპალაობისას კიდევ რამდენიმე დეტალი დავაზუსტე. მაგალითად ის, რომ ჩემი ცოლების მეუღლენი ფოტოგადაღებებს გაგრძელებდნენ, სანამ ბავშვები ექვსისა არ შესრულდებოდნენ, და ვინაიდან უფროსი გოგო ოთხის იყო, ხოლო უმცროსი სამის, პირველ შემთხვევაში ეს პროცესი ორი წელი გასტანდა, მეორე შემთხვევაში კი სამი.

გაირკვა მოულოდნელი და საიმედო რამ - ისინი ბავშვობისდროინდელი და დღემდე უახლოესი მეგობრები აღმოჩნდნენ. ამასთან დაკავშირებით პირველის მეუღლემ საშინლად ბანალური ფრაზა: ,,სამყარო პატარაა'' - წარმოთქვა. თუმცა, რაც არ უნდა საკვირველი ყოფილიყო, ასეთი გამოვლინებები ოდნავადაც არ მაღიზიანებდა. პირიქით, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მესიმპათიურებოდა უცაბედად თავს დამტყდარი ეს კუბოკრულპიჯაკიანი წყვილი.

ბანაობას რომ მოვრჩი და აბაზანიდან გამოვედი, ჩემი მწირი გარდერობიდან შერჩეული შარვალი და პერანგი დამახვედრეს.

- პიჯაკს გზაში ვიყიდით, - განმიმარტა მეორეს მეუღლემ, პირველისამ კი თმა დამივარცხნა გულმოდგინედ. შუაზე ორად გამიყო, გვერდზე გადამიტკეპნა.

უკვე ნამდვილ ბარონად ვგრძნობდი თავს.

- მე მგონი სეზონური ფოტოგრაფირება აჯობებს, - გამოვთქვი მოსაზრება, - ეს უკვე სრულ ილუზიას შექმნის ურთიერთობის ინტენსივობისა.

მათ დაუფიქრებლად მიპასუხეს:

- არა, ასეთი სრული ილუზია ჩვენ არ გვჭირდება. ამან შეიძლება დამღუპველი შედეგი მოიტანოს. ზედმეტად გააღვივოს ინტერესი ბიოლოგიური მამისადმი. თანაც კვარტალში ერთხელ ადამიანის ხილვა 4-5 წლის ბავშვისათვის, სავარაუდოა, უკვე სამახსოვრო აღმოჩნდეს. ეს კი მთელს პროექტს ჩაშლის. ბიოლოგიური მამა მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალური უნდა იყოს.

არ გამოვიდა. თუმცა უამისოდაც უსაზღვროდ კმაყოფილი ვიყავი. ჩემი აპარტამენტები გამოვიკეტე და ორ ახალშეძენილ ლაქია-მეგობართან ერთად დაბლა დავეშვი. მათ ტაქსი გამიჩერეს. ჩავსხედით. პირველმა ერთი ცნობილი დიზაინერის საფირმო მაღაზიის მისამართი დაასახელა.

აი, სიურპრიზი! ისინი დაუჯერებლად ხელგაშლილები აღმოჩნდნენ. შეპირებულ პიჯაკთან ერთად შარვალ-პერანგი და ფეხსაცმელებიც მიყიდეს. თან წვრილმანებიც მიაყოლეს: ცხვირსახოცები, წინდები... საუკეთესო ოდეკოლონი მომაშხურეს, საუკეთესო სიგარეტი ჩამიდეს ჯიბეში... ეს ყველაფერი კი იმით ახსნეს, რომ ახალ პიჯაკთან ჩემი ძველი აღკაზმულობა არაფრით არ მიდიოდა.

ისევ ტაქსში ჩავსხედით და უფროსი გოგონას ბაღისკენ გავეშურეთ. გზაში მითითება მივიღე: მინიმალური კონტაქტი ბავშვებთან! დანარჩენს ისინი თავად მოაგვარებენ!

ტაქსი გაჩერდა. პირველი გადავიდა და რამდენიმე წუთის მერე უკან მობრუნდა ერთ ჩვეულებრივ, წყნარ გოგონასთან ერთად. გამიკვირდა. მას ხომ დაბადებიდან ერთი თვის განმავლობაში მუდამ საშინლად მჩხავანას და სახეწითელს ვხედავდი. სწორედ ამას ვერ გავუძელი და ჩემს მომავალ მეორე ცოლთან გავიქეცი, რომელმაც ხელად ასეთივე მუდამ საშინლად მჩხავანა და სახეწითელი გოგონა გამიჩინა, რათა ერთი თვის მერე მასაც გავქცეოდი და საერთოდ დამევიწყა მჩხავანა, სახეწითელი, გულისშემაღონებელი არსებები მათ გამჩენებთან ერთად.

მეორე ბაღიდან გამოყვანილი გოგონაც ჩვეულებრივი და წყნარი აღმოჩნდა. ტაქსი გავუშვით და გავისეირნეთ. პირველი და მეორე ვირტუოზულად მოქმედებდნენ. ყოველგვარი ხაზგასმებისა და ფოტოაპარატიდან ჩიტთა გამოფრენების გარეშე, მეტიც, ლამის პაპარაცებივით ულებდნენ გოგონებს სურათებს. მეც მარჯვედ ვიქცეოდი. ლამის უსიტყვოდ ვუგებდი მათ და ბოლო მომენტში ზუსტად იქ ვდგებოდი, სადაც საჭირო იყო. თვალის დამაბრმავებელ ადგილებში ისინი არ წაგვიყვანია და არც საჩუქრებით გაგვიხარებია, რათა ეს დღე არ დამახსოვრებოდათ. ბოლოსკენ შევთამამდი და ჯერ უფროსი დავისვი რამდენიმე წამით მუხლზე, მერე კი უმცროსი - და ორივეჯერ გაისმა აპარატის ჩაჩხაკუნების ხმა. მთელი ამ ხნის მანძილზე მე, პირველმა და მეორემ თითქმის ყველა სასაუბრო თემას მივუკაკუნეთ, გავუგეთ ერთმანეთს და უკანა გზაზე ტაქსით სახლამდე რომ მომაცილეს, ხელი გულითადად რომ ჩამომართვეს და დამეშვიდობნენ, მივხვდი, ძირისძირამდე ჩემიანები გამხდარიყვნენ ისინი.

* * *

რამდენიმე დღე მესიზმრებოდა და მელანდებოდა ორი კუბოკრულპიჯაკიანი მამაკაცი ორ წყნარ გოგონასთან ერთად, მაგრამ ნელ-ნელა ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩადგა. და ექვსი თვის მერე გრძელ კრემისფერ პალტოებში გამოწყობილი პირველი და მეორე უცებ დილაადრიან ისევ რომ გამომეცხადდნენ, მათი არსებობა უკვე დავიწყებული მქონდა. პირველს იღლიაში კიდევ ერთი კრემისფერი პალტო ჰქონდა ამოჩრილი. მეორემ ფული მაგიდაზე დადო. ,,ისევ გასაპარსია'' - თქვა პირველმა, მეორემ კი ,,დროზე, ადექი!'' - მომმართა ოფიციალურად, თანაც შინაურულად. მათი მოტანილი პალტო კარგად მომივიდა. ტაქსით პირდაპირ საბავშვო ბაღებისაკენ გავწიეთ.

- მართლა, მაშინ გადაღებული ფოტოები არ მომიტანეთ? - გამახსენდა გზაში.

- ფოტოები მხოლოდ ჩვენ გვჭირდება. იგი ბიოლოგიური მამისათვის სრულიად ზედმეტია - განმიმარტა პირველმა.

- და თუ მე მაინც მინდა? - არ დავნებდი მაშინათვე.

- დამიჯერე, არ ღირს, არ ღირს... - მეგობრულად დამკრა მხარზე ხელი მეორემ, - მხოლოდ ზედმეტ დაძაბულობას გამოიწვევს.

გავჩუმდი. და კი ხნის მერე მხოლოდ ესღა ვიკითხე:

- ისე, ფოტოები კარგი გამოვიდა?

- კი, კარგი - მითხრეს მათ.

ბავშვებში ცვლილება ვერ ვიპოვე. ყველანაირად ისეთივენი იყვნენ. ჩემთვის ყურადღება არც მოუქცევიათ. პირველი და მეორე კმაყოფილები დარჩნენ. მათი გათვლა სწორი აღმოჩნდა. ექვსი თვის შემდეგ მე ჩემი ბიოლოგიური შვილებისათვის კვლავ არავინ ვიყავი.

* * *

მესამე მოსვლაზე მხოლოდ მეორე მოვიდა.

- რაშია საქმე? - ვკითხე ჩემი მარად ზამბარიანი საწოლიდან და შეშფოთებული წამოვიწიე.

- გაეყარა - მოჟამული სახით მითხრა და ფეხებთან ჩამომიჯდა.

- მერე?

- მერე არაფერი.

უცებ წარმოვიდგინე ყველაფერი და ისე შემეცოდა პირველი, როგორც არასდროს არავინ შემცოდებია.

უტყვად ვიყავით ერთხანობას. ბოლოს ისევ მე ამოვღერღე:

- ესე იგი, ამჯერად მხოლოდ შენს ბავშვთან, არა?

- ცხადია... - მეორე წამოდგა, ჯიბიდან ფული ამოიღო და სკამის საზურგეზე გადაკიდებული შარვლის ჯიბეში ჩამიდო - ისევ, ისევ გაუპარსავი ხარ...

ბავშვი რომ დავინახე, შემეშინდა. ერთი წელი გავიდა და ისევ არავითარი ცვლილება არ იყო მასში. ადრინდელივით ცოცხლად ველარ ვსაუბრობდით მე და მეორე. გვიჭირდა სიტყვების მოძებნა. ყველაფერი რომ მომთავრდა, მოულოდნელი რამ გააკეთა. ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია, ზედ რაღაც წამიწერა და გამომიწოდა:

- აჰა, გქონდეს, ჩემი ტელეფონის ნომერია. ვინ იცის, როდის და რაში დაგჭირდე...

მაგრად მოვუჭირეთ ერთმანეთს ხელი ხელზე. წინასწარ ვგრძნობდით, რაც უნდა მომხდარიყო.

* * *

ზამთარი მოვიდა. დავდიოდი კრემისფერი პალტოთი და მეორეს ველოდი. მეორე არ ჩანდა. როცა უკვე დათბობა დაიწყო, ბლოკნოტის ფურცლის ნახევი ვიპოვე და ნომერი აკრიფე.

- გისმენთ... - ვიცანი. მეორე იყო.

- გამარჯობა. მე ვარ.

- ჰო... - მეორის ხმა ყურმილის მეორე მხარეს ჩაიკარგა.

არ ვჩქარობდი. ველოდი.

- სახლში იქნები? - მკითხა როგორც იქნა.

- თუ გინდა...

- მომიცადე, მოვალ.

ერთ საათში კარზე დარეკეს. გავაღე. ორივენი იყვნენ: პირველიც და მეორეც - კვლავ ერთნაირად ეცვათ, ოღონდ - არც პიჯაკი, არც პალტო... - ამჯერად ხაკისფერი ქურთუკები მოეცვათ ტანზე. ზღურბლზე ვათვალიერეთ ერთმანეთი.

- თქვენც გაუპარსავები ხართ ახლა. - ვუთხარი დასკვნის სახით.

გაიღიმეს. შემოვიდნენ. ქურთუკის ფართო ჯიბეებიდან დასტა-დასტა ამოალაგეს ფოტოები და მაგიდაზე დააწყვეს.

- აი, მოგიტანეთ - მითხრეს.

სურათებისთვის არც შემიხედავს, ისე ვკითხე:

- აპარატი თან გაქვთ?

პირველმა თავი დამიქნია.

მაშინ წავედით.

გათენებამდე ვტკეპნეთ ქალაქი. მე მათ გაუთავებლად ვუღებდი ფოტოებს. ჩვენ კვლავ ერთად ვიყავით. ვიქცეოდით ისე, როგორც შეიძლება იქცეოდეს სამი ჩვეულებრივი მეგობარი მამაკაცი. შევედით ბარში და ლუდი დავლიეთ. ერთმანეთს ახალი ამბები აღარ დავუტოვეთ, ბოლო საფეხბურთო ჩემპიონატი გავქექეთ, ბარში მსხდომი ქალები აღვნუსხეთ და სიყვარულზე ფიქრით გული გავიცხელეთ. თავისუფლებას ველოლიავეთ და მეგობრობა უწმიდესად შევრაცხეთ. მენიუ წავიკითხეთ, როგორც საუკეთესო წიგნი დედამიწის ზურგზე და დელიკატესები შევუკვეთეთ ოფიციანტის დეკოლტეს. ჩვენ ხომ ახალგაზრდები ვიყავით, ღონე გვერჩოდა, ჯიბეში ცოტა ფული გვიჭყაოდა, სახლ-კარი გვქონდა და მომავლის გვწამდა. ჩვენ ხომ ნამდვილი მამაკაცები ვიყავით. ფოტომამები.

ვუძღვნი ი. ალაშვილს

ოტია იოსელიანი

ეპიტაფია

როგორც მთელმა სოფელმა იცოდა, სერაფიონს ჯორი ახლოდანაც არ უნდა ჰყოლოდა ნანახი, მაგრამ თუ სიარულის დროს კაცი მარტო წელზევით დააკვირდებოდა, უსათუოდ იტყოდა, რომ ასე მხოლოდ ჯორის ფეხებს შეეძლო ევლო.

იგი არც ძველი ნამამასახლისი იყო და არც ახალი ნათავმჯდომარევი. ამ კაცისთვის ვინმეს არც სოფლის თავკაცობა მიუნდვია და ძალისძალად არც სოფელზე მზრუნველობა მოუხვევია თავზე, მაგრამ სერაფიონ გორდაძეს არც ერთი მეზობლის ძაღლი არ შეუყეფდა და ძაღლები რაა, როცა სამფეხა დაბალ სკამზე დამჯდარს დაიგულებდნენ, კატები კრუტუნით დაუძვრებოდნენ ფეხებში და თავ-კისერს მისი ჩექმის ყელზე აფხანდნენ.

სერაფიონი ყველგან იყო. ეს ჩვეულებრივ ამბადაც მიაჩნდათ, მაგრამ საკვირველი იყო, ეს მარტოხელა კაცი როგორ ასწრებდა ამდენს. მისთვის ყველა ოჯახში ინახავდნენ ულუფას, ყოველი სადილობისას კი მხოლოდ ერთი მოსახლე იყო მისი მადლიერი. სერაფიონი ყველგან იყო. ანდა უფრო სწორად - იქ, სადაც უფრო მეტად სჭირდებოდათ სერაფიონი.

ძველად ამის შესახებ ჭორი დადიოდა სოფელში: სერაფიონს სული ეშმაკისთვის აქვს მიყიდული და ეს ეშმაკი ამაღამ მთელ სოფელში დაძრწის, ყველა ოჯახს აყურადებს, ნალიაში სიმინდს რწყავს, კოდში - ფქვილს, ეზოში შეშის მარაგს ამოწმებს და ხალამში წველა ყველებს ანგარიშობს, მეორე დილით, გაღვიძებისთანავე, სერაფიონმა ყველაფერი იცისო.

მერე კი, სერაფიონის სულის ეშმაკებსა და მავნეებზე მიყიდვის ჭორმა დიდხანს რომ ვერ იბოგინა, ხალხი ყოველივეს მის რაღაცნაირ, უტყეარ ალღოს აწერდა, გულისყურს თუ გულისგულობას. ბოლოს ყველაფერი დაივიწყეს და სერაფიონი ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნიეს. თითქოს სხვანაირი სერაფიონი შეუძლებელი ყოფილიყო.

ხანდამწვარმა ნიკიფორემ რომ ოცდაექვსი დღე ებრძოლა ყელში მობჯენილ სიკვდილს და ოცდამეშვიდე დღეს თქვენი ჭირი წაიღო, სერაფიონი მთელი ღამეები სასთუმალთან უჯდა და გარდაცვლილის მეუღლემ სიკვდილზე უწინ სერაფიონს უსაყვედურა:

- რა მიქნი, სერაფიონ! დამლუპე, ამმაგდე! სულთამხუთავს ვერ გამგლიჯე ხელიდან ჩემი ნიკიფორე?!

სერაფიონმა ვერ მკვდარს უპატრონა: გულ-ხელი დაუკრიფა, ფეხები დაუჭიმა, ღიად დარჩენილ თვალებზე ქუთუთოები ჩამოაფარა და როცა ხელსახოცით ღრანჭი აუკრა, თავიდან მოგლეჯილი ჩალისფერი ყაბალახი მიწას დაანარცხა, ნახევრად შიშველ თავზე გაშლილი ხელი წაიშინა და ალალი ცრემლები თავისთავად წასცვივდა.

ბიკენტის სასიძო შემოეძლია. იმხანად ბიკენტის ქარები ისე ღრღნიდა, ეზოში ყავარჯნებით ძლივს დაათრევდა დაბუჟებულ ფეხებს, მაგრამ ამაზე არავის უდარდია. სერაფიონს ახალი ჩექმები მოარგეს, შუბლი ახალი ყაბალახით გაუკრეს და სასიძოს ოჯახის თვალის გადასავლებად გაისტუმრეს.

სერაფიონი რისი სერაფიონი იყო, თუ საქმეს ძირფესვიანად არ შეისწავლიდა, ვერ ბიჭი ნახა. ნახა - ახლა როგორ - ვერ შორიდან ახედ-დახედა, ხმა არ გაუცია, ისე გაეცალა სასიძოს. მერე ამხანაგობაში მოიკითხა ბიჭის ვარგისიანობა. იქაური კოლმეურნეობის თავმჯდომარე მისი ძველი ნაცნობი გამოდგა, ძლივს მოაგონა თავი. ლაპარაკში სიტყვა იმ ოჯახზე ჩამოუგდო. საღამოს სასადილოში ბრიგადირს ღვინოები გაუგზავნა, მადლობა შემოუთვალეს, კიდევ გაუგზავნა, ახლა მადლობა აღარ იკმარეს, გაგვეცანი მაინცო, სთხოვეს. დათანხმდა. სადღეგრძელომ მოიტანა და ბრიგადირმა მშრომელი კაცის მარჯვენის სადღეგრძელო დალია. სერა-ფიონმა ჭიქა მანამ არ მიიტანა პირთან, სანამ სათითაოდ არ ჩამოთვლეკინა, ვის-თვის ცლიდა ამოდენა სასმისს.

ღამით, გვიან, გულის ძილში რომ იყვნენ, მაშინ მიადგა სამოყვროს, მასპინძლობა გაუსინჯა, სტუმრის პატივისცემაში გამოსცადა და დაასკვნა:

- მე თუ სერაფიონი ვარ, ამ ყაბახს ქალი არ დაეკავებაო.

არც არავის დაუკავებია.

გადაიხადეს ნიშნობა.

სწორზე საქორწილო მაყრიონი მოადგა ჭიშკარს.

სერაფიონი კარში შეეგება სტუმრებს. აბა, მიწვეცა, მოწვეცა, მობოდიშება, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე და გაიმართა მილოცვა. ჩამოდგა რიგი კეთილისმსურველების. ჯერ ნეფე-დედოფალს უსურვეს მზე და მთვარესავით ერთმანეთს შებერება, მერე მშობლებს უბედნიერეს დაწყვილებულნი. მმახლები დაიბნენ. ქალიშვილის ბედ-იღბალი სერაფიონს მიულოცეს, ბიკენტის მუდამ ლხინი და ქორწილი უსურვეს და მალე გამოჯანმრთელება უწინასწარმეტყველეს. მისულთაგან ეს ჯერ ერთმა გააკეთა. არავის გაჰკვირვებია. მეორე პირველის მაგალითს მიჰყვა.

საქმემ დიდებულად ჩაიარა. მაყარი მაყარმა შეცვალა, ბიძია - ბიცოლამ. სიძეს მამიდებიც ჰყოლია, დეიდებიც, მეზობლები ხომ - რასაკვირველია და...

- იცოცხლეთ, კეთილებო, იცოცხლეთ... იცოცხლეთ! - შაქარივით დადნა სერაფიონი, - მადლობა, ნამეტანი დიდი მადლობა, ჩემო ბატონებო!

მარტოხელა ქერივ-ოხერმა ბაბალემ მარჩენალი თოთო ხბოიანი ძროხა დაკარგა. თოთო ხბოიანი ძროხა საღამოდე საძოვარზე დამაგრდება? გადაიშუადღევებს თუ არა, სახლში გამორბის. არადა, ის დღე ისე დაღამდა, მის გამოჩენას საშველი არ დაადგა. ცალკე ხბო იკლებს ბღავლით ეზო-გარემოს, ცალკე ბაბალეს ვაი და ვიში. ბაბალეს კარის მეზობლებიც ჰყავდა და მაზლისშვილებიც, მაგრამ სერაფიონზე უწინ ვერავინ ვერაფერი იგუმანა.

იმ მგლის არჩივ ძროხას ნაშუადღევამდე რომ გაძღომა მოესწრო, მდინარის გაღმა გაეტოპა. მერე ნაპირნაპირ საძოვარს გაჰყოლოდა. მთაში გამთენიისას კოკისპირულ წვიმას აქ შუადღისას მდინარე აედიდებინა და თოთოხბოიანს უკან დასაბრუნებელი ფონი ვეღარ ეპოვა. უბღავლია და გაღმა ნაპირს მიწყდომ-მოწყდომია, მაგრამ სოფლიდან მდინარე არც ისე ახლოსაა, რომ ტყის იქით თვალი მიაწვდინო და ძროხამ ხმა მოგაწვდინოს. მაგრამ სერაფიონი...

რაზეც სოფელს თვალი და ყური არ მიუწვდებოდა, სერაფიონი რისი სერაფიონი იყო, ხელი არ მიეწვდინა. მიჯორფეხებულა, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა - ის გამოღმაა, ძროხა წყალგაღმა. წყალგაღმა, მდინარის პირას არა, მაგრამ მთაში, მგელიცაა და შენ რომ სერაფიონი ხარ, წელამდე ცივ წყალში უნდა გაფონო, ძროხიანად გადმოფონო, ბაბალეს მარჩენალი დაუბრუნო, მშიერი ხბო დააპურო და მშიერი მგელი ხახამშრალი დატოვო.

შემოდგომის პირზე იღლიებში ტაროებამოჩრილ სიმინდის ყანებს რომ ჭილყვავი შეესეოდა, სერაფიონი მეველეც იყო და მოჭირნახულეც. თავისი თავის სიმსხო, საორშიმე მწარე კვახიც ნამარაგი ჰქონდა და ბარე ორი ძველი დაჩინჩლული ნაბდის ქუდიც. ,,ხელებგაფარჩხულ'' სარის თავზე რომ ,,თაკს'' დაანცობდა, ნახშირივით დაპრაწულ თვალებს ,,გაუხელდა'', წარბებს დაუფანჩავდა, ცხვირსა და ულვაშებს თავისაზე გრძელს დაუხატავდა, ძონძებით შემოსავდა და ქუდს, როგორც თვითონ იცოდა, გვერდულად მოაგდებდა, ყანების თავში გინდა სერაფიონი მდგარა და გინდ სერაფიონის ალი-კვალი საფრთხობელა.

სერაფიონი რომ ორღობეში მიჯორფეხობდა, ბავშვები ღობის შიგნიდან აცილებდნენ ეზოს ბოლომდე და დიასახლისები ხელისგულზე გადაფარებულ და გახამებულ ტილოზე დადებული ცხელი ხაჭაპურით ან ჭადით იწვევდნენ.

ერთ დღეს ყველა ოჯახში გაცივდა სერაფიონის ულუფა.

ფეხზე დადგა სოფელი.

შავ სალებავზე აფრინეს კაცი.

ნიგვზის კუბო არჩიეს მუხისას, თუმცა ბევრი იმ აზრისა იყო, მუხა დიდხანს ძლებს მიწაშიო.

დასაფლავების ვადა ჩვეულებრივზე ორი დღით გადადეს. იტირეს, ითავცემეს და, როგორც წესი, მიწის შვილი მიწას მიაბარეს.

- მიწა ცივიაო, - ამბობენ, მაგრამ არ გამართლდა. ხალხი ვერ ისვენებდა, წუხდა. სერაფიონი კიდევ რაღაცას მოითხოვდა, რაღაც კიდევ სჭირდებოდა სერაფიონს.

ჰო, მართლა, ვის მოაგონდა - საფლავს ხომ ღობურა უნდა! აბა, მიშველეთ, საქმე გაგვიჩნდა! გასწიეს ქალაქს, საგანგებოდ დაუკვეთეს დიდი, რკინის უფსკერო და უსახურავო გალია. გადაადგეს საფლავს, შეღებეს, ფერი შეუცვალეს, მაგრამ საქმეს მაინც ვერ ეშველა. რაღაც კიდევ დარჩა გასაკეთებელი.

- რაა ეს?

- რას ითხოვს?

- რა სჭირდება კიდევ სერაფიონს?!

აბა, აქეთ, აბა, იქით და...

საფლავის ქვა!

ჰო, ქვა... ძლივს მოიფიქრეს!

დიდი, საგანგებოდ დიდი და გამძლე ქვა დაადეს სერაფიონს გულზე, ლამის სული ამოხადეს კაცს.

- წარწერა როგორი უნდა იყოს, ასოები მსხვილი თუ შედარებით წვრილი და თვალსაჩინო?

- გაკრული ხელით აჯობებს დაწერა თუ ბეჭდურით?

- გრძელი უნდა იყოს ასოები თუ მოკლე და მსხვილი?

- შავი თუ თეთრი, ოქროსფერი თუ ვერცხლისფერი?

ვერაფერი გადაწყვიტეს. ისევ ოსტატს მიანდვეს, ეს ჩვენზე უფრო შენ გესმისო, მაგრამ გააფრთხილეს: ყველაზე უკეთესი კი უნდა იყოსო.

- აბა, ახლა რა ვქნათ?

- რა დავაწეროთ?

- რა უნდა ეწეროს სერაფიონის საფლავის ქვაზე?..

ამან ყველა ჩააფიქრა. ამან ყველას წაართვა პირში ენა. ჩამოსხდნენ საფლავზე და შემოიბჯინეს ხელები თავზე. ფეხის თითებთან თვალი მიწას ჩასცქეს. ფიქრეს, ფიქრეს, მაგრამ ამაოდ ეჭირა ოსტატს ხელში მომარჯვებული საჭრისი. მერე კანტიკუნტად წამოისროლეს თითო-ოროლა სიტყვა. ეს, რა თქმა უნდა, ისე, სხვათა შორის, თორემ ვის სჯეროდა, რომ ეს სჯობდა სხვას.

- ძვირფას სერაფიონს! - იყო წინადადება.

- არ ვარგა! სერაფიონი რომ ძვირფასია, ამას რა დაწერა უნდა!

- დაუვიწყარ სერაფიონს...

- გადაირიე, შე კაცო, სერაფიონის დავიწყება სად გაგონილა?!

- საყვარელ სერაფიონს!

- დაკარგე ჭკუა? სერაფიონის მოძულე კაცი გინახავს?!

დაღლილი ოსტატი ანგარიშმიუცემლად დაეშვა ბალახებში, ხალხი ისევ და ისევ ბჭობდა.

მგონი, გვიან საღამოს რაღაც გადაწყვიტეს, სხვა გამოსავალი ვერაფერი იპოვეს და ოსტატი შეუდგა საქმეს...

დილით შორიდან თეთრ ქაზე ამოკვეთილი ჩანდა. ამსაც უმოვეს წამალი. ოქროსფერი ლაქთ შეღებეს ამოჭრილი ანბანი და საქმეც გაჩარხა, მდიდრი თუ მდიდრი, ღრუბლიანი იყო თუ მზიანი, ადვილად შეგეძლო გაგერჩია კაცს ერთი სიტყვა.

დიახ! მხოლოდ ერთადერთი სიტყვა: ,,სერაფიონი''.

ფიჭიკო და თაფლია

დიდი ხნის წინათ იმერეთში, სათაფლიის გამოქვაბულში, ცხოვრობდნენ პატარა დინოზავრები - ფიჭიკო და თაფლია. დინოზავრების ოჯახში ისინი ყველაზე უმცროსები და ყველაზე ციცქნები იყვნენ - სულ რაღაც ტონანახევარს იწონიდნენ და მხოლოდ ერთი მეტრის სიგრძის ფეხისგულები ჰქონდათ.

ფიჭიკო და თაფლია ისეთი ონავარი და ცელქი დინოზავრები იყვნენ, რომ დილიდან საღამომდე დაბოტებდნენ გამოქვაბულის მიდამოებში და ხეებს ფესვებიანად გლეჯდნენ. რამდენჯერ გაუჯავრდა დედა დინოზავრი, რამდენჯერ მიტყიპა მამა დინოზავრმა, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. ფიჭიკო და თაფლია ყურსაც არ იბერტყავდნენ. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მათ ოჯახში ყველა დინოზავრი მტაცებელი გახლდათ, ფიჭიკო და თაფლია კი, თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ ბალახს ახრამუნებდნენ.

- ტიტუუ, სად გამოვყო თავი ამ პატიოსანმა დინოზავრმა, ამიზა ვიწვალე? ამიზა გაგაჩინეთ და გაგზარდეთ, რომ თავი მოგეჭრათ მთელ სათაფლიაზე? რაც მე იმ კვერცხებს ველოლიავებოდი, რომლებშიც თქვენ ისხედით - ცივ ნიავს არ ვაკარებდი... რავა, ვისზე ნაკლები დედა ვიყავი, ამფერი შვილები რომ გამზრდოდა? მთელი დღე მარტო პრასისა და ფხალის მეტს არაფერს აკარებთ პირს! - მოთქვამდა დედა დინოზავრი.

- არა, ბატონო, ვერ მევითმენ ამისთანა სირცხვილს. არ მჭირდება მე ბალახისმჭამელი შვილები. ჩვენი ჯიში მტაცებელი იყო ყოველთვის. ბაბუაჩემი, ღმერთმა აცხონოს, მისი სული, იმფერი ბრგე იყო, იმფერი ახოვანი, თქვენ კი არ გგავდათ, რომ დეიარებით მჭლედ. ექვს ტონას იწონიდა, აბაა!

ფიჭიკო და თაფლია კი ჩუმად ისმენდნენ საყვედურებს.Aთავს ისე ჩაქინდრავდნენ, იფიქრებდით, უკვე მოინანიეს თავიანთი საქციელი და გადაწყვიტეს, ბალახის ჭამას თავი დაანებონო, მაგრამ როგორც კი დედ-მამა სანადიროდ წავიდოდა, ორივე კისრისტეხით გარბოდა ჭალისაკენ. იქ ქორფა ხეები ეგულებოდათ. უნდა გენახათ, როგორი სიამოვნებით ამტვრევდნენ ტოტებს და ახრამუნებდნენ თავის ფოთლებიანქერქიანად.

- დედამ რომ იცოდეს, რავარი გემრიელია ეს ტირიფი, ხომ აღარ გაგვიჯავრდებოდა? - ამბობდა ფიჭიკო.

- აპა, აპა, ეს მუხის ფოთოლიც რა სურნელოვანია? - უპასუხებდა თაფლია.

ნადირობიდან დაბრუნებულ მშობლებს ფიჭიკო და თაფლია ისევ გამოქვაბულში ხვდებოდნენ, მაგრამ მათ მოტანილ ნანადირევს კბილსაც არ ადგამდნენ.

- არ გვშია, ბაბაია! - თავს ხრიდა ფიჭიკო.

- ჰო, სულ არ გვშია! - კვერს უკრავდა თაფლიაც.

- აჰა, ისევ ბალახბულახი მირთვით, არა? რას მევესწარი ამას. წადით ერთი, ჩეიხედეთ სარკეში, რას დაემსგავსეთ, გვერდებში ლანდი გაგდით, ლანდი. ტიტუ, როგორ დევიღუპე! - მოთქვამდა ისევ დედა დინოზავრი.

Eერთ დღესაც განრისხდა მამა დინოზავრი. ისე განრისხდა, რომ იყვირა:

- ახლავე დეიკარგეთ საცხა! შემარცხვენელი არც შვილი მჭირდება არაფერში! არ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა!

რაღას იზამდნენ საბრალო ფიჭიკო და თაფლია, გამოიძურწნენ მშობლიური გამოქვაბულიდან და ჭალისაკენ წალასლასდნენ. რა უნდა ექნათ - მართალია, ახლა ვეღარავინ დაუშლიდათ გემრიელი, რბილი ბალახისა და ქორფა ფოთლების ჭამას, მაგრამ მშობლებისაგან შორს ყოფნაც ეძნელებოდათ. ცოტა არ იყოს და ეშინოდათ კიდეც. მართალია, ამ მხარეში ყველა ცხოველზე დიდები იყვნენ, მაგრამ მაინც ბავშვური გული ჰქონდათ - სიბნელეში გამოქვაბულიდან ცხვირს ვერ გამოაყოფინებდი ვერც ერთს. ჭალაში ერთი უზარმაზარი ხის ქვეშ მიწვნენ, ერთმანეთს ჩაეხუტნენ და მწარე ფიქრებში ჩაფლულთ ჩაეძინათ კიდეც.

თაფლიას საოცარი სიზმარი ესიზმრა - თითქოს ისევ თავის გამოქვაბულში იყო, მშობლებთან ერთად. და ყველანი: დედაც, მამაც, ფიჭიკო და თაფლიაც - გემრიელ ბალახს შეექცეოდნენ. ისეთი ბედნიერი იყო თაფლია, რომ გაღვიძება აღარ უნდოდა:

- ფიჭიკო, ფიჭიკო, რომ იცოდე, რა კარგი სიზმარი ვნახე...

- ნუ მეიგონებ ხოლმე რაცხას უცნაურს. რა დროის სიზმარია, სახლიდან გამოგვყარეს. ადექი, წავიდეთ, იქნებ ქე ვისწავლოთ ეს მტაცებლობა, ა?

- შენ ხომ არ გადირიე? რაის მტაცებლობა? შენ არ იყავი, რო ამბობდი, ბალახზე და ფოთოლზე გემრიელი ქვეყნად არაფერიაო? - გაიოცა თაფლიამ, - რა ვქნათ ახლა ჩვენ? ვისხდეთ ამ ჭალაში ასე? მარტო და უთვისტომოდ? - ცრემლები გადმოსცვივდა ფიჭიკოს. მას თაფლიაც აჰყვა და ორივემ ისეთი ზმუილი ამოუშვა, ახლომახლო ხეებზე მცხოვრები ჩიტები შეშინებული ამოფრინდნენ ბუდეებიდან.

მოდი, ცოტა ხანს ფიჭიკო და თაფლია ჭალაში დავტოვოთ და ისევ გამოქვაბულში დავბრუნდეთ: იმის შემდეგ, რაც მამა დინოზავრმა შვილები გამოქვაბულიდან დაითხოვა, დედა დინოზავრი დეპრესიაში ჩავარდა. შეიძლება ბევრმა თქვენგანმა არ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს - მოკლედ, ძალიან ცუდ ხასიათზე დადგა.

- ნამეტანი ფიცხი ხასიათი გაქვს, ღმერთმანი. მაინც შვილებია ჩვენი, არ უნდა მოქცეოდი ასე სასტიკად... - მორიდებით შეაპარა მან მამა დინოზავრს.

- გაჩუმდი, დედაკაცო! სწორედაც რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი. იფიქრებენ ახლა პაწას და აღარ გაიმეორებენ იმ საქციელს. დაანებებენ იმ ბალახის ცოხნას თავს და დაუბრუნდებიან ოჯახს, ისთე, რავარც წესი და რიგია.

- არა, რავარც ჩემი შვილები იტანჯებიან, ისთე უნდა დავიტანჯო მეც! რაფრა დევიძინო, როცა არ ვიცი, ჩემი შვილები სად არიან, სად სძინავთ, რას ჭამენ... - აქვითინდა დედა დინოზავრი.

- რას ჭამენ და ფხალს! აბა, რეიზა გავყარე ის უდღეურები სახლიდან! - გაბრაზდა და რა გაბრაზდა, სულ ცოფები ჰყარა მამა დინოზავრმა.

რას იზამდა დედა - გაჩუმდა. დიდხანს ელოდა შვილების დაბრუნებას, ისინი კი არა და არ ჩანდნენ. ბოლოს გადაწყვიტა, რომ უკიდურესი ხერხისათვის მიემართა - მამა დინოზავრს განუცხადა:

- საცხა ჩემი შვილებია, იქნა უნდა ვიყო მეც. ვტიებ მე მტაცებლობას და ბალახის ჭამას ვიწყებ.

მამა დინოზავრს ამის გაგონებას მიწის გასკდომა ერჩია.

- რავა, ის სულელი ბაღნები არ მეყოფოდა თავის მოსაჭრელად, ახლა შენც დეემატე? - იყვირა მან, მაგრამ ვერაფერს გახდა. დედა დინოზავრმა შიმშილობა გამოაცხადა და საჭმელს პირს აღარ აკარებდა. მამა დინოზავრი იძულებული გახდა, თავისი ხელით მოეტანა ქორფა ბალახი და შეეთავაზებინა:

- ჯანდაბას შენი თავი, რაც გინდა, ის ჭამე, ოღონდ შიმშილით თავს ნუ მეიკლავ.

- არა, არ შევჭამ, ვიდრე ჩემს შვილებს არ დევინახავ, პირში ლუკმას არ ჩევიდებ! - ჯიუტობდა იგი.

Oრაღა უნდა ექნა მამა დინოზავრს, ადგა და შვილების საძებნელად გაეშურა. ისე მძიმედ მიაბიჯებდა, არემარეს აზანზარებდა. იცოდა, სადაც უნდა ეძებნა და პირდაპირ ჭალისკენ გაეშურა. მალე მიაგნო კიდეც - ფიჭიკო და თაფლია ტირიფის ძირში ისხდნენ და ხმამაღლა სლუკუნებდნენ. მამის დანახვა ისე გაეხარდათ, ძუნძულით გაიქცნენ და ჩაეხუტნენ.

- წამოით ახლა შინ, დედათქვენმა იმდენი ქნა, მაინც ქე გაგატანიათ თქვენი. ის კი არა და, თვითონაც ბალახის ჭამას აპირებს.

ფიჭიკომ და თაფლიამ ერთმანეთს გადახედეს. ყველაფერს მოელოდნენ, ამას კი - არა. ისე გაიხარეს, უნდა გენახათ - სულ ხტუნაობა დაიწყეს. მიწაში ჩამძვრალ თაგვებსა და თხუნელებს ეგონათ, მიწისძვრა დაიწყოო და თავქუდმოგლეჯილები ამოცვივდნენ სოროებიდან.

მამა და შვილები შინ დაბრუნდნენ. ფიჭიკომ თან ახალშეფოთლილი ხის ტოტი წაიღო - დედას მივართმევო, იფიქრა. თაფლიამ კი ქორფა ბალახი დაუგლოვჯა და ის მიუტანა. გაიხარა დედამ, ჩაეხუტა შვილებს. მერე სადღესასწაულო ვახშამი გამართა და შვილების მორთმეული ბალახი და ფოთლები მიიტანა სუფრაზე. მამა დინოზავრმა ვეღარ გაუძლო ცდუნებას და იფიქრა - ერთი გემის გავუსინჯავ, რაა, ასე რომ მოსწონთ ამ ჩემს შვილებსო. შეჭამა ცოტაოდენი ბალახი და ისე ეგემრიელა, ისე მოეწონა, რომ თვითონაც დაანება თავი მტაცებლობას. ფიჭიკო და თაფლია ბედნიერებისაგან ადგილს ვერ პოულობდნენ.

- რავა მალე ამიცხადდა ჩემი სიზმარი, შენ კიდო - მტაცებლები გავხდეთო, ამბობდი, - ეუბნებოდა თაფლია ძმას.

- კიდო კაი, რო არ დამივერე, - დაეთანხმა ფიჭიკოც.

ამის შემდეგ დინოზავრების ოჯახი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდა სათაფლიის გამოქვაბულში. მზიან ამინდში ერთად მიდიოდნენ ხოლმე ჭალაში და ბალახით პირს იტკბარუნებდნენ, წვიმიან ამინდში კი გამოქვაბულში ისვენებდნენ და ერთმანეთს საინტერესო ამბებს უამბობდნენ.

ერთხელ თაფლიას წვიმაში გასეირნება მოუნდა - გამოვიდა და ატალახებულ მიწაზე დაიწყო სიარული. უცებ ფეხი ტალახში ჩაეფლო და ისე ჩაეწება, რომ ვეღარ ამოდიოდა.

- მიშველეთ! - იყვირა თაფლიამ და მაშინვე მთელი ოჯახი მასთან გაჩნდა. დაეჭიდნენ დედმამა და ფიჭიკო და თაფლია მიწიდან ძლივს ამოათრიეს. იმ დროისათვის თაფლია უკვე დიდი დინოზავრი იყო - ორ ტონას იწონიდა. ის კი ამოათრიეს, მაგრამ ნაკვალევის ადგილას ისეთი ღრმა ორმო დარჩა, პატარა ცხოველი რომ ჩავარდნილიყო, ალბათ ამოსვლას ვერც შეძლებდა. მერე მზემ დააცხუნა და ორმო ამოაშრო. ჰოდა, დარჩა და დარჩა ნაკვალევი.

იმის შემდეგ ბევრზე ბევრი, ალბათ მილიონი წელი გავიდა. ნაკვალევი კი ისევ იქაა, სათაფლიაში. თუ არ გვჯერათ, ამაზე იოლი არაფერია - სთხოვეთ მშობლებს, წაგიყვანენ სათაფლიაში და დარწმუნდებით, რომ არ გატყუებთ, აბა!

ირმა მალაციძის მოთხრობები

სევდია და ფიქრია

ერთი პატარა ქალაქის გარეუბანში, მწვანედ შეღებილ, კოხტა სახლში ერთი პატარა გოგონა ცხოვრობდა. ის გამუდმებით თავის მშვენიერ, თეთრ ოთახში იჯდა და ეზოს სევდიანი თვალებით გაჰყურებდა. მართალია, ეზო სულ მწვანეში იყო ჩაფლული და იმის ყურებას არაფერი სჯობდა, მაგრამ გოგონა მაინც ძალიან დაღონებული იყო. შემოდგომაზე ფოთლები წითლად და ყვითლად იფერებოდა, ზამთარში თოვლი ფარავდა ხეებს და ბუჩქებს, გაზაფხულზე კი თეთრი კვირტებით იმოსებოდა არემარე, მაგრამ გოგონას მაინც არაფერი ახარებდა - გაჰყურებდა ამ სილამაზეს და დუმდა.

აღარავის ახსოვდა, რა ერქვა გოგონას - ყველა სევდიას ეძახდა. ამაზე შესაფერის სახელს კაცი მართლაც ვერ მოიგონებდა. ასე გადიოდა დრო, გოგონა კი კიდევ უფრო სევდიანდებოდა. არავინ იცოდა მისი დარდის მიზეზი - არავის ანდობდა თავის ფიქრებს.

სევდიას სახლის მახლობლად მეორე სახლიც იდგა, ფერად-ფერად ყვავილებში ჩაფლული. ამ სახლში სხვა გოგონა ცხოვრობდა. სევდიასავით ისიც სულ ჩაფიქრებული გაჰყურებდა არემარეს. რაზე ფიქრობდა, არავინ იცოდა. არც მისი სახელი ახსოვდა არავის, რადგანაც დიდი ხანია ყველა ფიქრიას ეძახდა. ივჯდა ფიქრია თავის ვარდისფერ ოთახში და ფიქრსა და ოცნებაში ატარებდა მთელ დროს. ეხვეწებოდნენ მშობლები აქეთ ფიქრიას, იქით სევდიას, გადი, ეზოში გაისეირნე, ნახე, გარეთ როგორი სურნელია, როგორ ყვავის ყველაფერი, ან თანატოლებთან მაინც ითამაშეო, მაგრამ ერთიც და მეორეც ჯიუტად ისხდნენ და გარეთ ფეხს არ ადგამდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს ყველასგან მოულოდნელად ფიქრიამ გასეირნება გადაწყვიტა. თითქოს რაღაც იგრძნოო, სევდიასაც სწორედ ამ დროს მოუნდა ეზოში გასეირნება. ორივე გოგონა თითქმის ერთდროულად გამოვიდა ამწვანებულ ეზოში და რამდენიმე წუთში ერთმანეთს შეხვდა.

- რა გქვია? - შეეკითხა ფიქრია და გოგონას ყურადღებით დააკვირდა.

- მე - სევდია. შენ?

- მე ფიქრიას მეძახიან.

- უცნაურია, რატომ დაგარქვეს ეს სახელი?

- იმიტომ, რომ ფიქრი მიყვარს. დღედაღამ ვზივარ და ვფიქრობ. შენ რატომ დაგარქვეს სევდია?

- მე სულ სევდიანი ვარ და იმიტომ.

- რამ დაგასევდიანა?

- რამ და... მართალია, აქამდე არავისთვის გამიმხელია, მაგრამ შენ არ დაგიმალავ - იმან დამასევდიანა, რომ სულ მარტო ვარ - არც და მყავს, არც ძმა. სახლში კი ისეთი მოწყენილობაა, დავსევდიანდებოდი, აბა, რა იქნებოდა.

- ჰო, მართლაც ძნელია, - ამოიოხრა ფიქრიამ.

- შენ? შენ რატომღა გქვია ფიქრია?

- მე სულ ჩაფიქრებული დავდივარ და იმიტომ.

- შენ რაზე ფიქრობ?

- უამრავ რამეზე. განსაკუთრებით კი იმაზე, რომ ძალიან მინდა მქონდეს პუანტები და ვცეკვავდე. ზამთარში, თოვლი რომ მოდის, ფიფქებს ვუყურებ ხოლმე და ძალიან მინდა, მეც მათსავით შემეძლოს ფარფატი. ლამაზი, თეთრი კაბა მეცვას, ფეხზე თეთრი, პრიალათასმიანი პუანტები მეცვას...

ამის თქმა იყო და ფიქრიამ ისე ამოიოხრა, გულიც თან ამოაყოლა. სევდიამაც ამოიოხრა, ჩამოსხდნენ გოგონები ძელსკამზე და ჩუმად დაუწყეს ყურება ამწვანებულ ქუჩას.

უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სევდია ადგილზე შეხტა:

- სულ დამავიწყდა, შარშან, დაბადების დღეზე ახალთახალი პუანტები მაჩუქეს, მე კი ცეკვა არ შემიძლია, ამიტომ ყუთში მაქვს შენახული. გაჩუქებ და რამდენიც გინდა, იმდენი იცეკვე.

ფიქრია უცებ გამოცოცხლდა:

- შეუძლებელია, ნუთუ მე პუანტები მექნება და ცეკვას შევძლებ!

- რა თქმა უნდა, - სიხარულით შესძახა ისევ სევდიამ.

მაგრამ უცებ ფიქრია ისევ ჩაფიქრდა:

- მაგრამ შენ რა გეშველება, შენს ოცნებას რომ ვერ აიხდენ?

სევდიაც ისევ დასევდიანდა.

- იცი რა, თუ გინდა, მე ვიმეგობრებ შენთან და შენც მარტო აღარ იქნები. შეგვიძლია მთელი დღეები ერთად გავატაროთ, ერთად ვითამაშოთ. შენ იცეკვებ, მე კი შენი მაყურებელი ვიქნები...

- მართლა შეგიძლია, ჩემი მეგობარი გახდე? - სიხარულით შესძახა სევდიამ.

იმის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. გოგონები აღარ ისხდნენ მარტოდმარტო, თავ-თავიანთ ოთახებში და მთელ დღეს ეზოში ატარებდნენ. საღამოობით ფიქრია იცვამდა თეთრ პუანტებს და თოვლის ფიფქივით ჰაეროვნად დაქროდა, თითის წვერებზე ტრიალებდა და ცეკვავდა. აღარც სევდია გრძნობდა თავს ეულად - ახლა მას მეგობარი ჰყავდა. ორივე ძალიან ბედნიერი იყო. პატარა ქალაქის გარეუბანში ისევ ისე მოდიოდა თოვლი, ისევ ხმებოდა შემოდგომაზე ფოთლები, ისევ იფურჩქნებოდა ვარდის ბუჩქები გაზაფხულზე და ისევ მწვანედ გაუდიოდა ხასხასი ხეებს ზაფხულობით. მაგრამ ახლა ისეთი მოწყენილობა აღარ იყო, როგორც წინათ, ახლა სევდია და ფიქრია ძალიან ბედნიერები იყვნენ.

რეზო თაბუკაშვილი

ბექების ჩრდილოეთ

ისინი საღამოობით გადიოდნენ პორტში საშოვარზე, კუკა და კოკა. ორნი მუშაობდნენ. „ზარის“ გაგორებას სთავაზობდნენ ქალაქიდან დაბრუნებულ შემთვრალ მეზღვაურებს. ბევრს ვერ უგებდნენ, დუქნებში სასმელებზე და ბორდელებში ბოზების სიაბანდ ამოკვნესებში დახარჯულ მეზღვაურებს წასაგებად ცოტაღა რჩებოდათ ჯიბეზე ფული. მათ ეგრევე ყვლეფდნენ კუკა და კოკა. იცოდნენ, აზრი არ ჰქონდა „ჩათრევების“ გაკეთებას, ისედაც ბოლომდე თამაშობდნენ ზღვაში თვეობით ნახეტიალები, ხმელეთს მოდგარი ბიჭები. ხშირად „დაზამასკებულები“ ვერცხლის პორტსიგარს ან შორეულ ქვეყანაში მყოფი თავიანთი გოგოებისთვის ნაყიდ ეგზოტიკურ სამკაულს ჩამოსულან ფსონში. რასაკვირველია, იმასაც აგებდნენ, რაც უმრავლეს შემთხვევაში არ მოსწონდათ და მაშინ კუკას და კოკას დასწრებაზე და გასწრებაზე უნდა ემოქმედათ, რადგან მეზღვაურები უმეტესად ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ და ყველას საკმაოდ გრძელპირიანი დანები უმძიმებდა ჯიბეებს. როგორც კი ასეთ პერსპექტივას იყნოსავდნენ, კუკა და კოკა პირველები გადადიოდნენ შეტევაზე და შემდეგ დოკების ლაბირინთებში უჩინარდებოდნენ.

რამდენიმეჯერ ისინიც დაბრუნდნენ დანადანარ ტყამები თავიანთ ფიცარშემოლეწილ ყოფილ სათევზაო გემზე, რომელიც სახლის მაგივრობას უწევდა მათ, მაგრამ უფრო ხშირად დოკებში ძირს დაყრილ, თეთრ უნიფორმაზე სისხლმოთხვრილ მეზღვაურებს ტოვებდნენ.

კამათელთან საქმე კუკას ჰქონდა. გამხდარი კუკა, მეზღვაურების აზარტის გასახურებლად, სულს უბერავდა კამათლიან მუშტს, შემდეგ მკერდზე ირტყამდა და წელში წინ გადახრილი ისროდა. გათამაშებული უკმაყოფილების გასამყლავნებლად, მჭიდროდ შეკრულ გრძელ თითებს ისვამდა ზიგზაგად წასულ მარცხენა წარბზე. არადა, სკამზე ზანტად წამომჯდარს რომ ეტყორცნა, მაინც იმას დასვამდა, რაც სჭირდებოდა. აუცილებლობის დროს ბეშის შუა წერტილებში ვერცხლისწყალჩასხმულ კამათელსაც შემოაცურებდა თამაშში.

არ ვიყავი მართალი, როცა ვთქვი, ორნი მუშაობდნენ-მეთქი. მათ თან ახლდათ შავი კატა, სახელად ბაზიბაზი. სწორედ მისი საკმაოდ შემონახული ბეწვის ფერებისას აძვრენდა ხოლმე კუკა გაკეთებულ კამათელს მუქი პიჯაკის მარცხენა სახელოში ამოქსოვილი პატარა ჯიბიდან. სულ იქ ჰქონდა, ახლოდან არ იშორებდა.

საჭირო მომენტებში ბეჭებში გაშლილი, მოხეული კოკა ერთვებოდა საქმეში და რაიმე მიზეზით ყურადღება თავისკენ გადაჰქონდა. ის ყოველთვის ყველასგან ერთი ნაბიჯით უკან ან განზე იდგა, ექსტრემალური ვითარებისთვის პოზიციებს ირჩევდა და მასიური ყბის გვერდულად მოქცევით თამბაქოს ღეჭავდა. მრგვალი დაჭმუჭნილი კეპი სახიფათოდ მოღიმარ თვალებამდე ჰქონდა ჩამოფხატული. ამ კეპის დახმარებით „ცინკებს“ აძლევდა კუკას: კეპის მოხდა თამაშის შეწყვეტას ნიშნავდა, - მოსაგები აღარაფერი აქვთო, კეფისკენ გადაწევა - ფსონის გაზრდას და ა.შ.

ბაზი-ბაზი შორიახლოს დაიარებოდა და დაკვირვებით უთვალთვალებდა მოთამაშეებს, სანამ კუკა ნაპირზე ამოგდებული გემის გვერდზე კამათლის მისარტყმელად მოქნეულ, მჯაში ამოძრავებულ ხელს წინ გაისროდა და შედეგის ცდაში რამდენიმე წამი წელში მოხრილი შეშდებოდა.

როცა უყისმათო დღე იყო და ვერავის გამოიჭერდნენ, კუკა ახალშემოსული ტურისტული გემების მგზავრებს სანაძლეოებს სთავაზობდა, რომ მათ შეკვეთილ ციფრს დასვამდა ჰაერში ატრიალებულ, ჟანგიან რკინას მიხეთქებულ და მიწაზე დაყრილ კამათელზე. ასრულებდა. ხანდახან ვინმე აზარტული მგზავრი გამოიდებდა თავს სათამაშოდ, გაუგებარი მიზეზით გათამამებულს რომ მიაჩნდა, მოიგებდა, რომ ფორტუნა მისკენ არის და საერთოდ კაი ძველი გამოცდილი ვინმეა. ხშირად წაგებისგან სახეალეწილებს და გაკვირვებულ-განაწყენებულებს ატირებული ბავშვები და გაბრაზებული ცოლები მიადგებოდნენ, რის გამოც კუკა და კოკა დისკომფორტს განიცდიდნენ. ბაზი-ბაზიც ასეთ შემთხვევაში უსიამოვნოდ აიბურძგლავდა ტანზე ბეწვს, ცხვირს დააცემინებდა და მოშორებით გადიოდა.

ზემოთ ნახსენები მათი ერთ დროს „სათევზაო“ გემი, ნავების და სხვა საცურაო ტრანსპორტის გამტაცებელი ბისგან იაფად ნაყიდი, პორტთან ახლოს იდგა. ფსკერზე ფესვებგადგმული და ნიჟარებით გვერდდამშვენებული, სქელი ბაწრით ჰქონდათ მიბმული წყლისკენ გადმოხრილი პალმის ძირზე. მოზრდილი ტალღების დროს ზღვა აქეთ-იქით არწევდა გემს, დაუმაგრებელ ნივთებს ბორტიდან ბორტამდე ათრევდა. კუკასთვის და კოკასთვის ეს არ ქმნიდა უხერხულობას, არც ერთს არ აწუხებდა ზღვის დაავადება. მხოლოდ ბაზი-ბაზის გაუჭირდა თავიდან, როცა პატარა, ლურჯთვალება, ბურთივით კნუტი მთვრალმა კოკამ მარკიორს მოუგო „პირამიდის“ თამაშში. რად უნდოდა ეს კატა? უბრალოდ, მის კნეინას მოეწონა დახლს უკან, ბოთლებს შორის თაროზე მოკალათებული კნუტი. საბილიარდოდან გამოსულმა კოკამ რატომღაც აგინა თავის ქალს და ცალ მუშტში დატეული ბაზი-ბაზი გემზე მოიყვანა. რამდენიმე დღე ყურადღებას არ აქცევდნენ პატარა ცხოველს, ეგონათ, თავისით გაიკვლევდა გზას და წავიდოდა, მაგრამ ის ასეთს არაფერს აპირებდა, საკმაოდ ჯიუტად და შეძლებისდაგვარად ხმამაღლა ითხოვდა გამოკვებას.

თავიდანვე მაწაკი ხასიათი აღმოაჩნდა ბაზი-ბაზის. სასადილოდ გაწყობილ მაგიდაზე ახტომის მცდელობისას ხშირად იქიდან მოშორებით მოტყორცნილმა შეუპოვრობით ბოლო-ბოლო მაინც მოიპოვა საკუთარი ადგილი კუკასა და კოკას სატრაპეზოზე, მაგრამ არ თავხედდებოდა, რასაც გადმოულებდნენ, იმას სჯერდებოდა. აუჩქარებლად, თანმესუფრეების თვალიერებით შეექცეოდა საჭმელს.

თანდათან შეეჩვივნენ კუკა და კოკა პატარა ცხოველს. მისი ფრთხილი, სანადირიდ გამიზნული გადაადგილებები გემბანზე და ხმაურიანი „მიაუთი“ წინა თათებზე დაყრდნობით გაზმორებები არ აღიზიანებდა მათ.

იმ დღეს, სანამ კუკა ორივე ფეხში თითო ტყვიას მიიღებდა ვიღაც მაღალი ქერა ბიჭისგან, რომელსაც უცნაური სახელი - ხაინა ერქვა, ის ნავის ცხვირზე იწვა, ბაზი-ბაზის ცალი ხელით კისრის ქვეშ ეფერებოდა და ზღვას უყურებდა. დიდი იმედის მომტან ზღვას, როგორც ადრე ეგონა, მაგრამ იმედმა არცთუ ისე გაუმართლა, რაშიც ზღვა არ იყო დამნაშავე. ხშირად ყველაფერი ჩანფიქრის მიხედვით მიდიოდა, ოღონდ გზადაგზა (ტალღებ-ტალღებ) ზღვა თავის შტრიხებს უმატებდა - მკვეთრს, მსფრს და ბოლოს მიზანს მიღწეული კუკა აღმოაჩენდა, რომ სისრულეში მოყვანილი ჩანფიქრი დიდი ვერაფერი შვება იყო. ზღვის მიერ დატოვებული იარები რჩებოდა მხოლოდ, რომლებიც ადრე თუ გვიან ყოველთვის ხორცდებოდა. მარილიანი წყალი აჩქარებდა ამ პროცესს.

სივრცეების ცქერით გართულ კუკას და მის თეძოს თან წამოგორებულ ბაზი-ბაზის არაკეთილხმოვნად ჩაესმოდათ ანძის ქვეშ მძინარე, თეთრ დაკონკილ იალქანში გახვეული კოკას ხვრინვა. ფერებით მინაბულმა ბაზიმ მისკენ გაიხედა და წყალში ჩავარდნილ ღრუბელს მიამსგავსა, რომელსაც ხედავდა ხოლმე შორს ზღვაში, ზღვა რომ შხამიანი მწვანე ხდებოდა, ისეთ ამინდში. ღრუბელმა წყალში გაწოვა იცოდა, კოკასგან განსხვავებით.

- მიდი, გააღვიძე, - ხელი წაჰკრა კუკამ ბაზის. ზანტი ნაბიჯით მიუახლოვდა კატა მძინარე კოკას, ზედ აახტა და მისი თავის სავარაუდო ადგილსამყოფელთან კისრის წაგრძელებით „კრუუ“ დაიკრუსუნა. კვლავ მოასწრო, გასცლოდა კოკას მოქნეულ ტორს, ერთხელაც ვერ მოარტყა. „დავახრჩობ ამ კუდიანს!“ - აბობოქრდა

აქაფებულს „პილცა“ ააფხიკონ ორთქლიანი ტყავიდან. ეს ნაღებია ხოლმე... დაარტყა ცხვირში წყალმა, სასუნთქი არხებიდან მოლეკულებად დაიფანტა ტვინის, გულ-მუცლის და თეთრი იალქანი. გაღვიძება არ იყო კოკას საყვარელი გართობა. სიზმრული ტალღების შხეფების შეშრობას დრო სჭირდებოდა. ნაჭრიდან გამომძვრალი ჯერ კეპს დაიხურავს და მუხლებზე ხელებშემოჭდობილი იჯდება რამდენიმე ხანს, მერე წყალში გადაეშვება და ძილში განცდილი განწყობილების გახსენებას შეეცდება ცურვისას. ცურვისას კარგად ფიქრობ. სწორი სუნთქვისას „სწორი“ ფიქრები იკვლევენ შენამდე გზას. სიზმრებიდანაც საჭირო ფრაგმენტები და სურნელები ტივტივდება, იფილტრება ათასი ხარახურიდან და კარგი მოკარნახეა. ყველას ინდივიდუალური სუფლიორი ჰყავს. კოკას საკუთარის ჩურჩულიც ესმოდა.

მოაპობდა შემხვედრ ტალღებს კოკა, მოსმის შემდეგ გამოყოლილი აბლანდული, სხეულში უმისამართოდ მიმოფანტული შეგრძნებების დაფასოებას ცდილობდა. ერთი იყო - დიდ გუნდად შენიღბულიყო, ტვინს ბურუსად მოსდებოდა და ცნობისმოყვარეობის უჯრედებს ეხახუნებოდა. ჯერ მისი სახელი ვერ დაეკონკრეტებინა კოკას. ყველა ნასროლი ანკესი უმისამართო აღმოჩნდა. წვრილმანებს ვერ კიდებდა კაუჭს, უსხლტებოდნენ, არადა, ისინი არიან მთავრამდე მიმყვანები, ან თვითონ არიან მთავრები. დეტალებს, სწრაფად ცვალებად სურნელებს, ერთ მთლიან უფორმო მასად აღიქამდა. რამდენიმეჯერ შეტოპა, სცადა ამ რძისფერ მასაში შევარდნა, მსგავსად აღმოსავლური ცხენისა, რომელსაც მზის ჩასვლისას თავდამძიმებული კანაფის ყანაში შეაგდებენ საჭენაოდ, რათა მერე გაოფლილს და სხეულის უჯრედოვან ქსოვილებს შორის. თვალებიდან ცრემლები წამოვიდა... შენიღბულ გუნდაში დრო დაბუდებულიყო, მოკლეჰორიზონტიანი, წრიულბრუნვადი, ხელგაშვე ბული დაჭიმული „ჟგუტი“. საიდან დაილექა მასში? კოკას დრო არ ადარდებდა. უნდა გრძნობდე, როდის რა გააკეთო, - მიაჩნდა მას. უკვირდა იმ ორი ხმამაღლა მოკამათე კაცის, გუშინ რომ ნახა ხიდზე შეჩერებული და ნერვიულად მოსაბრე (ეტყობა, მათგან ჩარჩა). ერთი ამბობდა, დრო ფულიაო. მეორე - ფული მომეცით, დრო ვიყიდოო. ან ისეთი ყოფნა რად გინდა, რომ დრო „სჩოტჩიკზე“ ჩართო, ან ამ უზომოდ გაწელილ დროში რისი გაკეთება ვერ უნდა მოასწრო, რომ დამატებითი წუთები მოითხოვო?..

გემის ცხვირიდან ჩამოკონწიალებული თოკით ამოძვრა უკან. მძიმედ ახტა-დახტა, წყალი ჩამოიფერთხა და გასაშრობად თავის იალქანში გაეხვია. ბაზი და კუკა ისევ გემბანზე იწვნენ.

- გუშინ პორტში მითხრეს, მატერიკიდან სამხედრო გემებს აგზავნიანო, - ზურგს იმშრალებდა კოკა.

- ჰო, მეც გავიგე, - უპასუხა კუკამ.

- თუ ეგრეა, აქ აღარ დაიდგომება.

ბაზი საუბრით დიდად ვერ დაინტერესდა, კუკას ფეხებს გადაახტა და ქალაქში წავიდა სახეტიალოდ.

- საღამოს შვიდზე დოკებში იყავი, - მიაძახა კატას კუკამ.

- ჯერ დრო არის, - თქვა კოკამ...

* * *

კოკამ მთვარიან ღამეს გადააყვანინა დაჭრილი კუკა მეთევზეებს კუნძულზე ნაცნობ ქირურგთან. საიმედო ადგილია, არაერთხელ გამოცდილი. ნავი კანოეს ტიპისა იყო,გრძელი და ვიწრო. ერთი მეთევზე თავში იჯდა, მეორე ბოლოში, თითო ნიჩაბი ეჭირათ ხელში და ნავის სხვადასხვა მხარეს სამ-სამ მოსმას აკეთებდნენ, მერე მხარეებს ცვლიდნენ. მათ შორის კუკა იწვა. ციებ-ცხელება ტანჯავდა. მაღალი სიცხისგან კანი გამოუშრა, ღარებად დაუსკდა და წყალში დასველებული ხელისგულის შეხებისას გახურებული შუბლი ხრიოკ უდაბნოდ წარმოედგინა. ვეღარ ცნობდა საკუთარი შუბლის ლანდშაფტს. წითელ ბორცვიან უდაბნოდ ქცეულიყო ის, სადაც გიგანტი აქლემები დაიარებოდნენ და ქვეწარმავლები დასრიალებდნენ. უდაბნოში დასადგურებული ყრუ სიჩუმე შავი ციდან გრუხუნით წამოსულმა ვიღაცის ხმამ დაარღვია. მშრალი ქვიშა ქარბორბალად დაატრიალა... მეთევზეების ხმა იყო. ისინი ჩრდილოეთის კუნძულების შესახებ საუბრობდნენ, იმ ადგილების შესახებ, სადაც წლის უმეტესი ნაწილი თოვლი მეფობს და ოკეანემდე ჩამოღწეულ ტყვიისფერ ცაში მიუჩვეველი ყურისთვის შემზარავი კივილით დაფრინავენ დიდი თეთრი ფრინველები.

- შენ ნამყოფი ხარ ჩრდილოეთში? - ჰკითხა მეთევზემ კუკას.

კუკა ნამყოფია ჩრდილოეთის კუნძულებზე, ერთ ვაჭარს გაჰყვა ბეწვეულის ჩამოსატანად. იქაურობა თეთრი და მწვანე ფერის ლაქებად აგონდება და მუნჯი გოგოს, ევას, ამოტეხილ ყინულებში მოქცეული წყალივით მელნისფერი თვალების ფერად. ევა ერთ-ერთ კუნძულზე ნახა. ნაპირზე დაშვებულ ფრინველებს გაყინულ თევზებს აჭმევდა. მამამისი მათ გემზე იყო ამოსული. ხის ფეხი გემბანზე დაყრილ ქურქებზე ედგა, დაბლა დაშვებულ ხელში კრიალოსანს ათამაშებდა და ვაჭართან საუბრისას ხმამაღლა იცინოდა.

...თოფგადაკიდებული კაცი თავდახრილი მიდიოდა ღრმა თოვლში. სუნთქვისას ღრუბლების გუნდები ხრიალით გამოსდიოდა პირიდან. მის ტანსაცმელს ცეცხლის სუნი ასდიოდა... კაცმა იღრიალა, სისხლიანი ხელი წვერზე მოისვა, ზედ მიყინული თოვლი წითლად ჩამოდნა. თავისივე დაგებული ხაფანგი, დავიწყებული, არც ახსოვს როდის დანაღმული, ჩაჟანგული კბილების ღრჭიალით უმსხვრევდა ძვლებს მუხლს ქვემოთ... თოვლი ფომფლო და ფხვიერი იყო. მის ტანსაცმელს ჭრილობაზე აკრული ფიჭვებისა და ძირს ჩამოყრილი ფოთლე-

გემების ჩრდილ-ქვეშ

ბის სუნი ასდიოდა... „ევა, არ დაიბნე“, - უთხრა სახლამდე მიღწეულმა თავის შვილს. ევა არ დაბნეულა. ბუხართან ახლოს, დაბალ საწოლზე მოთავსებულ მამას სპირტიანი სასმელი დაუდგა ბოთლით. თაროზე შემოლაგებული ქილებიდან გამხმარი ბალახები ხის თასში ჩაყარა მოზომვით და დაფქვა, მერე მოყვითალო სითხეში გააზავა, ერთმანეთში აურია, ნანადირევის საჩეხი გრძელი დანა ცეცხლზე გააცხელა. კაცმა დიდი ყლუპებით ჩაცალა ბოთლი. თვალები აემღვრა. ევამ ხის ნაფოტი ჩაუდო კბილებს შორის. გოგომ მუხლს ქვემოთ მოსხიპა მყესებზე დაკიდებული გაშავებული ფეხი...

ვაჭრობის დასრულებისას ევაც ამოვიდა გემზე. მამას ბეწვეულში გაცვლილი სანოვაგის ჩაზიდვაში ეხმარებოდა. მშობელთან საუბრისას ის არ იყენებდა მუნჯისთვის სპეციფიკურ ჟესტებს, სათქმელს ერთმანეთს თვალებში ჩახედვით უზიარებდნენ. მამა-შვილი კარგად ირჯებოდა. მეზღვაურებიც ეხმარებოდნენ. კუკას კაი ხნის მობეზრებული ჰქონდა ეს ცივი მხარეები, ყინულებისგან გემის ბორტების გაფხეკა და კუნძულზე მოხვედრისას ატეხილი გაცვლა-გამოცვლები. მზე და სითბო იხმობდა მას. გემბანზე გამოსული მოწყენილი აკვირდებოდა ფორიაქს. „კაი ყისმათზე უნადირია ამ ცალფეხას“... ჩასაზიდი კიდევ ბევრი იყო. ევა მძიმე ტომარას მიეკაჭებოდა. კოკა დაეხმარა და ნაპირზე ჩაატანინა. ევამ მადლობის ნიშნად შეხედა. მას მარადიული სიმშვიდე ჰქონდა თვალებში. მაგ მიკარგული კუნძულიდან შორს, ათას ხათაბალაში მოხვედრილი კუკა ბევრჯერ დაბრუნებულა ამ მზერასთან და ყოველთვის მხნეობა და თანადგომა შეუგრძვნია. და ახლაც, ტორტმანით მცურავი ნავის ფსკერზე წოლისას, ევამ ჩააქრო მისი წითელი უდაბნოები.

- ახლა დინება წამოვა და გავყვეთ! - თქვა ისევ იმ მეთევზემ, რომელიც ჩრდილოეთით იყო დაინტერესე ბული.

„დინებას გაყვე“ - უარყოფითი მნიშვნელობით იხმარება ხშირად ნაპირზე. ნათქვამს აედევნა ფიქრებით კუკა.

* * *

კოკამ და ბაზი-ბაზიმ ამ ამბის მერე საცხოვრებელი მიატოვეს და ბებერ მევახშესთან, რომელთანაც დიდი ხნის საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ, ქალაქის გარეუბანში გადაბარგდნენ. მევახშემ ზედმეტი გამოკითხვის გარეშე ზედა სართულზე ოთახი გამოუყო მათ. კოკა გაოფრთხილა, კლიენტებთან არ გამოჩენი ლიყო - ათასი ჯურის ხალხი დაიარება აქ, ბაზიც რომ გამოკეტოს, უმჯობესია, რადგან მასაც ბევრი იცნობს.

კუკას გამოჯანმრთელების მოლოდინში კოკა და ბაზი ვიწრო, ზამბარებიან ლოგინზე კოტრიალით და ფანჯარაში ყურებით კლავდნენ დროს. კოკას ზანტი, აუჩქარებელი მოძრაობების შემხედვარე ბაზი მიხვდა, რომ ისიც კოკას მოძრაობის სიჩქარეზე უნდა გადაწყობილიყო, პორტიდან უკუსვლით გამავალი გემის ტემპი უნდა აეღო, რადგან, საკარაუდოდ, დიდხანს მოუწევდათ ჭერგაყვითლებულ ოთახში ყოფნა და ამ პატარა სივრცეში საჭირო იყო არმოსაწყენი საქმეების გამოძებნა, რაც ლოგინის ქვეშ ზამბარებზე თათების რტყმისგან გამოწვეული გაწელილი ბგერების სმენით და რაფაზე მზეს მიფიცხებით გამოიხატა. ბაზის არ ხიბლავდა იატაკზე და კედლებზე მრავლად მბობღავი მწერების წვალება-განადგურება და მათგან ჭუჭყიანი ლაქების დატოვება, როგორებიც ხშირად რჩებოდა კოკას ფეხის დადგმის, ხანდახან დარტყმის ადგილზე.

ფანჯარაში სამსართულიანი სახლი ჩანდა, გვერდითა ყრუ კედელზე ხარაჩოები ჰქონდა მიდგმული. ეს შენობა კოხტა რიტას ეკუთვნოდა. პირველ სართულზე საცეკვაო იყო გახსნილი, სადაც ზღვიდან გამორიყული თუ ზღვას გამოქცეული კაცები და ქალები იკრიბებოდნენ. მეორე და მესამე სართულებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა.

რიტას ჩახლეჩილი ხმა და ერთი ცუდი თვისება ჰქონდა - საუბრისას მოფერებით ლოყაზე გჩქმეტდა. მისი ცუდი მხარეების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ კოკას სულ სხვა რამეები ახსენდებოდა რიტას თან დაკავშირებით. მოგონებებით გართულმა კოკამ გვერდით წამოგორებული ბაზის წაკრუსუნება დაცინ ვად მიიღო. რიტას მარჯვენა მკერდის ქვეშ იარა აქვს, თხელი-თხელი, რომელიც ძუძუს მომრგვალებას გაუყვება...

„კრუუ“ იყო ბაზი, და აღმოჩნდა ბაზი ლოგინის ქვეშ. რიტას თავისი შესაძლებლობებით თავისუფლად შეეძლო მდიდრულ რაიონში გადაბარგება, მაგრამ მან ღატაკ გარეუბანში არჩია დარჩენა, რომლის ქუჩებში უპატრონოდ გაიზარდა და გამოიბრძმედა. სანტიმენტები ნაკლებად აწუხებდა რიტას, უბრალოდ, აქ კარგად მოიკიდა ფეხი, რამდენიმე „პრესტიჟული დაწესებულება“ გახსნა და წარმატებით მართავდა მათ. რიტას ხელგაშლილობას ვერ დააბრალებდი: „მიდექი-მოდექი და უშველე თავს“, - ურისხდებოდა იგი მთხოვნელებს. მრისხანებაც როგორ უხდებოდა... ბაზი, ხმა! მოკლედ, იმ ერთადერთი ღამის გარდა, კოკას ხელმეორედ აღარაფერი გამოსვლია. არ ღირს გახსენება და ნერვების მოშლა, მაგრამ მოდი და ნუ გაიხსენებ, როდესაც დღეში რამდენიმეჯერ ხედავ ამ ქალს შენი ფანჯრიდან და მისი გემრიელად ვერშესწავლილი სხეული გიდგება თვალწინ. რიტა საცეკვაოს წინ გახსნილ კაფეში გამოდიოდა ხოლმე და ხარაჩოებზე მომუშავე გოგოს ძირს ჩამოსვლას და საჭმლის ჭამას სთხოვდა, სთხოვდა კი არა, ეჩხუბებოდა: „სულ არაფერს არ ჭამს ეს ბავშვი!“ ის გოგოზე ზრუნავდა. გოგოზე, რომელიც ხარაჩოზე ცხოვრობდა და ხატავდა. გოგოს ბიჭივით ჰქონდა შეჭრილი თმა, გახსნილი სამართებლის ფორმის ჭაღარა ლაქით კეფაზე. ის კედელზე ხატავდა. ხატავდა მზიან სივრცეში მფრინავ კაცებს, ქალებს, ვეშაპებს და მწვანე ბოთლებს. ბოთლები იქნებოდა ხუთლიტრიანები, კოკამ შორიდან ამგვარად გაზომა. გოგო ბევრს მუშაობდა. ხანდახან თუ ჩადიოდა კაფეში საჭმელად, ისიც, როგორც ვთქვი, რიტას დაჟინებული მთხოვნით. რიტა საუკეთესო კერძებით და წითელი ღვინით უმასპინძლდებოდა მას, ხილს და თბილ ტანსაცმელს ხარაჩოზე უგზავნიდა მსახურის ხელით. კოკას არ გაჰკვირვებია რიტას ყურადღებიანობა უცხო ადამიანის მიმართ. ეტყობა, ეს გოგო უცნაური ღიმილით, კეფაზე ჭაღარით, მფრინავი ნახატით ან ვინ იცის რით, შეეხო რიტას მზიან მხარეებს.

გოგო იშვიათად წყვეტდა მუშაობას. მოსაწევად თუ ისვენებდა - ჩამოჯდებოდა ხარაჩოზე, გრძელ ფეხებს გადმოკიდებდა ძირს და აბოლებდა. დაბნელებისას იქვე შლიდა ლეიბს და ნაჭერგადაფარებული იძინებდა ზედ. მან მხოლოდ ერთხელ გამოხედა კოკას და ბაზის ფანჯარას. ხარაჩოზე იდგა და დაძინების წინ ბოლო ღერს ეწეოდა. რაფაზე გასაგრილებლად წამოწოლილ, სახურავებს შორის გაჩხერილ მთვარეს მიშტერებულ ბაზი-ბაზის და მის გვერდით სკამზე მჯდომ კოკას მოჰკრა თვალი. ცოტა ხანს უყურა, გაეღიმა, ხარაჩოს კიდესთან მივიდა, წყალში მხტომელივით გაშალა ხელები, ქუსლები შეაერთა, ცერებზე წამოიწია, მკლავები ყურებამდე მიიტანა, მერე წამოიძახა რაღაც და მოწყვეტით ჩაჯდა ცალ მუხლზე. სიგარეტი ისევ ხელში ეჭირა, ნაფაზი დაარტყა და ნამწვი მათი ფანჯრისკენ ტყორცნა.

* * *

არ გახვიდე, დაგცხრილავს! - მითხრა ანეტამ. ლოგინზე წამომჯდარს საბანი ისე აქვს ტანზე მოხურული, რომ ცალი მკერდი უჩანს. იცის, მომწონს მისი ეს ნაწილი. სხვა ნაწილებიც მშვენიერი აქვს, მაგრამ მორჩა, ისედაც დიდხანს შევრჩი... „დაგცხრილავს“ მაზალო სიტყვაა. უსიამოვნოდ შემაჟრჟოლა, მინახავს დაცხრილული. მართალია, ამჯერად სეტყვაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ რა იცი, რა ჩააქსოვა ამ სიტყვებში შეურაცხყოფილმა ქალმა, რა ბნელი (შავი) სურვილებით დაამძიმა. ანეტა რკინის საწოლის მოაჯირს მიეყრდნო ბეჭით, ნაწყენ მზერას არ მაშორებს და ხშირ-ხშირად აფახულებს თვალებს. ჯერ იმედი აქვს, რომ შეიძლება არ წავიდე, გადავფიქრო (ასეთ შემთხვევაში, რამდენიმე დღეში თვითონ წავა), მაგრამ სულ მალე ეს ფართოდ გაღებული ნაწყენ-გაკვირვებული თვალები ბოროტად დაეწკურება, ჭორფლიანი პატარა ცხვირი ბრაზისგან კიდევ უფრო აეპრიხება და ანეტა სეტყვის როლის შემსრულებელია ჩემივე ნაჩუქარი „ჯალტერის“ მეშვეობით. სეტყვა იშვიათი ხილია ბუნებაში და რაღა მაინცდამაინც ახლა წამოვიდა, როდესაც გარეთ უნდა გავსულიყავი, აქაურობას მოვშორებოდი. ანეტასკენ არ გამიხედავს, ლოგინთან მოგორებული მაგიდიდან ბროწეული ავიღე და გასასვლელისკენ წავედი. მარცხენა ხელში მოქცეულ ბროწეულს ცერა თითით ვბეჟავდი, ისე, რომ კანი არ გამსკდარიყო. სხვა ბროწეულის კანი გასკდა კედელზე. ყუმბარასავით ჩამიქროლა თავთან და კარის გვერდით აფეთქდა.

გარეთ გამოსულს, არცთუ მცირეკალიბრიანი სეტყვა დამხვდა. ანეტას სახლის შორიახლო დავდექი ფართო აივნის ქვეშ და წინა კბილებით ბროწეულზე ატკეჩილი ადგილიდან წვენს პირში ვიწურავდი. აივნიდან ვიღაცამ სიგარეტის ნამწვავები გადმოყარა. გამახსენდა, ამ აივნის პატრონზე ანეტა ამბობდა: „არ უდგება“. „შენ რა იცი?“ „მთელმა უბანმა იცის, ცოლი მორალურად გამართლებულია და აშვერილი აქვს ფეხები“. „ალბათ, უფრო ფიზიკურად გამართლებული.“ „ფიზიკურადაც არა უშავს, ფეხებს ვგულისხმობ.“

უყვარს ანეტას ტლიკინი.

მოსმენაც იცის.

ბოლოს, რაღაცაზე აღრენილი ვბრაზობდი, რომ ისე არ ხდება ამბები, როგორც საჭიროა. „შენ რა, ღმერთზე კეთილი ხარ?“ - დამცინა. „შენ რა იცი ღმერთის?“ - გავხედე. „მე ღმერთი ვარ“, - სწრაფად და თავხედურად მიპასუხა. აბრეშუმის ღამის პერანგი ეცვა და დოინჯშემოყრილი ფანჯარაში აბოლებდა.

ანეტამ იცის ღმერთი. ყველამ იცის, თავისებურად. ლაზარეთში რომ აღმოჩნდი ფერდგადახსნილი, გოგო იწვა ჩემ გვერდით. მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა, კეფაზე ბუმერანგის ფორმის ჭაღარა ლაქით. შიგადაშიგ აზრზე მოსული, კისერთან გატეხილი ღილით შეკრულ თეთრპერანგიან მის ზურგს ვხედავდი მხოლოდ. სახით ჩემკენ არ გადმობრუნებულა. ახალი გაკერილი ვიყავი და ცამეტი ნაკერი არ მაძლევდა საშუალებას, წამოწეულს მისთვის დამეხედა, უფრო სწორად - მიმეხედა. „ღმერთო, სად მიმყავხარ!.. ღმერთო, სად მიმყავხარ!“ - თქვა რამდენიმეჯერ. ის ღმერთს უფრთხილდებოდა. ვიცოდი, რასაც აპირებდა, მაგრამ მე თვითონ სად აღმოვჩნდებოდი, ჯერ გაურკვეველი იყო. ლაპარაკის ძალა არ მქონდა და მცირე ხნით ვბრუნდებოდი აქეთ. დიდხანს შევრჩი ამ კუნძულებზე და მაგის შედეგია ლაზარეთში მოხვედრა.

ანეტასთან ერთად ვიჯექი კაფეში, ზღვის პირას. „ყველა კაცს სჭირდება ბუნაგი“, - ამბობდა ანეტა. ეტყობა, მოუსვენრობას მატყობდა უკვე. „ლუზების ჩაშვების დრო არ უნდა ააცილო, თორემ მოგწყვეტს ნაპირს, შუა ზღვაში შეგითრევს და თავის ნებაზე გახეტიალებს“... ასეთ რამეებს ამბობდა. ანეტა ხშირად იცვლიდა შეხედულებებს. ერთი დღით ადრე მეჩხუბა, რომ თავშესაფრის ძებნაში, ეს ცხოვრება (ჩემი) უცბად გაილევა და საუკეთესო შემთხვევაში (თუ სიბერემდე მივაღწიე), აღარაფრის მაქნისი, ვინმეს დანაოჭებულ ძუძუებზე მოვისვენებ. ცუდი პერსპექტივა დამიხატა, მაგრამ მე გამეცინა - ქალებს ჩვენს ნავსაყუდელად თავიანთი მკერდი მიაჩნიათ ხოლმე, სადაც ჩვენ ვმშვიდ დებით და ზედმეტი ბრძოლებისგან ვთავისუფლდებით. „ჩვენ (ქალებს და კაცებს) სხვადასხვა რამის გვეშინია, - აგრძელებდა ანეტა, - ქალი შიშებთან ამყარებს კონტაქტს, კაცი კი ებრძვის და მოუგებელ ომში ეხვევა“... „არ გამეხსნა ასე! ნუ გეშინია, მე არ მოგებეზრდები!“ ამგვარი საუბრის დროს კაფეში ჯიბა გამოჩნდა. ხაინ, შენ გეძებო, მითხრა და ანეტასთან ბოდიშის მოხდით გვერდით გამიხმო. ჯიბას გემ „კიბორჩხალადან“ ვიცნობდი. უფროსობასთან უთანხმოების შემდეგ გავიქეცით იქიდან. ერთხანს ერთად ვიყავით, მერე ჩვენი გზები გაიყო. მივხვდი, რომ შარს გადაჰყროდა. ცალი თვალი დაძაბულად დაურბოდა, მეორეზე მარლა ჰქონდა აკრული. ერთ-ერთ ბარში ვიღაც ორ ყომარბაზთან, რომელთაც ერთნაირი სახელები ერქვათ, „მეტნაკლები“ უთამაშია. მათ კიდევ კატა ახლდათ, მაგის შავი თარსი დედა, ვერა და ვერ მოაშორებინა იქიდან, ეს ჩვენთან ერთად არისო. შუა თამაშში ჯიბას კამათლის შემოწმება მოუთხოვია, კატის ფერების დროს რომ გამოაძვრინა გამხდარმა მოთამაშემ სახელოდან. მოგეჩვენაო, მიუგიათ მათ, რასაც შელაპარაკება და მერე ჩხუბი მოჰყოლია. ჯიბამ ვერც დაინახა, რომელმა მათგანმა დაუსვა დანა. ჯიბას თან გამოუცდელი ბავშვი ახლდა. შიშისგან არც განძრეულა... ჯიბას ღმერთი მის წინაშე მუდამ დამნაშავეა. რა? მეტის ღირსი არ არის ჯიბა, უფრო იღბლიანი, შეძლებული და ნაკლებნატანჯი რომ იყოს? ყველაფერი-ყველაფერი, მაგრამ ეს იარა სიფათზე ზედმეტი იყო. პასუხია მოსათხოვი და საერთოდ, ღმერთი თუ არ დაეხმარება (არც არასდროს იწუხებდა ამით თავს), ის თვითონ აიღებს ასაღებს, როგორც აკეთებს ბავშვობიდან. მოკლედ, მას რომ ახლდა, ის ბიჭი პორტში გადაყრია ყომარბაზებს და შეხვედრაზე შეთანხმებულან. ჯიბა მარტოა (იმ ბავშვს ხო არ წაიყვანს), თორე მე არ შემაწუხებდა. გაუგია, რომ კუნძულებზე ვარ და მომძებნა. მომიბოდიშა ბოლოს. უნდა გავყოლოდი. საღამოს შვიდზე დოკებში უნდა შევხვედროდით. ანეტა მაგიდასთან აღარ დამხვდა. ქაღალდის ნაგლეჯზე, რომელიც ლუდჩარჩენილი კათხის ქვეშ ამოედო, ეწერა: „შენ ღმერთები დაგცინებენ“... რას გულისხმობდა, არ ვიცი. იმ დღეს მთხარეს ფერდში დანა. მერე აღარ მიკითხავს...

საღებავყრილ, ძირგახეულ გემთან შევხვდით ერთმანეთს. მე და ჯიბას ცოტა ადრე მისვლა და ცდა დაგვჭირდა. მალე ისინიც გამოჩნდნენ. ერთი მოხეული იყო, თივის ზვინივით, თამბაქოს ღეჭავდა ოთხკუთხედი ყბით, მეორე - თხელი და მაღალი, მარცხენა ხელს არ იღებდა მუქი პიჯაკის ჯიბიდან. ის შავი კატაც ჩვენ გარშემო დაიარებოდა. მათაც, თავიანთი კატის მსგავსი, ზანტი, მაგრამ მოზომილი მოძრაობები ჰქონდათ. ვხვდებოდი, რომ ჩემი ფრაზები მათი ყურადღების მიღმა რჩებოდა და პიჯაკის მარცხენა ჯიბეზე მქონდა გამახვილებული მზერა. მოხეული თავისი მეგობრისგან მარჯვნივ და ოდნავ უკან იდგა, კეფაზე გადაწეულ კეპს აწვალებდა. ჯიბა ზედმეტად დაძაბული იყო. თხელმა თვალები ცერად დახარა ძირს და ხელის ამოღება დააპირა. დავასწარი. ორივე ფეხი ცხრა ნომრის ტყვიებით დავუზიანე. ჯობდა, მოხეულისთვისაც გამენაწილებინა, - სწორედ მისგან მივიღე ნეკნებში. ჯიბას ჩემზე უფრო არ გაუმართლა, ფეხებში დაჭრილმა მოთამაშემ დავარდნისას მოასწრო ჯიბიდან გასროლა. ტყვია გულში მოხვდა ჯიბას.

სამ თვეზე მეტი ვიწექი ლაზარეთში. რომელიღაც სკოლის საავადმყოფოდ გადაკეთებულ სპორტულ დარბაზში. ხუთ მწკრივად ჩალაგებულ ხის ლოგინებზე სხვადასხვა სენით შეპყრობილი პაციენტები იწვნენ. ანეტა მივლიდა.

ერთ დილას ვერცხლისხაზიანი წითელი ლაქები დაცურავდნენ ლაზარეთში, ცალ-ცალკე, მიმობნეულად. შემდეგ მაჯის სისხო ნაკადად შეერთდნენ და ფანჯარაში გაფრინდნენ. ვენებგადაჭრილი გოგო პირგაკერილ ტომარაში ჰყავდათ უკვე მოთავსებული. მე მისი სახე ვერ დავინახე.

გამოჯანმრთელებულს არეულობა დამხვდა კუნძულებზე. მატერიკიდან გამოგზავნილი დიდი გემები მოსდგომოდნენ სანაპიროს - წესი და რიგი უნდა დავამყაროთ აქო. ცხოვრების სწორი გაგება უნდა გასწავლოთო, ისე, როგორც ადრე ცხოვრობდით, დრომოჭმულია და მცდარი, დავივიჯერეთ და გაჩვენებთ არსებობის მართებულ გზებსო, მოუწოდებდნენ კუნძულის მობინადრეებს. უფრო კი აიძულებდნენ.

მე, პირველ რიგში, ორი ერთნაირსახელიანი მოთამაშე მოვიკითხე. რამდენიმე კვირის წინ გემზე ამსვლელებში დაუნახავთ პორტის მტვირთავებს. ერთი ყავარჯნებზე ყოფილა ამხედრებული. შავი თარსი კატაც თან ახლდათ.

სეტყვამ გადაიღო. თითქმის მოვედი. კოხტა რიტამ (ანეტას მეგობარი ქალია) მეთევზეებს უნდა შემახვედროს, რომლებიც კარგ ფასად, დიდი გემების გვერდის ავლით, აქედან გამიყვანენ, თორემ კუნძულებზე შემოსვლა და აქედან გასვლა წესისა და რიგის დამამყარებლებს აუკრძალავთ. აი, რიტას საცეკვაო დარბაზიც. მოხატული კედლით იცნობო, მფრინავი ბოთლები, ადამიანები, ვეშაპები, კაცი და კატა ფანჯარაში, არის დახატულიო. კარგი საღებავით დაუხატავთ, წვიმამ და სეტყვამ ვერ წაშალა, პირიქით, მოუხდა კიდეც. დაჩუტული ბროწეულის ქერქი ჯერ დაუმდნარ თეთრ ბურთულებზე დავაგდე და გუბეს გადავახტი.

საით მიმყავხარ, ღმერთო?!

ფიქრები ქართველობაზე

რუბრიკის „ფიქრები ქართველობაზე“ სპონსორია ჯეშმარიტი ქართველი, მიჩიგანის ერთ-ერთი კლინიკის ხელმძღვანელი ექიმი, ბატონი ზაზა გოძიაშვილი

ხშირადბოლო ფიქრები ეროვნებაზე, „ეროვნებაზე“ ქართველობასა და ეროვნულობაზე

თამაზ კვაჭანტირაძე

1. ეროვნება

„ეროვნებავ, ღვთის ნიჭი ხარ,
არც საპოვნი, ვერც საყიდი“...
ეს აკაკი გახლავთ...

მონახულია უზუსტესი გამოთქმა - „ღვთის ნიჭი“, ღვთიური საჩუქარი, წყალობა, ანუ მადლი - და ამ მადლს, აკაკის აზრით, ვერც შემთხვევით გადააწყდები და ვერც ფულად დააბურდავებ.

და მაინც - რა არის ის ერთი, განმსაზღვრელი სიტყვა-ცნება, რომელიც ეროვნების არსს გამოხატავს? აკაკისეული „ღვთის ნიჭი“ უფრო შემფასებლური ცნებაა, მე კი ამჯერად არსითი მხარე მაინტერესებს, რის მიხედვითაც ერთი ეროვნების ადამიანები თავს ერთმანეთს უიგივებენ...

რა არის ეს სიტყვა-ცნება: სული? ენა? ისტორია? კულტურა?

ებრაული წარმომავლობის პოლონელი პოეტი იულიან ტუვიმი მეორე მსოფლიო ომის დროს წერს წერილს „ჩვენ, პოლონელი ებრაელები“ და პირველ კითხვას - „რატომ - ებრაელი?“ - ასე ჰპასუხობს: „ებრაელი ვარ სისხლით“... და იქვე განმარტავს: „არა იმ სისხლით, ძარღვებში რომ დამდის, არამედ იმ სისხლით, ვარშავის ქუჩებში რომ იღვრება“...

ახლა ყველაფერი ნათელია: ძარღვებში მოარული სისხლის შემადგენლობით ადამიანთა სრულფასოვნებას როზენბერგები და გებელსები ადგენენ, პოეტი კი მარადიული ზვარაკია და ტუვიმიც სწორედ ამ ომის ზვარაკებს, ებრაელობას, უიგივებს თავს.

ხოლო კითხვას - „რატომ - პოლონელი?“ - ტუვიმი უპასუხებს: „პოლონელი ვარ „ჩემიანობის“ გამო: ვერავითარი ლოგიკით ამას ვერ აგიხსნით, მაგრამ შოპენი უფროა ჩემი, ვიდრე ბეთჰოვენი“.

ისევ სისხლს დავუბრუნდეთ, რადგანაც ჩვენშიაც გააქტიურდნენ ფაშიზმთან მოკეკლუცე ყვარყვარეები... ნუ მოვეტყუებინებით ქართველთა „წმინდასისხლიანობის“ ამ ცრუდამცველებს; პაპის პაპა ქართველი არა გყოლია და ნაღდი ქართველი ვერც შენ იქნებიო - მე, პირადად, სწორედ წინაპართა წარმომავლობაში ამგვარი ჩაკირკიტება მიმაჩნია არაქართულ, მეტიც - ანტიქართულ პოზიციად.

ოდენ სისხლისმიერი წარმომავლობა ეროვნების განმსაზღვრელი ვერ იქნება - ადამიანი, შეიძლება, გაქართველდეს, ან, პირიქით, გადაქართველდეს; თანაც - გადაქართველდეს ის, ვისაც, თუნდაც, წინა ხუთ თაობაში წვეთი არაქართული სისხლისა არა ჰრევია, ხოლო გაქართველდეს ის, ვისაც, თუნდაც, მშობლები ჰყავს არაქართველი.

ყველაფერს რომ დავეხსნათ, მარტო ჩვენი წმინდანებისა და მეფეების წარმომავლობის გახსენებაც იკმარებს: ნინოსი, შუშანიკისა, მირიანისა, გორგასალისა, თამარის...

ასე იყო ყოველთვის, ასე იყო ყველგან; განსაკუთრებით - სასახლის კარზე, სადაც წესად ჰქონდათ სხვა ქვეყნების სამეფო დინასტიებთან დამოყვრება.

ახლა სხვა ავტორის, ამჯერად - ქართველის, ციტატას მოვიხმობ:

„ვინ არ იცის, რომ ეროვნება ნებაყოფლობის ამბავია, ისე ეგებ ჩვენ ყველანი ზოგი არაბი ვიყოთ, ზოგიც - ესკიმოსი“.

ამ ზოგადი დებულების რეალური „თარგმანება“ ავტორის სათქმელს უფრო დაგვიკონკრეტებს: ქართველი ისაა, ვინც თავისივე ნებითა და შეგნებით თავს ქართველად მიიჩნევს, თორემ - თუ წინაპართა წარმომავლობას მივსდიეთ, ზოგიერთი ქართველი, შესაძლოა, არაბი აღმოჩნდეს, ზოგიც ესკიმოსიო.

ოთხსაუკუნოვან არაბობას თუ გავიხსენებთ ჩვენში, არაბის გაქართველებას ისტორიული საფუძველი დიახაც გაჩნია (მაგალითად, ჩვენი წმინდანი არაბი აბო!), ესკიმოსი კი ირონიისათვის „შეაწუხა“ ავტორმა: სისხლისმიერი წინაპრის ძიებამ კაცი, შეიძლება, ყინულეთში მიიყვანოს.

ისე, საირონიე მასალად „ესკიმოსი“ გალაკტიონმაც გამოიყენა:

„ეს - გიორგის, ეს - იოველს,
ეს - ივანეს, ეს კი - მოსეს...
ჯერ ვითვლებით ქართველებად,
თუ არ გაგვაესკიმოსეს“...

ძირითად აზრს დავუბრუნდეთ: „ეროვნება ნებაყოფლობის ამბავია“...

თამამი, მეტიც - უაღრესად სარისკო ნათქვამია.

საქართველოში - მაინც...

და ამას ბრძანებს გამორჩეულად ეროვნული მწერალი ქართველთა შორის - კონსტანტინე გამსახურდია.

ხოლო წერილი, რომელშიც ეს აზრია გაჟღერებული, საოჯახო არქივიდან მისმა ვაჟმა გადმოცა გამოსაქვეყნებლად და დავბეჭდე კიდეც ჩვენს ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1982, N3).

უკიდურესად თამამი აზრია-მეთქი, ამას მე მოგახსენებთ, თორემ, რა ეროვნებისადაც ჩათვლის პიროვნება საკუთარ თავს, ეს რომ ნებაყოფლობის ამბავი ყოფილა, ამას თვითონ ბატონი კონსტანტინე - „ვინ არ იცისო“ - ცხადზე უცხადესად მიიჩნევს.

გავბედავ და ერთს „ჩავუხველებ“ დიდ მწერალს: არ უნდა იყოს ეს ამბავი ცხადზე უცხადესი და ყველასათვის ანბანური ჭეშმარიტება. თუმცა თავად პრინციპს - ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება თავისი თავი თავადვე მიაკუთვნოს ამა თუ იმ ეროვნებას - მეც ვეთანხმები... ოღონდ აქ ზოგი რამ დასაზუსტებელი მგონია; ნებაყოფლობაც არის და ნებაყოფლობაც; ნებაყოფლობა ეროვნების არჩევაში სხვა გახლავთ და ნებაყოფლობა, ვთქვათ, საკუთარი გარდერობის შერჩევაში - სხვა. მოკასინით ივლით თუ შტიბლეტით, ეს მხოლოდ თქვენი (ჰა, ჰა, მეუღლის!) გადასაწყვეტია, მაგრამ გარუსდებით თუ გათათრდებით, ეს მხოლოდ თქვენი და თქვენი მეუღლის გადასაწყვეტი ვერ იქნება თუნდაც იმ მიზეზისა გამო, რომ, ვთქვათ, გარუსება, პირველ ყოვლისა, სწორედ იმას გულისხმობს, რომ თვითონ რუსებმა მიგიჩნიონ რუსად. მახსენდება გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილიდან პოეტის გაგულისებული წამოძახილი რუსებზე - რომ ვერაფრით დავაჯერეთ ეს მამაცხონებულები, მათზე მეტად რუსები რომ ვართო!

ვერაფრით დავაჯერეთ... არ დაიჯერეს - და ძაღლის თავიც სწორედ აქაა დამარხული!

ეს ჩვენი „ნებაყოფლობითი არჩევანი ეროვნებისა“ სხვა ფაქტორებიც იზღუდება. ამ არჩევანის გაკეთება შეუძლია:

არა - ყველას...
არა - ყოველთვის...
არა - განურჩევლად...

და ისიც, ალბათ, ანგარიშგასაწევია, რომ ხალხის უდიდესი ნაწილი ასეთი არჩევანის წინაშე არც არას-

დროს დავმდგარვართ: ბევრნი მივიჩნევთ, რომ ამ მხრივ ჩვენი წილი უკვე ნაყარია ჩვენ გარეშე და ჩვენ მაღლა - ეროვნებას ვლებულობთ, როგორც ბედისწერას.

ვგონებ, ისევ აკაკის მივუბრუნდი: „ეროვნებავ,

ღვთის ნიჭი ხარ“...

და მაინც, იულიან ტუვიმის მეორე მტკიცებას ჩავულრმავდეთ: „პოლონელი ვარ იმიტომ, რომ შოპენი უფროა ჩემი, ვიდრე ბეთჰოვენი“.

უფრო ჩემია!

„ჩემია“-ს განცდა ადამიანს ჩასახვისთანავე თან დაჰყვება. დასაკუთრების ლტოლვა ოდენ საგანს, სხეულს, ნივთს, არსებას - ეს საზრდო ჩემია, ეს ძუძუ, ეს ქალი, ეს დედა ჩემია - როდი სვჯერდება და არც „ეს მთა ჩემია, ეს ცა ჩემია“-თი იფარგლება; იგი უფრო ღრმად ჩაფესვილა ჩვენს სულში და უკვე სხვა სფეროებსაც ეპატრონება: ჩემია ეს ფერი, ეს - გემო, ეს - სურნელი; ჩემია ეს ხმიანობა ანუ ჰანგი ანუ მოტივი ანუ სიმღერა ანუ მუსიკა...

სწორედ მუსიკის - ამ არაცნობისმიერი, უნივერსალური მსოფლიო „ენის“ - ჩემიანობის ხარისხით („უფრო ჩემია!“) განსაზღვრავს პოლონელი პოეტი თავის ეროვნებას.

ცხადია, ბეთჰოვენიც მისია... არც შეიძლება, გენიოსი მისიც არ იყოს... ტუვიმის ქართველი კოლეგისთვის კი „მეცხრე სიმფონიის“ ავტორი იმდენად თავისია, რომ დაუჯერებელში გვაჯერებს:

„ქართული მოტივი - მეცხრე სიმფონია!“...

ბეთჰოვენის მუსიკით გალაკტიონი კი არ გაგერმანელდა - ამ მუსიკით გალაკტიონმა გაიქართველა ბეთჰოვენი.

და ისიც მჯერა, ბეთჰოვენს რომ ქართული სცოდნოდა და გალაკტიონი დედანში წაეკითხა, თვითონ კი არ გაქართველდებოდა - გალაკტიონს გაიგერმანელებდა.

საერთოდაც, გენიოსს არავინ გადაჰყავს თავის ეროვნებაზე: ბახს არ გავუგერმანელებივართ, შექსპირს არ გავუინგლისელებივართ, ჰომეროსს არ გავუბერძნებივართ...

პირიქით, გენიოსი გარდაგვესახება ხოლმე ჩვენი ეროვნებისად: ქართველს - გაგვიქართველდება, სომეხს - გაუსომხდება, ფრანგს - გაუფრანგდება...

ანუ - იქცევა სამთელქვეყნო, საკაცობრიო საკუთრებად!

ბეთჰოვენი ტუვიმმაც გაიპოლონელა: მარტო შოპენი - არა, ბეთჰოვენიც ჩემიაო... ოღონდ მთელი მულამი ამ „ჩემია“-ს ინტენსივობაშია: ერთი უფრო მეტად არის ჩემი, ვიდრე - მეორე.

რატომ?

და აქ უკან იხევს ცოდნა, განსჯა, გონება... აკი თავად აღიარებს პოეტი: ვერავითარი ლოგიკით ვერ აგიხსნით, რატომ არის შოპენი ბეთჰოვენზე უფრო ჩემიო.

მართლაცდა, რატომ არის პირადად ჩემთვის „ჩაკრულო“ „აპასიონატაზე“ უფრო ჩემი? არ ვამბობ - უკეთესი ან უდიდესი... უბრალოდ - უფრო ჩემი?

ამაზე, შეიძლებოდა, ყოფითი, მიწიერი, ჭეშმარიტებასთან მიახლოებული პასუხიც გამეცა: უფრო ჩემია სიახლოვის გამო, ისტორიის გამო, ცხოვრების გამო, კულტურის გამო.

ამაოდ ვირჯები - ყოველი პასუხის უკმარისობას თავადვე ვგრძნობ.

თუ რატომ თვლის ადამიანი თავს ამა თუ იმ ეროვნებისად - ამისი პასუხი რწმენის სფეროში ძევს და არა - ცოდნისა.

ეროვნება უნდა იწამო.

მე, სიტყვამ მოიტანა და, მწამს, რომ ქართველი ვარ.

2. „ენოვნება“

ეროვნება და „ენოვნება“ მარტო ჟღერადობით არა - შინაარსობრივადაც ემსგავსებიან ერთმანეთს; კაცი არა მარტო ამა თუ იმ ეროვნებას, არამედ ამა თუ იმ „ენოვნებასაც“ მიეკუთვნება: თუ ქართულია მისი დედანა, ქართულენოვანი იქნება, თუ ჩინური - ჩინურენოვანი.

მოკლედ, ეროვნებისა და „ენოვნების“ ცნებები ერთმანეთს ეწმახვნის.

ცნობილია, ძველად სიტყვას „ენა“ შეეძლო „ხალხი“-ს, „ერი“-ს მნიშვნელობაც გამოეხატა. როცა ძველ ტექსტში ვკითხულობთ, ბიბლიური ნოეს შვილებისაგან წარმოიშვა 73 ენაო, ცხადია, აქ „ენა“ ხალხის, ერის, ტომის გაგებასაც ითავსებს.

ცნებათა ამგვარ „გაიგივებას“ საფუძველი რეალობაში უძევს: ხალხის მეობას სწორედ მისი ენა წარმოაჩენს. ენავე გვივლენს თავის „ორგემაგე“, დიალექტიკური წინააღმდეგობებისაგან ნაქსოვ ბუნებას: იგი პიროვნულიცაა და საზოგადოც, კიდეც აერთიანებს და კიდეც თიშავს... ბაბილონის გოდოლის ბიბლიური ამბავი გავიხსენოთ: ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს უფალი სხვადასხვა ენაზე აალაპარაკებს და ამით განსხვავებულ ტომებს, ხალხებს, ერებს უყრის საფუძველს. ბიბლიის მიხედვით, ერთი ენის სხვადასხვა ენებად „დაშლამ“ ფაქტობრივად წარმოშვა შესაბამისი ხალხები; მოკლედ - ენამ შვა ერი.

ენაა ის, რაც აიგივებს...

ენავეა ის, რაც განასხვავებს...

აიგივებს - კრებულს შიგნით.

განასხვავებს - კრებულს გარეთ.

ეროვნული თვითშეგნება სწორედ ამ ოგივეობა-განსხვავებას ეყრდნობოდა და, მეტწილად, ახლაც ეყრდნობა; რაც ჩემი მსგავსია, ის ჩემიანია.

ჩემი ენა - ჩემი ხალხი... ისევ იმ „ჩემია“-ს განცდას დავუბრუნდით, ეროვნულობის საზომად რომ გამოიყენა პოეტმა.

მაგრამ „ჩემი“ თავის თავშივე გულისხმობს, რომ არსებობს „არაჩემი“, „სხვა“, „უცხო“.

ამ „ჩემია“-დან იწყება ყოველგვარი უბედურება: ომი, ნგრევა, სისხლისღვრა, გაპარტახება.

ოგივე „ჩემია“ გახლავთ განვითარების, ბედნიერების, ადამიანობის საფუძველთა საფუძველიც... განსაკუთრებით, „ჩვენია“-ში გადაზრდილი „ჩემია“.

და სწორედ ენაა ის, რაც შეუძლებელია „ჩვენი“ არ იყოს: მარტო „ჩემი“ ენა, ენა - როგორც კერძო კაცის პირადი საკუთრება - არ არსებობს.

როგორ, ჯოისის ენაზე, ვაჟას ენაზე ხალხი წიგნებს წერს და, რა გამოდის, არარსებულ მოვლენებზე იწერება მეცნიერული შრომებიო, გაიკვირვებს, ალბათ, ზოგი.

ცხადია, არა მხოლოდ ენობრივად უნიკალურ ამ მწერლებზე ვიყენებთ ამგვარ გამოთქმებს - თითქმის ყოველ მწერალზე ამბობენ, მავანისა და მავანის ენაო. „ვაჟას ენა“ - ეს გამონათქვამი მეტაფორულად უნდა გავიგოთ, თორემ პირდაპირი გაგებით ეს ენა ჩვენი საერთო ენაა, ჩვენი ქართული, ოღონდ - ვაჟათი გაცხადებული, ვაჟას მიერ ამოქმედებული შესაძლებლობა ჩვენი დედაენისა.

გენიოსებს დავეხსნათ - ყოველ ჩვენგანსა გვაქვს ჩვენ-ჩვენი ენა... გვაქვს იმიტომ, რომ - ენა, მართალია, საზოგადო საკუთრებაა, მთელი ხალხის საერთო „ინსტრუმენტი“, მაგრამ მასზე ყველანი ჩვენებურად „ვუკრავთ“ ხოლმე - ენას ჩვენი ინდივიდუალური შესაძლებლობით მოვიხმართ.

ქართულ ენას იყენებდა შოთა რუსთაველიც და ფეშანგი ფაშვიბერტყაძეც. და როგორც ცალკეულ პიროვნებათა მეტყველება ინდივიდუალურად გვივლენს საერთო ენას, ცალკეული ენებიც ასევე ინდივიდუალურად წარმოგვიჩენენ ერთიან, უნივერსალურ სამყაროს.

უფრო მეტიც: ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი გვიმტკიცებს, ენა მსოფლხედვის წესიაო; ანუ - სამყაროს ადამიანი აღიქვამს ენის „ცხაურში“ გამოტარებულს, კერძოდ, დედაენის „საცერგამოვლილს“. ხედავთ, საით გაუტია ამ გენიალურმა კაცმა: რამდენნაირი ენაცაა, თურმე იმდენნაირი სამყარო ყოფილა... უფრო ზედმიწევნით - იმდენნაირად აღქმული სამყარო.

ენის იდეა, ანუ გამაერთიანებელი „ჩვენის“ იდეა, მაღალი რანგის იდეაა, მაგრამ არსებობენ მასზე უმაღლესი იდეებიც, უფრო მრავლის, იდეალში კი - ადამის მთელი მოდგმის შემკვრელ-გამაერთიანებელნი.

ასეთია სიყვარულის იდეა.

ასეთია სიყვარული

ღმერთის იდეა ანუ -

ასეთია ქრისტიანობის იდეა.

როდესაც მოზამბიკელი იესოს შავკანიანად აღიქვამს, იაპონელი კი - ჭუტალად, ეს აშკარა „სიცრუე“ სიღრმისეულ სიბრძნესა და ჭეშმარიტებას ეფუძნება: მაცხოვარი ყველასია და ყოველ მოდგმას შეუძლია მისი გათავისება. ქრისტესათვის არ არის იუდეველი და არ არის წარმართი, არ არის ელინი და არ არის ბარბაროსი... უფრო ზედმიწევნით - ყველა თანაბრდება სიყვარულში, ყველა ერთიანდება ქრისტეში.

ზემოთ რომ ბეთჰოვენის მუსიკის „გაქართულებაზე“ მოგახსენებდით („ქართული მოტივი - მეცხრე სიმფონია!“), ეს კიდევ უფრო სარწმუნოდ ითქმის სიყვარულის ამ ზეადმტაცი იდეის ანუ ქრისტიანობის შესახებ - ქართველი არა მარტო გაქრისტიანდა, მან ქრისტიანობა გაიქართველა. ასე მხოლოდ ჩვენში არ მომხდარა: ქრისტიანობამ ეროვნება კი არ გააუქმა და ეროვნებას კი არ ჩაენაცვლა, იგი ამ რწმენის ჭეშმარიტად აღმსარებელ ყოველ ხალხს გაუეროვნულდა და ამით ყველა ისინი სიყვარულში გააერთიანა. რელიგიის ამგვარ გაეროვნულებას ყოველი ენა თავისებურად გამოხატავდა და ამა თუ იმ რელიგიურ იდეას ან მიმდინარეობას სხვადასხვა ეროვნებას უკავშირებდა: მაგალითად, ქართულში „გათათრება“ გამუსულმანებას ნიშნავს, „გაფრანგება“ - გაკათოლიკებას, „გასომხება“ - გამონოფიზიტებას... და ამ კონტექსტშია გასახსენებელი: როცა კავკასიაში ვინმე გამართლმადიდებლდებოდა - გაქართველდაო, იტყოდნენ.

ქართველმა არა მარტო იდეურ-ინტელექტუალურ დონეზე გაითავისა ქრისტიანობა, მან იგი შეისისხლხორცა ხელშესახებ-საგნობრივადაც: საქართველოში, თავის საცხოვრისში, გადმოიტანა ბიბლიურ-ქრისტიანული გარემო და გადმოიყვანა იქური პერსონაჟები. მიმოიხედეთ, რამდენი სიონი, ბეთლემი, ბეთანია და თაბორი გვარტყია, რამდენი დავითი, თამარი, ილია და მარიამი გვახვევია ირგვლივ... გაიხსენეთ პოეტური თვალით აღქმული ქართლი - უფრო ზუსტად, ნიკო სამადაშვილის გასაოცარი ხილვა:

„ვით უკვდავება, წყარო ანკარა
აცისკროვნებდა ირმების ფერდობს...
ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა
და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს“.

დიახ, იესომ ბავშვობა ატენის სიონთან გაატარა...

მოკლედ, საქართველო „ენოვნებითაც“ გაქრისტიანდა; შესაბამისად, ქრისტიანობა ჩვენში არა მარტო გაქართველდა, გაქართულდა კიდეც.

ისტორიული გამოცდილება გვიდასტურებს ქართველთა ეროვნული და „ენოვნური“ განცდის განუყოფლობას. ისევ ვაჟას ავტორიტეტს მოვიხმობ: ენა დედაა ერისაო... სხვისა რა მოგახსენოთ, ქართველი ერი კი მართლაც ქართული ენის საშოში გამოშუშდა. ოგივე ითქმის ქართულ სახელმწიფოზეც - ფარნავაზმა, ქართული მწიგნობრობისა და ქართულის სახელმწიფო ენად დაკანონებით („და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“), სათავე ქართულ სახელმწიფოებრიობასაც დაუდო. ქართულმა ენამვე დასაზღვრა ეს სახელმწიფო, რაც შემდგომ ფორმულად ჩამოქნა გიორგი მერჩულემ: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“.

მაგრამ ის, რაც ჩვენთვის განუყოფელია, სხვა ხალხისათვის, შესაძლოა, ასე არც იყოს. შემენდოს ამ მაღალ მატერიებზე მსჯელობისას ამგვარი „მიწიერ-სპორტული“ მაგალითის მოხმობა, მაგრამ - ეჭვი მეპარება, კვებეკელმა კანადელმა ჰოკეის მატჩში, როცა ფრანგები კანადელებს ეთამაშებიან, მხარი ფრანგებს დაუჭიროს... ოგი კანადელებს უქომაგებს მიუხედავად იმისა, რომ მისი დედაენა ფრანგულია. ასევე - შვეიცარიელი, გერმანულენოვანი იქნება ოგი თუ იტალიურენოვანი, თავს შვეიცარიელად მიიჩნევს და არა გერმანელად ან იტალიელად. ეგევე ითქმის ესპანურენოვან ლათინური ამერიკის ქვეყნებზე...

მიუხედავად ამისა, ენა მაინც რჩება ეროვნების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. ოგი ერთგვარი „პასპორტია“, ადამიანის სადაურობა-წარმომავლობას რომ გვიდასტურებს. მარტო ენა - არა, ერთი და იმავე ენის შიგნით რომ კაცი ამა თუ იმ კილოზე უქცევს, ამით თავის წარმომავლობას ავლენს. დიალექტურ-ენობრივი ჩვევა ძვალსა და რბილში უჯდება ადამიანს და მის შეცვლას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. გავიხსენოთ ბიბლიის „მსაჯულთა წიგნიდან“ ერთი ეპიზოდი: ერთმანეთს ებრაულად მოლაპარაკე ისრაელის ორი შტო, ორი ტომი დაუპირისპირდა - ეფრემელები და გალაადელები. ეფრემელები დამარცხდნენ, გალაადელებმა მათ თავიანთ მშობლიურ ქალაქში გადასასვლელი ფონი მდინარე იორდანეზე გადაუჭრეს. თუ ვინმე მოითხოვდა, ეფრემელი არა ვარ და გაღმა გადამიშვითო, გალაადელები უბრძანებდნენ: აბა, „შიბოლეთ“ თქვიო („შიბოლეთ“ ებრაულად თავთავსა ჰქვია). ეფრემელი ამ სიტყვას თავის „სლიფინა“ კილოზე ამბობდა - „სიბოლეთ“ და უმალ მახვილით იგმირებოდა... უამრავი ეფრემელი გაიყლიტა იორდანესთან, ამ - ერთი შენედვით - მარტივი ხერხით ამოცნობილნი. მარტივი თვითონ ხერხი იყო, თორემ ეფრემელებისთვის რთული, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა მეყსეულად გადაეწყოთ თავიანთი სამეტყველო აპარატი მათი კილოსათვის უჩვეულო ბგერის გამოსათქმელად.

საქართველო ტერიტორიულად პატარაა, ენობრივად - დიდი. მე აქ იმდენად ქართული ენის სიდიადეს არ ვგულისხმობ, რამდენადაც - ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედ ენათა, დიალექტთა ნაირგვარობასა და სიმრავლეს.

ზოგადად თუ ვიტყვით, ერთგვაროვნობა სიმწირეა, ნაირგვარობა - სიმდიდრე... ოღონდ - მოწესრიგებული ნაირგვარობა.

სიმდიდრეა ჩვენი მეგრული და სვანური ენები... სიმდიდრეა ჭანური, ანუ - ლაზური ენაც, ვაგლახ, სხვაგან განფენილი და ჩვენში ამჟამად მხოლოდ სარფშიღა შემორჩენილი; სიმდიდრეა ჩვენი ნაირგვარი კილოები.

მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ უფრო უნდა მოაწესრიგოს ამ სიმდიდრის არა მარტო დაცვისა და სარგოდ გამოყენების, არამედ მისადმი მართებული სახელმწიფოებრივი მიდგომის საკითხიც.

დედაენის გადასარჩენად ჩვენ ზოგჯერ გვჭირდებოდა - და, იქნებ, ახლაც არ იყოს ზედმეტი - ხაზგასმა, რომ ეროვნება და „ენოვნება“ განუყოფელია (ქართველთათვის ეს ასეცაა!), მაგრამ ამის საფუძველზე სწორხაზოვანი მსჯელობით თუ იმას გამოვიყვანთ, რომ ენა უდრის ეროვნებას, მაშინ სწორედ ეროვნული თვალსაზრისით გაგვიჩნდება პრობლემები.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ „ევროპულ ქარტიაზე“, რომლის მიხედვით ევროპულმა სახელმწიფოებმა ეროვნულ უმცირესობათა ენების უფლებები უნდა დაიცვან. ჩვენში ამ საკითხს რატომღაც დაუკავშირეს მეგრული და სვანური ენები... არადა, მეგრულ-სვანური აქ მოსატანი არ გახლავთ - არც ერთი ქართველური ენა საქართველოს ტერიტორიაზე არავითარ „უმცირესობის ენას“ არ წარმოადგენს! ქართული კუთხეებისა და ტომების ყოველი წარმომადგენელი, მათ შორის მეგრელიცა და სვანიც, სწორედ ის „უმრავლესობა“ გახლავთ, რომელსაც „ქართველი“ ჰქვია საქართველოში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „ქარტიაში“ ლაპარაკია არა უმცირესობის, არამედ „მცირე“ ენებზე ანუ „შინაურულ“, „შინ სახმარ“ არასახელმწიფო ენაზე, მაშინ მეგრულისა და სვანურის ამ კატეგორიის ენებად მიჩნევისასაც ზოგი რამ გასათვალისწინებელი ჩანს; კერძოდ:

რეალობაა, რომ მეგრული და სვანური ენებია, ოღონდ - შინაურობაში სახმარი; ამავე დროს მეგრელებისა და სვანების დედაენა იყო და არის ქართული, რომელსაც დანარჩენი სხვა ქართული ტომები ასევე ძველთაგანვე იყენებდნენ სახელმწიფო ენად; შინაურობაში კი ეს ტომებიც, ცხადია, თავ-თავიანთ დიალექტებზე უქცევდნენ.

ასე იყო ძველად, ასეა ახლაც - მიუხედავად იმისა, რომ მასმედიის ეპოქაში კილოები სალიტერატურო ენასთან ნიველირდება.

მაგრამ სვანური და მეგრულ-ჭანური, ერთი მხრივ, და სხვა ქართული დიალექტები, მეორე მხრივ, დიდად სხვაობენ თავიანთი ისტორიითაც და თავიანთი წვლილითაც ქართულის სახელმწიფო ენად ფორმირებაში. დღეს არსებული დიალექტური ფორმები, ჩვეულებრივ, ძველი სამწერლობო ქართულის ნორმათა კონტროლიდან გამოსვლისა და „თავისუფალი“ განვითარების შედეგია, აქედან გამომდინარე - შედარებით ახალი. სვანურისა და მეგრულ-ჭანურის ენობრივი ფორმები კი უშუალოდ ქართულიდან კი არა, ქართულთან საერთო წინაპარი ენიდან გამოიყვანება, რომელსაც ქართველურ ფუძეენას ვეძახით და რომლის სავარაუდო სახე ქართული, სვანური და მეგრულ-ჭანური ენების ურთიერთშედარება-შეპირისპირებით აღდგება. დიალექტები ქართული ენის შვილები არიან, სვანური და მეგრულ-ჭანური კი - ქართული ენის ძმები. ძმობლის, ქართველური ენის, იერსახე ზოგჯერ ქართულმა უკეთ შემოგვინახა, ზოგჯერ - სვანურმა და ზოგჯერაც - მეგრულ-ჭანურმა.

მაგალითად, ავტორიტეტული ენათმეცნიერების აზრით, ჩვენი წინარე ფუძეენის ხმოვანთა სისტემა

თამაზ კვაჭანტირაძე

ეროვნული ფიქრები ეროვნულზე, „ეროვნულზე“, ქუჯის ეროვნულობა და ფერეიდული ენაზე

უფრო ქართულმა შეინარჩუნა, თანხმოვანთა სისტემა კი - მეგრულ-ჭანურმა: მათი ვარაუდით, ქართული კაც და მეგრულ-ჭანური კოჩ ძირების შეპირისპირებით ქართველურ ენაში „ადამიანის“ აღმნიშვნელად აღდგება ძირი, რომელიც სამი ათასწლეულის წინ, ვიდრე ეს ფუძეენა დაიშლებოდა ქართულ, სვანურ და მეგრულ-ჭანურ ენებად, მიახლოებულად ასე ჟღერდა - კაჩ.

სწორედ ერთ-ერთს ამ ძმა-ენათაგან, ქართულს, გარკვეულ ისტორიულ-კულტურულ ვითარებათა გამო, მოუწია ძირითადი როლი ეტვირთა ქართველთა ყველა ტომისათვის საერთო სახელმწიფო ენის ფორმირებაში... ძირითადი - მაგრამ არა ერთადერთი; მისი ტვირთი მართლაც რომ ძმურად გადაინაწილეს ეგროსიანელთა ენებმა: სვანურმა და მეგრულ-ჭანურმა. საერთოდაც, ლეონტი მროველს თუ ვერწმუნებით, ქართველ ტომთა ეთნარქები ანუ მესაფუძვლენი ქართლოსი და ეგროსი ღვიძლი ძმები იყვნენ.

ასე რომ, საერთო-ქართული სახელმწიფო ენა მარტო ძველი ქართულიდან კი არა, სვანურ-მეგრულ-ლაზური წიაღიდანაც იშვა.

ამიტომაც არა ჰქონიათ ჩვენს ეგრისელ წინაპრებს ქართულის მიმართ გაუცხოების განცდა... მით უმეტეს არა აქვთ იგი მათს დღევანდელ შთამომავლებს - სვანებსა და მეგრელებს. მაგრამ დანარჩენი საქართველოც არ უნდა უყურებდეს ალმაცერად სვანურსა და მეგრულს და არც „ვაფუჭებულ“ ქართულად უნდა აღიქვამდეს ამ ენებს.

რა უნდა მოვიმოქმედოთ საამისოდ?

ადრეც დამიწერია და ახლაც გავიმეორებ: სკოლაშივე უნდა შევუქმნათ ბავშვს ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებზე მართებული წარმოდგენა, უკვე დაწყებით კლასებში უნდა „გავუხედნოთ“ ყური მეგრული და სვანური ფოლკლორის ნიმუშებით: წარმოიდგინეთ ბარისახოელი პატარა ხევსური, დიდის ეშხით რომ ამბობს: „ბეჟა დიდა რე ჩქიმი“ („მზე დედა არი ჩემი“)... მერე და მერე ისეთი ლექსიკური მასალაც უნდა ვუჩვენოთ და შევასწავლოთ, ქართულ-სვანურ-მეგრულის საერთო წარმომავლობასა და ერთიანობაზე რომ მეტყველებს.

მოკლედ, ბავშვს სკოლაშივე უნდა გავაცნოთ და შევასწავლოთ სვანურისა და მეგრულის ელემენტები.

ნურავინ დამწამებს ენობრივი სეპარატიზმის ქადაგებას: სკოლაში სვანურისა და მეგრულის ელემენტების სწავლება სხვაა და, სვანურად და მეგრულად სწავლება სკოლაში -სულ სხვა, „შუა უზის დიდი მზღვა-რი“.

ისე, რუსეთის იმპერიამ, ცარისტულმაც და კომუნისტურმაც, ქართველთა გარუსების სტრატეგიულ გეგმას ლეღვის ფოთლად მეგრელ გლეხკაცზე „ზრუნვა“ აუფარა: აქაოდა, უბირ ხალხს ქართული არ ესმის, სამეგრელოში სწავლება მეგრულ ენაზე უნდა გადავიყვანოთო.

პირველ ჯერზე, XIX საუკუნეში, ეს არ გამოუვიდათ - იაკობი და ძმანი მისნი აღუდგნენ წინ იანოვსკი-ვოსტორგოვის მზაკვრულ გეგმას.

მეორე ჯერზე, XX საუკუნის ოცდაათიან წლებში, კომუნისტ-“მაფალუისტებს“ სამეგრელოს მხარიდან გამოსულმა ინტელიგენციამ ჩაკმედინა ხმა: თედო სახოკიამ, შალვა დადიანმა, კონსტანტინე გამსახურდიამ... ის ფრაზაც, ეროვნება ნებაყოფლობის აბსავიო, კონსტანტინეპატონმა სწორედ „მაფალუისტთა“ სამხილებელ წერილში ბრძანა.

იმპერია ქართულ ენას მარტო სკოლიდან კი არა - ეკლესიიდანაც უპირებდა გამოძევებას: მისი გეგმით, სამეგრელოში ღვთისმსახურების ენად ქართულს მეგრული უნდა ჩანაცვლებოდა. აქ კი ხმა სამეგრელოს სამღვდელოებამ აღიმაღლა და, მერე როგორ!

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ, უკვე ლოგინად ჩავარდნილმა, თავის ბიბლიოთეკაში საგულდაგულოდ გადამოჩნდა ზედგამოჭრილი. ასეთი სიღრმითა და სიმართლით ამ საკითხზე დაწერილი არაფერი წამეკითხა... არ ვაჭარბებ, წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც დღეს დაწერილი გეგონებოდათ - აღარაფერს ვამბობ მოქალაქეობრივ პოზიციაზე. ცხადია, მეგრული ენის დიალექტად მიჩნევამ უკუნენახევრის წინ.

როცა ფარნავაზი, ქართლოსის ჩამომავალი, და ქუჯი, ეგროსის ჩამომავალი, შეითქვნენ აზონის, ბერძენთა დასმული მმართველის, წინააღმდეგ, იმ მომენტში რეალურ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას ქუჯი, თუ მეტს არა, ფარნავაზზე ნაკლებს არ ფლობდა.

ქართული „ენოვნებისათვის“ საფუძვლის შერყევა, ქართველთა გარუსება.

ქუჯი უკვდავია - მას კვალში ლეგიონები უდგანან... მაგრამ, ვაი, რომ უკვდავია თადაც: ლეგიონები - არა, მაგრამ თითო-ოროლა აშორდია საქართველოს ყოველთვის ჰყავდა... და - დღესაცა ჰყავს: საზოგადოება ხედავს, რომ ჩოხოსან თადას ჰალსტუხიანი აშორდიები შეენაცვლნენ და „გრუს“ პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებენ.

დღევანდელ პრესაში მკითხველს უფრო ისინი ეჩხირებიან თვალში, ვიდრე ქუჯის „ვორისანი“, ამიტომაც გთავაზობთ ერთგვარ გამონაკრებს ქუჯის კვალში ჩამდგარ სასულიერო პირთა გამონათქვამებიდან სამეგრელოში ღვთისმსახურების ენის შესახებ.

მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შესახებ

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი):

კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველი საიდუმლო მრჩეველი იანოვსკი სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის მეგრულით ჩანაცვლებას ასე ასაბუთებდა: მეგრული ქართულთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც - პოლონური ან ჩეხური რუსულ ენასთან, მათ კი სწავლებაც და ღვთისმსახურებაც თავ-თავიანთ ენებზე აქვთო. ეს მეუფე გრიგოლს მცდარ ანალოგიად მიაჩნია.

„სლავური ჯგუფის ეს სამი მონათესავე ენა საუკუნეთა მანძილზე დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ სამწერლობო ენებად და ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურით გამოხატავენ თავ-თავიანთ ეროვნულ თვითშეგნებას. განსხვავებული ვითარებაა ქართულსა და მეგრულს შორის: აქ ჩვენ გვაქვს მკაფიოდ გამოხატული დაქვეშდებარება, სლავურ ენებში კი - სრულიად დამოუკიდებელი პარალელური განვითარება. უსამართლობა იქნებოდა ვინმემ ამ საკითხებში არაკომპეტენტურობა დაწამოს, ძირძველი მეგრელი გახლავართ და ქართულიცა და მეგრულიც კარგად ვიცი: მეგრელები უკვე 15 საუკუნეა ქართულ ენაზე ლოცულობენ და ევედრებიან უფალს; მე, როგორც მათი მღვდელმთავარი, ვადასტურებ, რომ ისინი კარგი ქრისტიანები არიან და სათანადოდ შეიმეცნებენ სადმრთო გამოცხადებას. მეგრელებმა სხვა ქართველებთან თანადროულად დაიწყეს ქართულად წერა-კითხვა და, ქართული საეკლესიო ტრადიციით, მათ, იმერქართველებმა, ამერქართველებზე ადრეც კი განადიდეს ქართულ ენაზე ჭეშმარიტი შემოქმედი“.

მღვდელი კაპიტონ გაწერელია

მასაც მიაჩნია, რომ მეგრული (ავტორი მას ერთერთ ქართულ კილოდ მიიჩნევს და არა - ენად), არასოდეს ხმარებულა საღვთისმსახურო დანიშნულებით და ამ მაღალ მისიას იგი ვერც დღეს შეასრულებს - ასეთ საეკლესიო ენად ჩამოყალიბებას, სხვა პირობებს რომ

მეგრელოში ღვთისმსახურების ენად ქართულს მეგრული უნდა ჩანაცვლებოდა. აქ კი ხმა სამეგრელოს სამღვდელოებამ აღიმაღლა და, მერე როგორ!

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ, უკვე ლოგინად ჩავარდნილმა, თავის ბიბლიოთეკაში საგულდაგულოდ გადამოჩნდა ზედგამოჭრილი. ასეთი სიღრმითა და სიმართლით ამ საკითხზე დაწერილი არაფერი წამეკითხა... არ ვაჭარბებ, წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც დღეს დაწერილი გეგონებოდათ - აღარაფერს ვამბობ მოქალაქეობრივ პოზიციაზე. ცხადია, მეგრული ენის დიალექტად მიჩნევამ

ნახული მასალა მომაძებნინა - შინ წაიღეთ, წაიკითხეთ და დამიბრუნეთო. XIX საუკუნის გაყვითლებული ფოლიანტები აღმოჩნდა - 1895 წლის მარტ-ივნისის ნომრები ეგზარქატის რუსულენოვანი გამოცემისა „:ეჰყფკ“... ეგზარქოსს დაუვალებია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის მეუფე გრიგოლისათვის (ერისკაცობაში - გრიგოლ დადიანი) კომპეტენტური კომისიისათვის გაეცნო მეგრულ ენაზე თარგმნილი რამდენიმე ნიმუში ლოცვებისა და გაერკვია, როგორ ზემოქმედებას მოახდენდა მრევლზე მღვდელმსახურების დროს მათი გამოყენება.

გრიგოლს მოუწვევია კომისია - სამეგრელოს სამღვდელოება, აგრეთვე განსწავლული საერო პირები ნიკო ტარიელის ძე და დავით გიორგის ძე დადიანები - და მოუსმენია მათი მოსაზრებანი...

სწორედ ეს მასალა დაიბეჭდა ზემოაღნიშნულ „:ეჰყფკ“-ში.

წანაკითხმა გამაოგნა: „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“-ო, სამეგრელოს სამღვდელოებაზე აღ-

მაშინვე შემაცბუნა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამასაც სარჩულად სასულიერო პირთა პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა სდებია. ისე, სიტყვამ მოიტანა და, თავის ნაშრომებში არც პავლე ინგოროყვა მოიხსენიებდა მეგრულსა და სვანურს ენებად - ამ დიდ ეროვნულ კაცს, ჩვენი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ეს პოლიტიკურად სახიფათოდ მიაჩნდა.

თუმცა, სჯობს თავად შენ დაიგემოვნო, მკითხველო, ეს მასალა, რომელსაც იმ პიროვნების ხოტბას წარვუმძღვარებ, ვისი „ვორისანიც“ სამეგრელოს ეს უსახელო მღვდლები იყვნენ.

3. ქუჯური მენტალიტეტი

უძალო კაცს რომ პოლიტიკურ პირველობას დაათმობინებენ, ეს იძულების აქტია.

ძალმოსილი კაცი რომ თვითონ დათმობს პირველობას - ეს ზნეობრივი აქტი გახლავთ.

ქუჯიმ, ეგრისის ერისმთავარმა, ამგვარი ზნეობრივი, მე ვიტყოდი, ქრისტიანული ქმედების მაგალითი გვიჩვენა ქრისტეს მოვლინებამდე სამსა-

მაგრამ ქუჯი ათასწლეულებით აზროვნებდა და არა - მომენტებით ან, თუნდაც, წლებით: გარდასული ჟამით იგი მომავალს ჭვრეტდა... აკი ქართლოსი უფროსი ძმა იყო ეგროსისა. არ ეგებოდა მისი პირველობა და ასე შესთავაზა ქუჯიმ ფარნავაზს, მცხეთის სახელისუფლო სახლის შვილს: ვძლიოთ აზონს და მთელ ქართველთა მოდგმას შენ უმეფებ, მე კი შენს თანამდგომად მიგულე აწ და მარადისო.

ხელმწიფობაზე უარის თქმა მხოლოდ სახელმწიფო კაცს შეუძლია.

ასე აზროვნებდა და მოქმედებდა დიდი ქუჯი...

ანუ - ასეთია ქუჯური მენტალიტეტი.

მაგრამ საქართველოს მარტო ქუჯი არ ჰყოლია - ჰყავდა თადა აშორდიაც, ვისაც უმაღლესი ხელისუფლება თვალს უხუჭავდა ყალბისმქნელობაზე, ანგარებაზე, აფერისტობაზე... ამას, ყველაფერს, მთავრობა წვრილმანად მიიჩნევდა იმ მსხვილი შეკვეთის შესრულებასთან შედარებით, რასაც ერქვა „ტუზემცების“ ხელითვე

დავეხსნათ, საუკუნეები სჭირდებაო. თანაც:

„წმინდა წერილისა და ლოცვათა თარგმნა - ეს წმიდათაწმიდა საქმე - მოითხოვს ღვთაებრივ ზეშთაგონებას ზემოდან, უფლისაგან... სწორედ ასეთ მოწოდებას აღასრულებდნენ ძველად წმინდა წიგნების მთარგმნელები, ამიტომაც შემოგვრჩა მათი ტექსტი შეურყვნელად ჩვენცა და სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებსაც... გარდა ამისა, მარტო ლიტერატურული ტრადიციებიც კი საკმარისი ვერ იქნება საღვთისმსახურო წიგნების სათარგმნად - თვითონ ენას უნდა ახასიათებდეს ეგრეთ წოდებული „ეკლესიურობა“. მეგრული, გასაგები მიზეზების გამო, ყოველივე ამას მოკლებულია.

არც წინათ და არც ახლა მეგრულად მღვდელმსახურების აღსრულება არ გვჭირდება, ვინაიდან ქართული და მეგრული ფაქტობრივად ერთი ენაა და მათს ლექსიკონებში უამრავი საერთო ძირის მქონე სიტყვებია. მეგრელს წირვა-ლოცვის ტრადიციული ენა კარგად ესმის და, თუ აქ გაგებინების თვალსაზრისით რაიმე სირთულე იჩენს თავს, ამის მიზეზი ის კი არ გახლავთ, რომ მეგრელს ქართული ცუდად ესმოდეს, - საეკლესიო ტექსტებს ასევე ძნელად აღიქვამს არამეგრელი სხვა ქართველობაც, მათ შორის, განათლებული ხალხიც, - თავი და თავი პრობლემისა ამ საეკლესიო ენის არქაულობაშია... აგრეთვე - ღვთისმსახურების დროს წმინდა ტექსტის სწრაფად ჩათავება-“შიფუჩჩების“ სამწუხარო ტრადიციაში... ამიტომაც ეს საკითხი ქართული მოსახლეობის - მეგრელებისაც და არამეგრელებისაც - ცოდნა-განათლების ამაღლებით გადაიჭრება და არა - ღვთისმსახურებისთვის მეგრული კილოს გამოყენებით. სხვა ხალხებსაც აქვს განსხვავებული დიალექტები, მაგრამ საღვთისმსახუროდ ყველას როდი იყენებენ: მაგალითად, მალოროსიული არანაკლებ განსხვავდება რუსული ენისგან, ვიდრე მეგრული ქართულისგან, მაგრამ მღვდელმსახურება მალოროსიულად კი არ აღესრულება, არამედ საეკლესიო-სლავურ ენაზე... მეგრელებს არასოდეს გვქონია დამწერლობა მეგრულ ენაზე იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ ყოფილა: სამეგრელოს ხალხს ქართული დამწერლობაცა და ქართული ენაც თავის ღვიძლ ანბანად და თავის დედაენად მიაჩნია და ამავე ენაზე აღავლენდა და აღავლენს უფლისადმი ხოტბას“.

მღვდელი
კლიმენტი ჭანტურია

„ქართულს და მეგრულს იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ მეგრელი ქართულს თავის დედაენად (ჭჳლყჯქ ზპსრ) მიიჩნევს. მეგრული ენა ქართული ენის საგანძურად ითვლება: ბევრმა სიტყვამ ქართულში დაკარგა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა, მეგრულში კი ისინი ძველებურად შეურყვნელი სახით შემოგვრჩნენ. ამრიგად, მეგრული და ქართული ორ განუყრელ ძმად გვესახება. ეს განცდა მარადიულია, დანარჩენ საქართველოსთან თავის ენობრივ ერთობას სამეგრელო ყოველთვის გრძნობდა, ქართულს ყოველთვის დედაენად თვლიდა, მას მიიჩნევდა სახელმწიფო ენად, მიიჩნევდა მწერლობის ენად - ამ ენაზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ მეგრელთა წინაპრებიც... მეგრელები ქართულად განადიდებდნენ უფალს; ამ ენაზე ლოცულობდნენ მათი მამა-პაპანი. შესაბამისად, სამეგრელო ქართულად მოლაპარაკე დაბადა და ღვთის წინაშეც ამ ენაზე მოლაპარაკე წარსდგება...

საკუთარი გამოცდილებიდან მოგახსენებთ: ერთხელ მეც ვცადე ეკლესიაში მეგრულად მექადაგა. მრევლმა მომთხოვა, ისევ ქართულად იქადაგეთ, თორემ ეკლესიაში აღარ ვივლითო. ასეთი შემთხვევაც ყოფილა - სახარების რამდენიმე ადგილი მეგრულად თარგმნეს და, როცა ეკლესიაში წაიკითხეს, აღშფოთებულმა მრევლმა წყევლა-კრულვით დატოვა საყდარი... ევროპაშიც არის ქვეყნები, სადაც ორი ენაა: ერთი - სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმსახურო, მეორე - შინაურობაში სახმარი, რომელსაც დამწერლობა არა აქვს. იქ აზრადაც არ მოსვლიათ, შინაურული ენა საღვთისმეტყველოდ ექციათ და, რაღა ჩვენ, მეგრელებს, გვახვევენ თავს ლოცვისათვის ამ ჩვენს შინაურულ ენას? რატომ თავად რუსები საეკლესიო სლავურზე აღასრულებენ ღვთისმსახურებას და არა მათსვე მშობლიურ თანამედროვე რუსულ ენაზე?“

მღვდელი
ევგენი შენგელაია

ისიც ამტკიცებს, რომ საღვთისმსახურო მიზნით ლოცვების ქართულიდან მეგრულად თარგმნა და გამოყენება დიდ ვნებას მოუტანს მოსახლეობას სწორედ რელიგიური თვალსაზრისით:

„სამეგრელოს ხალხი უძველესი დროიდან, ქრისტიანობის მიღებისთანავე, მიეჩვია ლოცვების აღვლენასა და ყველა სახის ღვთისმსახურების აღსრულებას თავის მშობლიურ ქართულ ენაზე, ამ საღვთო სიტყვებს იგი უშუალოდ უფლის ბაგეთაგან ამოთქმულად აღიქვამს და მისი შეცვლა მორწმუნეთა გულებში მხოლოდ ურწმუნოების ღვარძლს ჩათესავს. თარგმანის ვერავითარ საჭიროებას ვერ ვხედავ, რამდენადაც მეგრელებს, მარტო ზეპურ საზოგადოებას კი არა, უბრალო მუშა ხალხსაც, ყველაფერი ჩინებულად ესმით ქართულად; მეტიც, ყოველ მეგრელს შესისხლხორცებული აქვს თავისი მშობლიური ქართული ენის სიწმინდისა და საღვთოობის განცდა, რასაც შეურყვნის ლოცვათა მეგრული თარგმანი, ამამღვრეველი არა მარტო ჩვენი რელიგიური, არამედ საზოგადოებრივ-ზნეობრივი ცხოვრებისა“.

მღვდელი
ნესტორ ალშიბაია

„ხალხი არ თანაუგრძნობს ლოცვათა გადმოთარგმნას ქართულიდან მეგრულად; იგი ოდითგან მოწიწებით უყურებს ქართულ საეკლესიო ენას, როგორც ამაღლებულსა და საღვთოს. საეკლესიო-ქართული ღვთაებრივი დიდებულების ნიშანს ატარებს და, თუ ლოცვათა სიტყვებს მეგრულად ვთარგმნით, კურიოზულ-სამასხარაო ეფექტს მივიღებთ. მეგრულს ჩვენ ვთვლით ჩვენს შინაურ, ოჯახში სახმარ ენად, რომელიც გამოუსადეგარია საღვთისმსახუროდ. უბირ ხალხშიც კი თავმოსაჭრელია უცოდინრობა ქართულის, როგორც ღვთისმსახურების ენისა, რომელსაც მეგრელი უხსოვარი დროიდან მოწიწებით ეთაყვანება; ასე რომ, ღვთისმსახურების დროს ქართულად აღვლენილ ყველა ლოცვას უბრალო ხალხი ჩინებულად გებულობს“.

მღვდელი
ალექსი ქვარცხავა

„ქრისტიანობის შემოღებისთანავე სამეგრელოში, სადაც იგი წმინდა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა გაავრცელეს ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, საეკლესიო მსახურების ენად იყო და რჩება საეკლესიო-ქართული. საერთოდაც, ჩვენში ყოველთვის ქართული ენა გამოიყენებოდა სახელმწიფო ენად; მას დაუბრკოლებლად იგებდა მეგრელი მოსახლეობა, რამდენადაც მეგრული იგივე ქართული ენა გახლავთ, ოღონდ, სხვადასხვა ისტორიული ვითარების გამო მეგრული მეტყველება სამწერლობო ენად აღარ განვითარებულა. მეგრული მიეკუთვნება ქართველური ერთიანი მოდგმის ენათა ოჯახს და მას გარკვეული რეგიონის მოსახლეობა შინაურულ ენად მოვიხმართ. ისტორიული ცხოვრების დასაწყისიდანვე სამეგრელოს სამწერლობო ენად ქართული ჰქონდა, რამდენადაც მეგრელებს ეს ენა მიგვაჩნდა დედაენად; საეკლესიო-ქართული კი, რასაც მთელი მართლმადიდებელი მეგრელობა უკვე ამდენი საუკუნეა ყოველდღიურად ვისმენთ ეკლესიაში, ის წმინდა ენაა, რომელსაც შევესისხლხორცეთ და ურომლისოდაც არსებობა ვერც კი წარმოგვიდგენია... ამიტომაც ვივედრები, ეკლესიაცა და ხალხიც გვიხსენით ამგვარი სიახლისაგან“.

თავადი ნიკო
ტარიელის ძე დადიანი

კატეგორიული წინააღმდეგია მეგრულ ენაზე ღვთისმსახურებისა. მეგრულის თაობაზე თვითონ ხალხშია მკაფიოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისიო:

„მეცა და მთელმა ჩვენმა თანამედროვე მეგრელობამ ვიცით, რომ ჩვენთან, სახლებში, ბატონების თანდასწრებით ფარეშებიც ერიდებოდნენ მდაბიოთა სალაპარაკო მეგრულს და ათვალისწუნებით მას „მდაბიოლაყფს“ ეძახდნენ, ხოლო „მარგალი“ იმდენად ტომობრივ კი არა, სოციალურ ტერმინად გამოიყენებოდა და „გლეხს“, „მდაბიოს“ აღნიშნავდა.

თავადი დავით
გიორგის ძე დადიანი

მეგრულად ნათარგმნი ლოცვების დეტალური ანალიზის შემდეგ, ამ უაზრო და მავნებლური წამოწყების აღსაკვეთად დავით დადიანი რიტორიკული გზნებით შესთხოვს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს:

„ყოვლადმოწყალე მწყემსმთავარო, მართლმადიდებელი კოლხიდელების, ახლანდელი მეგრელების, თვალში რათა ფეხქვეშ არ გაითელოს უწმინდესი რელიგია იესო ქრისტესი, ძისა ღვთისა, მაცხოვრისა ჩვენისა, და ამით მისი ხალხი არ მოვექცეთ დაუშრეტელი გეჰენიის კირთების ქვეშე, გევედრებით, ბრძანოთ - შორს ჩვენგან ამგვარი სულისწამწყმედი წამოწყება, და ჩვენ, სულიერად მუხლმოყრილნი თქვენ წინაშე, ერთხმად დაგიდასტურებთ - ამინ!“

მართლაც, ამინ, ანუ - ჭეშმარიტად!

როგორც ვნახეთ, ჩვენმა წინაპრებმა უპატრონეს ჩვენს სახელმწიფო ენას, ახლა ჯერი ჩვენზეა. მარტო სალიტერატურო ქართულს კი არა, ასევე უნდა მოვუაროთ და ველოლიაოთ სხვა ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებს... ველოლიაოთ და არა - ვაღადაოთ: კაცს ხომ თავისი მეტყველების გამასხარავება უფრო სწყინს, ვიდრე - თავისი გარეგნობისა!

ცხადია, საჯარო გამოსვლისას ადამიანი უნდა ცდილობდეს სალიტერატურო ქართულით ილაპარაკოს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ბუნებრივი მეტყველება: ბუნებრიობასა და უშუალობას კი ხშირად სწორედ კილოური ფორმები ანიჭებს მეტყველებას. სხვათა შორის, ზომიერად და გემოვნებით გამოყენებული ეს დიალექტიზმები თვით კლასიკოსთა ნაწერებსაც თავისებურ კოლორიტსა სძენს. საერთოდაც, დიალექტიზმების გარეშე ლიტერატურა თავის ფერ-ხორცს დაკარგავდა. თუ წარმოგიდგენია, მკითხველო, სალიტერატურო ქართულით მეტყველი ლელთ ღუნია ან კირილე მიმინაშვილი? მეტყვით, ესენი ხომ პერსონაჟები არიანო. აგრეა, მაგრამ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დიდ მწერალს, რომელიც ავტორისეულ მეტყველებაშიც არ იყენებდეს დიალექტიზმებს... მეტ-ნაკლებად, ცხადია.

მეტყველების შეფასებისას გადამწყვეტია, რას ამბობს კაცი... არანაკლებ - როგორ ამბობს... და კიდევ უფრო მეტად - ვინ ამბობს.

როცა ვაჟა „ყვავილის“ ნაცვლად „ყოილიო“, იტყვის, ან „მოვიდას“ ნაცვლად - „მიიდას“, ამას, ყველაფერს, თავისი ემოციური დატვირთვა ახლავს.

სხვათა შორის, არა მხოლოდ პოეტურ ტექსტში.

4. ფეხშიშველა

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე - რაა მამული?!“

გალაკტიონი

რასაც ახლა გეტყვით, ვიცი, რომ მარტო ჩემეული განცდა და აღქმა არ გახლავთ იმ მოვლენისა, რასაც ილია მეორე ჰქვია.

მოვლენა-მეთქი, არც წამცდენია და არც ენობრივ ალღოს უღალატია, ამჯერად, ჩემთვის: პატრიარქი თავისი დიდი მოსახელის ილიამართლის დარად ხორციელი კაციდან მოვლენად იქცა. მისგან იღვრება ის, რაც ერთ სიტყვად ძნელად გამოითქმის - სიმშვიდეც, სათნოებაც, სითბოც, ძალაც... მოკლედ, იღვრება და ჩვენზე გადმოდის მადლი, თანაც - ცხადლივ, ლამის ხელშესახებად.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, იქნებ, პატრიარქის მეტყველებაც იყოს - დარბაისლური, სულიერებით გაჯერებული, სადა, ამაღლებული და... თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან, ჩვენი მთის კილოების არაჩვეულებრივი სურნელით შენელებული. როცა პირად საუბარში პატრიარქი - „მოიდაო“ - ვაჟასებურად მოუქცევს, ლამის გული ამომბრუნდეს: თითქოსდა რაღაც უცნაური თბილტკბილი ნათელი „მოიდა“ და ჩამეღვარა სულში.

მარტო ადამიანები როდი ვგრძნობთ ამ მადლს: მახსოვს, დიდი ხნის წინათ,მარტყოფში მიმიპატიჟა, თავის რეზიდენციაში. ვეახელი, ვსაუბრობთ... განვიწმინდე, გამსუბუქდი, გავთავისუფლდი, ავმაღლდი... მოკლედ, ის დამმართა, რაც ყოველ თქვენგანს მოსდის მასთან საუბრისას. მორჩილი შემოვიდა და მორიდებულად რაღაც უჩურჩულა.

- ჯოყოლა? - გაიკვირვა პატრიარქმა, - ახლავე შემომიყვანე!

ვინმე მონატრებული მოხვევ თუ არის-მეთქი თავისი მშობლიური კუთხიდან, გავიფიქრე და - დარბაზში უზარმაზარი მეცხვარის ძაღლი მოვარდა ისეთი ღოჯებით, რელსს რომ გადაღრღნიდა.

- ჯოყოლა მოიდა, ჩემი ჯოყოლა, - მიეალერსა პატრიარქი, მაგრამ ალერსი და გადარევა თქვენ ნაგაზისა უნდა გენახათ: შეჰმუოუნა, მიეფოფინა, ხელები აულოკა - მომჩვენა, ხელზე ემთხვია-მეთქი. თურმე ლეკვი ყოფილა, როცა მოუპარავთ და ახლა, ერთი წლის თავზე, დაბრუნეს. გაიხარა პატრიარქმა, გავიხარეთ ყველამ, მაგრამ ჩვენი სიხარული რა მოსატანია ჯოყოლას სიხარულთან, რომელმაც უტყუარი ძაღლური გეშით იგუმანა, რომ ღვთისკაცს დაუბრუნდა.

პატრიარქმა მერე გომურები მანახა, სადაც დარჩეული საქონელი ეყენა... ელაპარაკა, ეალერსა მთაც...

...დროთა სამნი თითქოს მომრღვა და ცხადლივ დავინახე, გერგეტის სამებისაკენ მიმავალმა, როგორ გაიხადა ფეხზე და ანაფორიანმა გატოპა სნოსწყალი... და ყოველი კენჭი, ყოველი შხეფი - ირაკლი, ირაკლიო, - შესჩხრიალებდა პატრიარქს.

ვიხილე, პალესტინის გაუსაძლის ხვატში როგორ შეუდგა ოთხიათასსაფეხურიან ქვის გავარვარებულ კიბეს სინას მთის წმინდა მწვერვალისაკენ პატრიარქი უხამლოდ, ფეხშიშველა...

და მე მივხვდი, რომ ეს კაცი - თუნდაც ფეხშემოსილი - მაინც მარადიულად ფეხშიშველაა და მისი მზირალი ტერფები მუდამ ხედავენ და გრძნობენ იმ სიმძიმეს, რასაც მიწა ჰქვია...

რასაც - მამული ჰქვია...

რასაც - დედამიწა ჰქვია...

სიმძიმე იგი ამ კაცს მაღლა ეზიდება - ცისაკენ!

P.s. შემინდე, მკითხველო, თუ ეს ჩემი „ფიქრები“ არცთუ ისე „ხმადაბალი“ გამომივიდა.

ოჯახიდან ოჯახში

წარმოგიდგენთ თავს:

მე გახლავართ რეჯებ ჟორდანია. 70 წლამდე ისე მოვიყარე სხვა ამ სახელის მატარებელი რვინ შემხვედროდა. ის კი მსმენოდა, რომ არაერთი ქართული სახელის მსგავსად - ზეინაბი, მერაბი, დარეჯანი, ეს სახელიც არაბული წარმოშობისაა და საქართველოში არცთუ ისე გავრცელებულია, მაგრამ მაინც დიდად გავოცდი, ქართველებმა რომ შეიცხადეს - რეჯები რა სახელიაო. ჰოდა, რა შვება ვიგრძენი, როდესაც სვანეთში, ერთობ წარმოსადეგ მამაკაცს, რეჯებ ჯაყელს შევხვდი: თურმე მარტო მე არ ვყოფილვარ რეჯები!

ჩემი პირველი „სახელობითი“ შოკი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოტა ადრე, თურქეთში ჩემი პირველი მოგზაურობისას მივიღე. კაფეში მეგობრებთან ერთად ვიჯექი, როდესაც შემომესმა: „რეჯებ!“ ბუნებრივია, მივიხედე, რომ დამენახა, ვინ მეძახდა, მაგრამ გავოგნდი, მე კი არა კაფეს მიმტანს ეძახდნენ! ჩემს სეხნიასთან პირველი შეხვედრა სასწრაფოდ ფოტოებით უკვდავვყავი და მოგვიანებით ასლებიც გავუგზავნე. შეიძლება ჩემი აღფრთოვანება მისთვის გაუგებარიც იყო, ვინაიდან სახელი რეჯები თურქეთში არცთუ ისე იშვიათია. თურქეთის ახლანდელი პრემიერ მინისტრიც რეჯებ ერდოგანია. ამხსნეს, არაბულად რეჯები „წმინდას“ ნიშნავსო, წარმოგიდგენიათ?!

• • •

ახლა 81 წელს ვარ მიტანებული. ასაკს მნიშვნელობა ექნებოდა, თუკი დროს, ჩვეულებრივი საზომით, დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის რაოდენობით გავზომავთ. მაგრამ, მოგეხსენებათ დრო მაინც ბუნდოვანი მცნებაა. მიუხედავად იმისა, რომ წელიწადი დიდი სიზუსტით განსაზღვრული დროა, ჩვენ, ადამიანებმა კარგად ვიცით, რომ დრო ცვალებადი მოვლენაა. ცვალებადია ემოციური, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური დროც. ამიტომაც, დროის ადამიანისებრი აღქმა სულაც არ არის უკიდურესი სიზუსტით განსაზღვრული, რადგან სხვადასხვა მოვლენებმა, დროში გაწელილმა მონაკვეთებმა, შესაძლოა ერთად მოიყაროს თავი, ერთმანეთში აირიოს და თავისი მნიშვნელობა დაუკარგოს დროის სიზუსტის მცნებას.

• • •

ისტორიული დროც ცვალებადია. მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსთვის მამაჩემის ხანის დამოუკიდებლობის სამი წელიწადი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო ქართველი ერისთვის, ვიდრე ცარისტული რუსეთის დამპყრობლობის პერიოდი, რაც 100 წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. თავად განსაზღვრეთ, ამ სამი წლის მანძილზე საქართველომ მოიპოვა საუკუნეების წინ დაკარგული თავისუფლება, ქვეყანა გაერთიანდა, დაარსდა ქართული უნივერსიტეტი და მრავალი სხვა სასწავლებელი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ეროვნული ცნობიერება.

ყოველივე ამან, სოციალ-დემოკრატების მიერ 30 წლით ადრე წამოწყებული საქმე დააგვირგვინა.

ამგვარად, მუკერძოებლად რომ განვიხილოთ, ამ ცხოველმა და განახლებებით აღსავსე სამმა ხანმოკლე წელიწადმა შექმნა თანამედროვე საქართველო და უფრო მნიშვნელოვანი ხანგრძლივობა შეიძინა, ვიდრე დროის ხანგრძლივობის დედამიწის სამი ბრუნით განსაზღვრაა.

• • •

ალბათ იუმორით უნდა შევხედოთ ცნობილი ასტრონომის ჰოუკინსის მცირეტანიან წიგნში- „A short history of time" („დროის მოკლე ისტორია") გამოთქმულ დებულებებს. ავტორი ცდილობს ჩვენი სამყაროს ისტორია მისი სავარაუდო წარმოშობიდან დღემდე მოკლედ მოგვითხროს.

ის არ სცნობს ადამიანურ დროს, მეტიც, საკუთარი ვარაუდის დასამტკიცებლად მიიჩნევს, რომ ე. წ. ვარსკვლავური დრო უცვლელია და ამ თეორიის სისწორეში ეჭვიც არ შეაქვს. ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ჩვენგან მილიარდი სინათლის წლით დაშორებული გალაქტიკებისა და ჩვენი სამყაროს დროის მსვლელობა ერთი და იგივეა?

პირადად ჩემთვის, დრო მუდამ ცვალებადია და მისი აღქმა დამოკიდებული იყო იმ მოვლენებზე, რომლებიც არა მარტო ერთი დღის, არამედ ზოგჯერ თვეებისა და წლების მანძილზე მიმდინარეობდნენ.

ყოფილა პერიოდები, როდესაც მძიმე აპათიაში ვიყავი და საკუთარ თავს ვეუბნებოდი: ახლა ჩემი ცხოვრება უაზროა, მდორედ მიიზლაზნება. მაგრამ ეს არაფერი, ბოლოს ყველაფერს ავინაზღაურებ". და აი, ამ ბოლოსაც მივუახლოვდი, ღმერთმნი, სასაყვედურო არაფერი მაქვს: ხელიც მემორჩილება და თვალიც მიჭრის, მხნედ ვარ და ნაყოფიერ ცხოვრებას ვეწევი ჩემს ჩვეულ რიტმში, მართალი თუ გნებავთ იგი მღელვარე არასდროს ყოფილა. ერთადერთი, რაზეც ზოგჯერ გული მწყდება, კარგი ღვინის დალევის უნარი რომ დამიქვითდა, ისაა: მთელი საღამოს მანძილზე, ერთ ბოთლს თუ დავლევ. მეტი თუ დავლიე კი არ ვთვრები, ვითენთები. ქართველს კი ეს არ ეკადრება!

• • •

მაშ ასე, ჩემი სახელია რეჯები. დავიბადე პარიზში 1921 წ., ცოტა ხნის შემდეგ, რაც მამაჩემი, ნოე ჟორდანია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, თავისი ოჯახით საფრანგეთში ჩამოვიდა. აქ ის შეუდგა იძულებით გასახლებაში მყოფი საქართველოს მთავრობის აღდგენა-ჩამოყალიბებას, რომლებმაც თავისი საშშობლო საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დატოვეს.

• • •

მე ლევილსა და პარიზში ვიზრდებოდი, სადაც მივიღე დაწყებითი და საშუალო განათლება, უმაღლესი კი - პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში. მუსიკასაც ვსწავლობდი, სწავლა მიუნჰენში გავაგრძელე, ხოლო 1960 წ. შეერთებულ შტატებში ჩავედი. მუდმივ ემიგრაციაში ყოფნა განზრახული არ მქონდა, მაგრამ მოვლენებმა მაიძულა, ემიგრანტის ცხოვრებით მეცხოვრა.

• • •

დროის თვალსაზრისით, ჩემი ცხოვრება თითქმის თანაბარ ნაწილებად დაიყო: 40 წელი საფრანგეთში, 40 წელზე ცოტა მეტი შტატებში. თუმცა, თუ დავაკვირდებით - რაც მე არ მჩვევია - დროის არავითარი თანაფარდობა არ არსებობს. არის მხოლოდ დროის მონაკვეთები, რომლებიც, მეჩვენება, რომ გაქრა, დაპატარავდა და რომლებმაც სრულიად დაკარგა ჩვეული განზომილება. მქონია მნიშვნელოვანი მოვლენებითა და შემოქმედებითი კმაყოფილებით მდიდარი ხანგრძლივი პერიოდებიც: ლევილში გატარებული სიყმაწვილის წლები, სტუმრობა საქართველოში (1990 წლიდან მოყოლებული), რომელიც ყოველ ჩამოსვლაზე 3 თვეზე მეტ ხანს არ გრძელდებოდა, თუმცა ქრონომეტრულ დროსთან შედარებით, ჩემი სტუმრობა ბევრად მყარი და ხანგრძლივი აღმოჩნდა.

• • •

ამრიგად, ვცხოვრობ შეერთებულ შტატებში. 20 წელია ჩემი თანამეცხედრეა პეგი ბექმენი, (პროფესიით ფსიქოლოგია). ჩვენი ბინა ნიუ იორკის მესამე ავენიუსა და 90-ე ქუჩაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის (Upp east side) კვარტალში მდებარე ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლის 30-ე სართულზეა. ცენტრალური პარკი, აღმოსავლეთ მდინარე, მეტროპოლიტენ მუზეუმი, გუგენჰაიმის მუზეუმი და კულტურის მრავალი სხვა კერა ხელის ერთ გაწვდენაზეა. ჩემს კვარტალში სიცოცხლე ჩქეფს: ჩემი სახლის პირველ სართულზე მრავალი მაღაზია, მრავალფეროვანი ნაციონალური რესტორნები და კაფეებია თავმოყრილი. ჩემი საყვარელი კაფეა „ფუნთუშის კაცი" (The muffin man) სადაც საათობით შეგიძლია იჯდე, გაზეთი იკითხო, წერო... ხელს არავინ შეგიშლის, თუმცა ნიუ-იორკისათვის ეს ნაკლებად დამახასიათებელია. გაუთავებლად გთავაზობენ, ხომ არაფერს ისურვებთო, იქნებ რაიმე გაასაღონ.

• • •

ისტ ჰემპტონში ზღვიდან 100 მეტრის დაშორებით გვაქვს სახლი. ეს მდიდარი სოფელი მანქანით ორისამი საათის სავალზეა და კუნძულ ლონგ აილენდის განაპირას მდებარეობს. ნიუიორკელები და მრავალი ცნობილი პიროვნებისათვის ეს საგარაკო ადგილია. ოკეანის მხარეს სასახლის ტიპის დიდი სახლებია, ყველაზე ძვირადღირებულები კი უზარმაზარი და ულამაზესი პლაჟის ნაპირასაა. სანაპირო ნიუ-იორკიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ 150 კილომეტრზეა გადაჭიმული, მონტოკამდე, კუნძულის დასაწყისამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი მისი სიგრძე 25 კილომეტრს აღწევს. ამ პლაჟით ყველას შეუძლია ისარგებლოს, რაც შეერთებული შტატებისათვის სრულებით არ არის ბუნებრივი, ვინაიდან აქ პლაჟების უმრავლესობა ან კერძოა ან მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვისაა განკუთვნილი. ერთადერთი გადასახადი მანქანების სადგომზეა, რომელიც ჩამოსულებისათვის ფასიანია, ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის კი - უფასო. თუ პლაჟზე უმანქანოდ მიხვალთ, გადასახადსაც აიცდენთ. პლაჟი იმდენად დიდია, რომ თვით სეზონზეც კი, როდესაც 15 ათას ადგილობრივ მაცხოვრებელს 100 ათასამდე დამსვენებელი ემატება, განმარტოვებას მაინც მოახერხებთ თუკი ოდნავ მოშორდებით ხალხმრავალ ადგილებს.

• • •

იქ, სადაც ყურეა, მრავალრიცხოვანი წყაროებისა და ნაკადულების გარეგაა. კაპიტანი ლიონ გარდინერი ისტ ჰემპტონის დამაარსებელია. მას ეს მხარე კონეკტიკუტში გაწეული სამსახურისათვის ინგლისის მეფემ უბოძა.

• • •

ჩვენი სახლი სწორედ სპრინგზში მდებარეობს. ისტ ჰემპტონის მხარე სილამაზით ყველას მირჩევნია. ჩვეულებრივ, ოკეანის პლაჟი ძალიან მომხიბვლელია, თუმცა ყველა პლაჟივით მოსაწყენი.

აქ კი - სპრინგზში მცირე პორტები, პატარა ყურეები და მრავალი სხვადასხვაგვარი პლაჟია მოწყობილი. სწორედ ერთ-ერთ ასეთ პატარა პორტში, რომელშიც მხოლოდ მცირე გაბარიტიანი გემები შედიან, ჩემს იალქნიან გემსაც აქვს ღუზა ჩაშვებული. ეს არის ვეშაპზე სანადირო გემი 9 მეტრიანი ღია გემბანით, ორი ძველი მოდელის ლათინურაფრიანი ანძითა და გარე მოტორით.

ჩემი სახლის უკან, პლაჟზე, სადაც სულიერს თითქმის ვერასდროს გადააწყდებით, ზაფხულობით გასართობად სამმეტრაფრიანი პატარა კატარღა მყავს.

• • •

80 წელს გადაბიჯებული, ვარ თუ არა პენსიონერი?

ჰოც და არაც. თუ შემეკითხებით: „მაქვს თუ არა ხელფასიანი სამსახური?" გიპასუხებთ: „არა, პენსიაზე ვარ". შეკითხვაზე: „ვარ თუ არა ადრინდელზე უფრო მოცლილი?" გიპასუხებთ: „არა, დაკავებული ვარ ისე, თითქოს ვმუშაობდე, შეიძლება მეტადაც კი". შეერთებულ შტატებში, ჩემი კარიერის განმავლობაში, ვიყავი უცხო ენებისა და ენათმეცნიერების მასწავლებელი რამდენიმე კოლეჯსა და უნივერსიტეტში - მე მაქვს შეერთებულ შტატებში ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის, რატგერსისა და იელის, დიპლომები. გამოვეცი სახელმძღვანელოები და რამდენიმე წიგნის ავტორიც გახლავართ. შეერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან უნივერსიტეტში, ნიუ იორკის კოლამბია უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტში სტაჟიორ მასწავლებლად მიმიწვიეს. 1991 წელს მე დავაარსე და შვიდი წლის მანძილზე სათავეში ვედექი ენების შემსწავლელ ინსტიტუტს თბილისში, სადაც მოხალისე ამერიკელი მასწავლებლები მივიწვიე - ამ დროს ზოგიერთი ქართველისათვის ისინი პირველი ამერიკელები იყვნენ!

(გაგრძელება იქნება)

თუ კარგად დააკვირდებით, ფორტეპიანოზე მოცეკვავე თითები ცახცახებენ, მაესტროს ყელში ბურთი ებჯინება და სიმწრისგან ცრემლს ყლაპავს - ეს მაესტრო რეჯებ ჟორდანიაა, საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ვაჟი, რომელიც ახლა ფორტეპიანოს უზის და ჩემთვის კოტე ფოცხიშვილის ჰიმნს „დიდებას" უკრავს.

დღეიდან ჩვენი გაზეთი ბატონ რეჯებ ჟორდანიასთან საუბრების ციკლის დაბეჭდვას იწყებს. დასრულებისთანავე კი შესაძლებლობა გვქონებათ გაეცნოთ მანუჩარ კაჭახიძის შტრიხებს პორტრეტისათვის „ქართველი". მანამდე კი, წაიკითხეთ და ჩაწვდით!

1 33.2 $ 500 ეკ6

მდებარეობა

ჯიქიას ქუჩას კუს ტბიდან, წყნეთის მთებამდე ესაზღვრება მთები მარადმწვანე ნაძვნარით. ეკოლოგიურად სუფთა ადგილი, გრილი ზაფხული უნიკალურ პირობებს ქმნის საცხოვრებლად. კორპუსები განლაგებულია საისმურად მყარ ქანიან კლდეზე, რაც საცხოვრებლად უსაფრთხო იქნება.

არქიტექტურა

აქ თანამედროვე დიზაინითა და არქიტექტურით შექმნილი ულამაზესი სახლებია განლაგებული ყველა სახლი ერთმანეთისაგან განსხვავებულია და ყველა თავისებური სილამაზით გამოირჩევა.

ფუნქციები

დასახლებულ უბანზე გეგმით გათვალისწინებულია საბავშვო ბაღი და დაწყებითი სკოლა, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო კომპლექსი, სასტუმრო და საბანკეტო დარბაზი, აფთიაქი და სტომატოლოგიური კაბინეტი, მინისქვეშა თანამედროვე ავტოსადგომი და კაბელური ტელევიზია, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კურთხევით იარსებებს მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესია.

უსაფრთხოება

კომპლექსი მთლიანად შემოღობილი იქნება 3 მეტრის სიმაღლის მყარი კედლით, რომლის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებული იქნება გა-ნათება. უსაფრთხოების მიზნით, კომპლექსი 24 საათის განმავლობაში მუდმივად დაცული იქნება დაცვის პოლიციის თანამშრომლების მიერ.

ტელ: +995 (99) 721008 +995 (95) 727888



ალბერტო მორავია (1907-1990) — იტალიელი პროზაიკოსი (მოთხრობათა კრებულები „სამოთხე“, „რომაული მოთხრობები“, „ეპიდემია“, რომანი „ჩოჩარა“ და მრავალი სხვა). მის ნაწარმოებებში მკითხველი სრულად შეიგრძნობს დიდი ქალაქის კოლორიტს, გასაოცარი დამაჯერებლობითა და იუმორით დახატული პერსონაჟები კი იტალიური ნეორეალიზმის ტიპური წარმომადგენლები არიან.

ალბერტო მორავია

ლაჯვარა თავგზა შეუპარავი

დილით, როდესაც მსახური ენერგიულად აღებს დარაბებს, ტანკრედი ფართო და ფაფუკი საწოლიდან, რომელშიც განცხრომით ნებივრობს, პირველად მზერას საათს როდი მიაპყრობს - უმაქნისად მცხოვრებისათვის დრო, როგორც ასეთი, არ არსებობს; არც საწოლის გვერდით სკამზე ლანგრით დადგმულ საუზმეს - ტანკრედი საკვების მიმართ გულგრილია; თქვენ წარმოიდგინეთ, არც ზეცას, რომელიც მისი ფანჯრიდან ჩანს - ტანკრედისათვის ამინდს მნიშვნელობა მხოლოდ მის პატივმოყვარეობასთან დაკავშირებით აქვს, ანუ თბილად უნდა ჩაიცვას თუ მსუბუქად, კოპწია პალტოში გამოეწყოს თუ ღია ფერის ლაბადაში; არა, მისი ჯერ კიდევ ამღვრეული თვალები ახალ კოსტიუმს ელაციცებიან, რომელიც მკერავმა გუშინ საღამოს მოიტანა და გვიან ღამით შინ დაბრუნებულმა ტანკრედიმ საწოლზე გადაფენილი დაინახა.

ახლა კოსტიუმი ოთახის შუაში დადგმულ მანეკენს აცვია და საფრთხობელას ჰგავს. იმავე სულსწრაფობით, როგორითაც ახალგაზრდა დედა გაღვიძებისთანავე მასთან შვილის მიყვანას ითხოვს, ტანკრედი მსახურს კოსტიუმის ახლოს მიტანას უბრძანებს, რათა ძალ-ღონის დაუძაბავად შეძლოს მისი თვალიერება და სინჯვა. ახალი სამოსის შესწავლა ოციოდე წუთს გრძელდება; თუმცა, შევცდებოდით, თუ ამას დამკვეთის სრულიად ბუნებრივ მომთხოვნელობას მივაწერდით. სინამდვილეში ტანკრედი კოსტიუმს რაიმე დეფექტის აღმოსაჩენად როდი ათვალიერებს და სინჯავს: მრავალჯერ მოზომების დროს მას ჰქონდა შესაძლებლობა, გოჯი-გოჯ, ნაკერ-ნაკერ შარიანად შეემოწმებინა მკერავის ნახელავი; მოცემულ შემთხვევაში ჭვრეტა კრიტიკულ მიზნებს არ ემსახურება, შეიძლება ითქვას, რომ ის კოსტიუმს ვერც კი ხედავს, ეს შემსწავლელი კი არა, დარცხვენილ-აღტაცებული და შეყვარებული მზერა უფროა. მოკლედ რომ ვთქვათ, საუცხოოდ დაუთოებულ, მანეკენზე შემოსალტულ სახელოებცარიელ კოსტიუმში ტანკრედი ისე აირეკლება, როგორც ნარცისი - თავის ტბაში; მკერავის ოსტატობაზე მეტად სწორედ საკუთარი პატივმოყვარეობის ბუნდოვანი და გადღაბნილი ანარეკლი აიძულებს, ფართოდ გახელილი თვალებით მიილტვოდეს უძრავი, დამცინავად უთავო პიჯაკისაკენ.

ამასობაში ფინჯანში ყავა ცივდება, დრო გადის, უფრო სწორად, მიფრინავს, **მანეკენის მხრებზე მოკალათებული პიჯაკი, რომელიც ათი წუთის წინ მხოლოდ პიჯაკი იყო, ახლა გამოცანაა, ფეტიში, ტაბუ, კერპი, გონებისათვის მიუწვდომელი, მნიშვნელობით აღსავსე ნივთი, რომელსაც ჯადოსნობის ელფერიც კი დაჰკრავს.** როგორ გინდა, თვალი მოსწყვიტო? ტანკრედი მსჯელობს: „ჩემ წინაშეა ყავისფერ-მწვანე უჯრულა პიჯაკი და მეტი არაფერი“. თუმცა, იმდენად პიჯაკში არა, რამდენადაც საკუთარ თავში რაღაცა მისთვის შეუცნობელი და ამის გამო მიმზიდველი რჩება. ბოლოს ტანკრედი ღრმად ამოიოხრებს, გამოფხიზლდება, სწრაფად გადაკრავს ყავას და სააბაზანოში გადაინაცვლებს.

ამბობენ, იმანუილ კანტი მშობლიურ კენიგსბერგში ყოველ დილით სეირნობდა ბულვარში, რომლის ბოლოს ხე იზრდებოდა, და როდესაც ეს ხე მოჭრეს, დიდმა ფილოსოფოსმა ისე განიცადა, რომ აზროვნების ჩვეული სიცხადე მთელი დღის განმავლობაში ვეღარ აღიდგინა. თუკი სხვა ქალაქს და სხვა მოქმედ პირს ავიღებთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტანკრედის საქმე წასული იქნებოდა, დილის ტუალეტს ყოველდღე რომ არ უთმობდეს ორსამ საათს, რომელთა განმავლობაში (როგორც პიანისტი, რომელიც კონცერტის წინ რამდენიმე აკორდს მოსინჯავს) ის თავის განსაკუთრებულობასთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ - პატივმოყვარეობასთან ბრუნდება. სანამ ის შხაპს იღებს, იმშრალებს, პირს იპარსავს, კბილებს იხეხავს, პუდრს იფრქვევს, თმას ივარცხნის, მოკლედ, პეწიანდება; სანამ მეთოდურად, მაგრამ მტანჯველი გულისყურით (თითქოს მღვდელი წირვისთვის მზადების დროს) თანდათან, მზარდი დაძაბულობით უახლოვდება მთავარს - ჩაცმის წუთს, მისი სულიც და სხეულიც ცოცხლდებიან, უღრმესი თვითკმაყოფილების მოზღვავებით აგზნებულნი ფახაფუხობენ, ძარღვებში სისხლი უფრო ძალუმად ჩქეფს, თავში მსუბუქი, გაურკვეველი აზრები ფუტკრებივით ბზუიან, კუნთები ისე უთამაშებს, როგორც წმინდა სისხლის ბედაურს, აწეწილი, სველი თმით ნახევრად დაფარული ძილმორეული თვალები იღვიძებენ, ბრწყინდებიან, იხედებიან. და რას ხედავენ? არაფერს, ტანკრედის გარდა - ყველა სარკეში, დიდსა თუ პატარაში, ნახევრად ბნელსა თუ განათებულში, მაღალსა თუ დაბალში, ისინი ტანკრედის გარდა ვერაფერს ხედავენ. მხოლოდ ტანკრედის. მის ზურგს, კეფას, სახეს, ფეხებს, მკერდს, ხელებს და კვლავაც სახეს. იმ კაცის მსგავსად, რომელსაც ქუჩაში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილას ლამაზმანი გაუღიმებს, ის კი დარცხვენასა და საპასუხო გაღიმების სურვილს შორის მერყეობს, ტანკრედიც გარკვეულ ხანს ებრძვის თავს, ბოლოს კი ფარ-ხმალს ყრის, სარკის წინ დგება და საკუთარ თავს უმზერს. **მის სახეზე ერთი კვადრატული მილიმეტრიც არ არის ისეთი, მომხიბვლელად და მნიშვნელოვნად რომ არ ეჩვენებოდეს. მისი სახე საიდუმლოა, ვინ ამოხსნის მას?** და აი, ის ვეღარ ითმენს და სარკეს კოცნის: რა გაეწყობა, ფიქრობს ის, - ამას ვერ ვუმკლავდები, მიიღე, ლამაზო, საყვარელო, მიიღე ეს კოცნა, შენ გაიმარჯვე. დაძაბულობა მოხსნილია. ტანკრედი ქურდულად იხედება აქეთ-იქით, თითქოს შეეშინდა, რომ ვიღაც უთვალთვალებს, ოთახში ბრუნდება და ჩაცმას იწყებს. პერანგი, ტრუსი, წინდები, ჰალსტუხი, კოსტიუმი, მაჯის საათი, პორტსიგარი, სანთებელა, საფულე, ქინძისთავი, ფეხსაცმელი, შლაპა, ხელთათმანები - ყველა ეს ნივთი ტანკრედიმ როდი აიღო და თავ-თავიანთი ადგილები მიუჩინა: არა, ისინი ცოცხლები არიან, თვითონ მოხტიან ყოველი მხრიდან შიშველი სხეულისკენ და თვალის დახამხამებაში მოსავენ, აცმევენ, რთავენ. **რა სიმსუბუქით, ჰაეროვნებით, ჰარმონიით გამოირჩევა დილის რიტუალის დასკვნითი ნაწილი. რა სწრაფად და ნეტარებით გარბის დრო. რა სასწაულად ეჩვენება ტანკრედის, რომ უკვე თავიდან ფეხებამდე შემოსილია, და თვითონაც არ იცის, როგორ მოხდა ეს.** უეჭველია, რომ ეს იყო ექსტაზი, ტრანსი, მისტიკური განდგომილება. სხვაგვარად როგორ ახსნით ამ ჯადოსნურ სიმსუბუქეს, ამ გახელებულ თავდავიწყებას, დროისა და სივრცის კანონთა ამ არაცნობიერ დარღვევას? თუმცა, ტანკრედის თვითანალიზისთვის არ სცალია. უკვე გვიან არის, პირველ საათამდე უნდა ისეირნოს, რამდენიმე მაღაზიაში შეიაროს, ხალხს ეჩვენოს. „ება! - იძახის ის, - ება!“ და სწრაფად გადის ოთახიდან.

რა განსხვავებაა ძვირად ღირებულ ავტომობილს, საღილეში გაყრილ გარდენიასა და ქალს შორის? გამოცანას ჰგავს, თანაც - სულელურს; არადა, ეს ჩვეულებრივი შეკითხვაა. განსხვავება დიდია, უზარმაზარი, განუზომელი; თუ ავტომობილს, ყვავილს და ქალს ავიღებთ, პირველი მინერალური წარმოშობისა იქნება, მეორე - მცენარეული, მესამე კი - ცხოველური. და კიდევ სული, ეშმაკმა დალახვროს, გარდენიასა და მანქანას ის არ გააჩნიათ, მაგრამ ქალს ხომ აქვს? თუმცა, ზოგჯერ ამას ეჭვქვეშ აყენებენ, მაგრამ ვინ? სიყვარულში იმედგაცრუებულნი, გამოუსწორებელი ქალთმოძულენი, თავგამოდებული პოზიტივისტები, ადამიანები, რომლებიც ჯიბრით ლაპარაკობენ. რა თქმა უნდა, არავინ აპირებს, ტანკრედი მათ რიცხვს მიაკუთვნოს; და მაინც, უეჭველია, რომ სახლიდან გამოსვლის მომენტში მისი ცოლი ები, ყვავილი საღილეში და მანქანა, რომელშიც ჯდება, მისთვის ერთ მთლიანს წარმოადგენენ, ერთ რიგში დგანან, საერთო ხვედრი აერთიანებთ. და როგორია ეს ხვედრი? არცთუ სამწუხარო - ტანკრედის მოკაზმვის, მისი პერსონისთვის წონის მომატების, მისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების ხვედრი. მანქანა ადგილიდან იძვრის, ასფალტზე მიგორავს - ხიდან ხიდზე, მზის კაშკაშა სხივებით განათებული. აი, ფეშენებელური ქუჩა, წყვილი მანქანიდან გადმოდის და სეირნობს. ბევრი აყოლებს თვალს ების, ასეთ მორთულს, ახალგაზრდას, ეშხიანს. მათი მზერა, ეჭვიანობის ნაცვლად, ტანკრედის ფრთას ასხამს, სიამოვნებას ანიჭებს, ათრობს. **რაღა უნდა ინატრო, ყავისფერ-მწვანე კუბოკრული კოსტიუმის და ლამაზი ცოლის გარდა, რომელიც ხელკავით მოგყავს, რა შეიძლება იყოს სამყაროში ამაზე მშვენიერი?** გაფუყული, ხმაჩახლეჩილი ფარშავანგი, რომელიც შუა გაზონზე დადგება, ლამაზ ბოლოს გაშლის, თავს ატრიალებს და აკვირდება, აღფრთოვანდნენ თუ არა მისით... ჩემი აზრით, ეს ფარშავანგიც კი არ იქნება ისე კმაყოფილი, როგორც ტანკრედი.

პირველი საათი დაიწყო, ყველა შინისკენ მიიჩქარის - ყველა, ტანკრედის გარდა, რომელიც მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზიაში შევიდა, ცოლი მოშორებით დასვა სკამზე და ახლა ჰალსტუხის არჩევაზე წვალობს. ები ეკლებზე ზის, სახლში უნდა. გამყიდველიც, თავიდან ასეთი თავაზიანი და დაჟინებული, დუმს და საათზე მოუთმენლად იყურება, მაგრამ ტანკრედი ყოყმანობს. ზოლიანი ჰალსტუხებიც მოსწონს და დაწინწკლულიც, ერთფერაც და ჭრელიც. დახლზე მიმობნეული ჰალსტუხების ცისარტყელა მთლიანად ისეთი მშვენიერი, მიმზიდველი, მისთვის ზედგამოჭრილია. **ასეთ შემთხვევებში არჩევანის გაკეთება რაღაცის მსხვერპლად გაღებას, რაღაცის გარეშე დარჩენას, რაღაცაზე უარის თქმას ნიშნავს.** ტანკრედის აგზნებული პატივმოყვარეობის ხარბი, გაუბედაობითა და აღტაცებით აღსავსე ღიმილი დასთამაშებს სახეზე. მისი ჭირვეული თითები აბრეშუმზე დასრიალებენ, ახლა რაიმე საბაბი არ აწყენდა - თუნდაც ერთადერთი, თუნდაც სულელური - რომ ამ სასტიკი და ტკბილი სასწორის პინა შეარხიოს, მაგრამ ვერ პოულობს. ბოლოს ნაჩქარევად, ლამის დახუჭული თვალებით, რამეთუ უსამართლობის ჩადენა ძნელია, ის ირჩევს, საფასურს იხდის და მაღაზიიდან მოუთმენელი აჩქარებით გასულ ცოლს ფეხდაფეხ მისდევს.

დილა დასრულდა. ტანკრედი შინ ბრუნდება. მაგრამ როდესაც მანქანა შემოდგომის მზის თბილი, ოქროსფერი სხივებით განათებულ მოასფალტებულ ქუჩაზე მისრიალებს, საქარე მინაზე, ღრუბლებისა და შემხვედრი ხეების კალეიდოსკოპში, საკუთარ გამოსახულებას აღმოაჩენს. ის ცისფერია იქ, სადაც ცა ირეკლება, მწვანეა იქ, სადაც ფოთლების ანარეკლი ელავს. გამოსახულება ტანკრედის უღიმის, და მასაც არ შეუძლია, ღიმილით არ უპასუხოს. სისუფთავისგან მბზინავ მინაზე ერთმანეთს ცვლიან ხეები, სახლები, ღრუბლები, გამოსახულება კი რჩება. **საყვარელი, ეფემერული გამოსახულება! ტანკრედი ყაბულს იქნებოდა, გზა უსასრულოდ რომ გრძელდებოდეს.**

ამასობაში ტანკრედის მანქანა ასფალტის ნაცრისფერ ზოლს მიუყვება, რადიატორზე თვალისმომჭრელი ათინათები დასთამაშებს, ის სულ უფრო პატარავდება, ბოლოს კი თვალს ეფარება. მზის სხივებში ჩაფლული ქუჩა კვლავ ცარიელია.

ეს ფოტო ჩვენი გაზეთის რედაქციამ გაზეთის დაბეჭდვამდე რამოდენიმე საათით ადრე მიიღო.

დღეს, 18 თებერვალს, ნიუ იორკის წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის მოძღვარმა მამა ალექსანდრე თანდილაშვილმა საზეიმოდ აკურთხა ბრუკლინში მდებარე ქართული რესტორანი „თბილისი“, რომელიც უკვე ახალი მფლობელებით იწყებს ახალ ცხოვრებას.

დღეიდან რესტორან „თბილისის“ ზღურბლს გადაბიჯებულთათვის ოჯახურ, თბილ და ჭეშმარიტი ქართული გარემოს შექმნაზე ვაჟა და ხათუნა გიორგაძეების ოჯახი იზრუნებს.

ეს რომ ასეა, ამაში თავად დარწმუნდნენ ქართული ემიგრაციის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც გელა საჩალელის თამადობით ერთად ლოცავდნენ ქართული რესტორნის ჭერს.

მარკ ტვენი

რეპორტაჟი გუბერნატორად



მარკ ტვენი (სემუელ ლენგჰორნ კლემენსი — 1835-1910), ამერიკელი მწერალი, ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის თავგადასავლების ავტორი. პროფესიონალმა ჟურნალისტმა პირველი წიგნი 34 წლის ასაკში გამოაქვეყნა. ამერიკულ ცხოვრებაზე შექმნილი მწვავე, მამხილებელი პამფლეტების წყალობით მარკ ტვენმა ხასიათისა და ინტრიგის ოსტატის, ბრწყინვალე იუმორისტის სახელი დაიმკვიდრა.

რამდენიმე თვის წინ დამოუკიდებელთა პარტიამ ჩემი კანდიდატურა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე წამოაყენა. ორმა სხვა პარტიამ მისტერ სტიუარტ ლ. ვუდფორდისა და მისტერ ჯონ ტ. ჰოფმანის კანდიდატურები დაასახელა. თუმცა, ვაცნობიერებდი, რომ ამ ბატონების წინაშე მნიშვნელოვანი უპირატესობა მაქვს, კერძოდ, უმწიკვლო რეპუტაცია. საკმარისი იყო, გაზეთებისთვის გადაგეხედათ, რათა დარწმუნებულიყავით, რომ თუკი ისინი ოდესმე იყვნენ კიდეც წესიერი ადამიანები, ამ დროამ დიდი ხნის წინ ჩაიარა. სრულიად აშკარა გახლდათ, რომ ბოლო წლებში ისინი ყველა შესაძლო მანკიერებაში ჩაიძირნენ.

საკუთარი უპირატესობით ვტკბებოდი და გულის სიღრმეში მიხაროდა, მაგრამ ჩემი ბედნიერების უშფოთველ მდინარებას მღვრიე ჭავლივით ერთი აზრი არღვევდა: ჩემს სახელს ხომ ამ თაღლითების სახელების გვერდით მოიხსენიებენ! ეს სულ უფრო მეტად მაშფოთებდა. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, რჩევა ბებიასთვის მეკითხა. მოხუცმა სწრაფად და მტკიცედ მიპასუხა. მისი წერილი ღაღადებდა:

„მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი უწესო საქციელიც არ ჩაგიდენია. ერთიც კი! არადა, მხოლოდ გაზეთები გადაიკითხე და მიხვდები, რა ხალხია მისტერ ვუდფორდი და მისტერ ჰოფმანი. თავად განსაჯე, შეგიძლია თუ არა, თავი იმდენად დაიმცირო, რომ მათთან საჯარო ბრძოლა წამოიწყო“.

სწორედ ეს არ მასვენებდა! მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ბოლოს გადავწყვიტე, რომ უკან დახევა გვიანღაა. ამომრჩევლებმა ნდობა გამომიცხადეს და ბოლომდე უნდა ვიბრძოლო. საუზმის დროს, გაზეთების თვალიერებისას ერთ შენიშვნას წავაწყდი და, სიმართლე გითხრათ, გავოგნდი:

„ცრუმოწმეობა. შესაძლოა, ახლა, როდესაც ხალხის წინაშე გუბერნატორობის კანდიდატად წარდგა, მისტერ მარკ ტვენი ინებებს, აგვიხსნას, რა ვითარებაში ამხილა ქალაქ ვაკავაკაში (კოხინხინში) 1863 წელს ოცდათოთხმეტმა მოწმემ ფიცის დარღვევაში! ხმები დადის, რომ ცრუმოწმეობა ჩადენილია ადგილობრივი ღარიბი ქვრივისა და მისი უმწეო შვილებისთვის მიწის საცოდავი ნაგლეჯის და რამდენიმე ბანანის ხის წართმევის მიზნით – ანუ ერთადერთის, რაც მათ შიმშილისა და სიღატაკისგან იფარავდა. საკუთარი და ამომრჩევლების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც, როგორც მისტერ ტვენი იმედოვნებს, ხმას მას მისცემენ, იგი ვალდებულია, ეს ისტორია განმარტოს. გაბედავს კი?“

გაოცებისგან თვალები შუბლზე ამივიდა. რა უხეში, ურცხვი ცილისწამებაა! კოხინხინში არასდროს ვყოფილვარ! ვაკავაკაზე წარმოდგენაც არ მაქვს! ბანანის ხეს კენგურუსგან ვერ ვარჩევ! უბრალოდ, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. გაცოფებული, მაგრამ სრულიად უმწეო გახლდით.

მთელი დღე გავიდა, მე კი ვერაფერი ვიღონე. მეორე დილით იმავე გაზეთში ასეთი სტრიქონები გამოჩნდა:

„საბულისხმოა! უნდა აღინიშნოს, რომ მისტერ მარკ ტვენი კოხინხინში თავის ცრუმოწმეობასთან დაკავშირებით მრავალმნიშვნელოვნად დუმს!“

(შემდგომში, მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ეს გაზეთი მხოლოდ „ფიცის გამტეხ საზიზღარ ტვენად“ მომიხსენიებდა.)

შემდეგ სხვა გაზეთში ასეთი შენიშვნა დაიბეჭდა:

„სასურველია, ვიცოდეთ. ხომ არ ინებებს გუბერნატორობის ახალი კანდიდატი, იმ თანამოქალაქეებს, რომლებიც მისთვის ხმის მიცემას ბედავენ, ერთი საინტერესო გარემოება განუმარტოს: მართალია თუ არა, რომ მონტანაში მასთან ერთად ბარაკში მცხოვრებ ამხანაგებს დროდადრო წვრილ-წვრილი ნივთები ეკარგებოდათ და მათ, როგორც წესი, ან მისტერ ტვენის ჯიბეებში, ანდა მის „ჩემოდანში“ (ძველ გაზეთში, რომელშიც ის თავის ხაბა-ხუბას ახვევდა) აღმოაჩენდნენ? მართალია თუ არა, რომ ამხანაგები იძულებული გახდნენ, თავად მისტერ ტვენის სასარგებლოდ, მისთვის მეგობრული ჩაგონება ჩაეტარებინათ, კუპრში ამოეთხუპნათ, ბუმბულებში ამოევლოთ და ჭოკზე შესმული ჩაეტარებინათ ქუჩებში, შემდეგ კი ერჩიათ, სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა ბანაკში დაკავებული ადგილი და სამუდამოდ დაევიწყებინა მათკენ მიმავალი გზა?

რას გვიპასუხებს ამაზე მისტერ ტვენი?“

განა შეიძლებოდა მეტი საძაგლობის მოფიქრება? მე ხომ მონტანაში ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ!

(მას შემდეგ ეს გაზეთი ჯიუტად მიწოდებდა „მონტანელ ქურდ ტვენს“.)

იმ დღიდან დილის გაზეთის გადაშლისას შიში მიპყრობდა - ალბათ, ასე სწევს საბნის კუთხეს ადამიანი, რომელიც ეჭვობს, რომ ლოგინში ჩხრიალა გველი იმალება.

ერთხელ თვალში ასეთი სტრიქონები მომხვდა:

„ცილისმწამებელი მხილებულია! ფაივ-პოინტელმა მაიკლ ო'ფლანაგანმა, უოტერსტრიტელმა მისტერ კიტ ბერნსმა და მისტერ ჯონ ალენმა ფიცის ქვეშ მისცეს ჩვენება, რომელიც მოწმობს, რომ მისტერ ტვენის ურცხვი მტკიცება, თითქოს ჩვენი ღირსეული კანდიდატის ჯონ ტ. ჰოფმანის განსვენებული ბაბუა შარაგზაზე ყაჩაღობისთვის ჩამოახრჩვეს, უსინდისო, სულელური და უსაფუძვლო ცილისწამებაა. ყოველ წესიერ ადამიანს გულზე ნაღველი შემოაწვება იმის დანახვაზე, პოლიტიკური წარმატების მისაღწევად როგორ კადრულობენ ზოგიერთები ნებისმიერ საზიზღარ ხრიკს, შეურაცხყოფენ აკლდამებს და ბღალავენ გარდაცვლილთა უმწიკვლო სახელებს. იმ მწუხარების წარმოდგენაზე, რომელიც ამ ამაზრზენმა ტყუილმა განსვენებულის სრულიად უდანაშაულო ახლობლებსა და მეგობრებს მოუტანა, მზად ვართ, შეურაცხყოფილ და აღშფოთებულ საზოგადოებას ვურჩიოთ, ცილისმწამებელს მრისხანე თვითგასამართლება მოუწყონ. თუმცა, არა! დაე, სინდისის ქენჯნით დაატანჯოს! (თუმცა, თუკი ჩვენი გააფთრებული თანამოქალაქენი ფიზიკურ ზიანს მიაყენებენ, სრულიად აშკარაა, რომ ვერცერთი ნაფიცი მსაჯული მათ დადანაშაულებას ვერ გაბედავს და ვერცერთი სასამართლო ამ საქმის მონაწილეებს სასჯელს ვერ გამოუტანს.)“

ჭკვიანურად მოფიქრებულმა დასკვნითმა ფრაზამ, როგორც ჩანს, ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინა: იმავე ღამეს ლოგინიდან სასწრაფოდ წამოხტომა და უკანა კარიდან გაქცევა მომიხდა, ხოლო „შეურაცხყოფილი და აღშფოთებული საზოგადოება“ სადარბაზო შესასვლელიდან შემოიჭრა და სამართლიანი გულისწყრომით აღტკინებულმა ფანჯრები და ავეჯი დამილეწა, ამასობაში კი ხელს ჩემი ნივთებიც გააყოლა. და მაინც, შემიძლია ყველა წმინდანი დავიფიცო, რომ მისტერ ჰოფმანის ბაბუისთვის ცილი არასდროს დამიწამებია. მეტიც, მისი არსებობის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა და მისი სახელი არასდროს მსმენია.

(უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული გაზეთისთვის მას შემდეგ „აკლდამების წამბილწველ ტვენად“ გადავიქეცი.)

მალე ჩემი ყურადღება შემდეგმა სტატიამ მიიპყრო:

„ღირსეული კანდიდატი! მისტერ მარკ ტვენი, რომელიც გუშინ დამოუკიდებელთა მიტინგზე მჭექარე სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, იქ არ გამოცხადდა. მისტერ ტვენის ექიმისაგან მიღებულ ტელეგრამაში ნათქვამია, რომ ტვენი არ იყო. როგორც იქნა, გაებნენ! ხრიკები ალარ უშველით! მთელი ხალხი ხმამაღლა ეკითხება მათ: „ვინ იყო ის კაცი?“

თვალებს არ ვუჯერებდი. შეუძლებელია, რომ ჩემი სახელი ასეთ საზარელ ეჭვს უკავშირდებოდეს! უკვე სამი წელია, არც ღვინოს, არც ლუდს და, საერთოდ, არანაირ სპირტიან სასმელს პირს არ ვაკარებდი.

(როგორც ჩანს, დრომ თავისი მოიტანა, თანდათან გამოვიწრთვენი, იმიტომ, რომ ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში განსაკუთრებული მღელვარების გარეშე წავიკითხე ჩემი ახალი მეტსახელი: „ტვენი - თეთრი ცხელება“, თუმცა ვიცოდი, რომ ის საარჩევნო კამპანიის ბოლომდე შემომრჩებოდა.)

ამ დროისათვის ჩემს სახელზე უამრავი ანონიმური წერილი მოდიოდა. ჩვეულებრივ, ისინი ასეთი შინაარსისა იყო:

„რას იტყვით იმ ბეჩავ დეიმოსზე, რომელსაც წიხლი ჩაეზილეთ, როდესაც მოწყალების სათხოვნელად კარზე მოგიკაკუნათ?“

ანდა:

„თქვენი ზოგიერთი ბნელი საქმე ჯერჯერობით მხოლოდ ჩემთვის არის ცნობილი. რამდენიმე დოლართან გამომშვიდობება მოგიწევთ, თორემ გაზეთები თქვენი მონა-მორჩილისაგან თქვენზე რაღაც-რაღაცებს შეიტყობენ.

ჰენდი ენდი“

დანარჩენი წერილებიც ამ სტილისა იყო. შემეძლო, სიტყვასიტყვით მომეტანა, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველი ამითაც დაკმაყოფილდება.

მალე რესპუბლიკური პარტიის მთავარმა გაზეთმა ამომრჩეველთა მოსყიდვაში „მამხილა“, ხოლო დემოკრატების ცენტრალურმა ორგანომ ჩემ მიერ ფულის დანაშაულებრივი გამოძალვის ფაქტები „საამკარაოზე გამოიტანა“.

(ამგვარად, კიდევ ორი მეტსახელი შევიძინე: „ტვენი - ბინძური გაიძვერა“ და „ტვენი - უნამუსო შანტაჟისტი“.)

ამის შემდეგ ყველა გაზეთმა საშინელი ხმაურით მომთხოვა პასუხი ჩემთვის წაყენებულ ბრალდებებზე. ჩემი პარტიის ხელმძღვანელებმა გამომიცხადეს, რომ დუმილი ჩემს პოლიტიკურ კარიერას დაღუპავს. და თითქოს ამის დასამტკიცებლად და ჩემს შესაფუცხუნებლად მეორე დილით ერთ-ერთ გაზეთში ასეთი სტატია გამოჩნდა:

„ერთი, ამ სუბიექტს დაბიხედეთ! დამოუკიდებელთა კანდიდატი კვლავაც ჯიუტად დუმს. რა თქმა უნდა, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს. მისთვის წაყენებული ბრალდებები სავსებით სარწმუნო აღმოჩნდა, რასაც მისი მჭევრმეტყველური დუმილიც ადასტურებს. ამიერიდან ის სამუდამოდ დაღდასმულია! დატკბით ამ საზიზღარი ფიცის გამტეხით, მონტანელი ქურდით, აკლდამების წამბილწველით! შეხედეთ თქვენს განსნეულებულ თეთრ ცხელებას, თქვენს ბინძურ გაიძვერას და უნამუსო შანტაჟისტს! დააკვირდით, ყოველი მხრიდან დაათვალიერეთ და თქვით, გაბედავთ თუ არა, თქვენი პატიოსანი ხმები მისცეთ არამზადას, რომელმაც თავისი მძიმე დანაშაულებით ამდენი ამაზრზენი მეტსახელი დაიმსახურა და კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავს, რომ თუნდაც ერთი მათგანი უარყოს!“

თავის არიდება აღარ შეიძლებოდა და, ღრმად შეურაცხყოფილი, მთელ ამ დაუმსახურებელ, ბინძურ ცილისწამებათა გროვაზე „პასუხს“ ჩავუჯექი. მაგრამ სამუშაოს დასრულება არ მეწერა, რადგან მეორე დილას ერთ-ერთ გაზეთში ახალი საშინელი, ღვარძლიანი ცილისწამება ვიხილე: მადანაშაულებდნენ, რომ ცეცხლი წავუკიდე საგიჟეთს თავისი ბინადრებიანად, რადგან ის ჩემი ფანჯრიდან ხედს აუშნოვებდა. აქ კი თავზარი დამეცა. ამას მოჰყვა შეტყობინება, რომ მისი ქონების დაუფლების მიზნით საკუთარი ბიძა მოვწამლე. გაზეთი დაჟინებით მოითხოვდა გვამის გაკვეთას. მეშინოდა, რომ სადაცაა შევიშლებოდი. მაგრამ ჯერ სადა ხართ: მალე ბრალი დამდეს, რომ, როგორც მიგდებული ბავშვების თავშესაფრის მეურვემ, ჩემი გამოყეყეჩებული უკბილო ნათესავები აღსაზრდელებისათვის საჭმლის დამღეჭავთა თანამდებობებზე მოვაწყვე. სრული უმწეობა ვიგრძენი.

საბოლოოდ უსინდისო დევნამ, რომელიც მტრულმა პარტიებმა მომიწყვეს, უმაღლეს წერტილს მიაღწია: ვიღაცის წაქეზებით წინასაარჩევნო შეკრების დროს ყველა ფერის კანის ცხრა დაძონძილი ღლაბი ტრიბუნაზე ამოფოფხდა. ისინი ფეხებზე დამებღაუჭნენ და აყვირდნენ „მამა!“

ამას ვეღარ გავუძელი. დროშა დავუშვი და დავნებდი. ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე კენჭისყრისთვის საკმარისი ძალა არ აღმომაჩნდა. დავწერე, რომ კანდიდატურას ვხსნი, და გაფთრებულმა მოვაწერე ხელი:

„უღრმესი პატივისცემით თქვენი, ოდესღაც პატიოსანი მოქალაქე, ამჟამად კი

საზიზღარი ფიცის გამტეხი, მონტანელი ქურდი, აკლდამების წამბილწველი, თეთრი ცხელება და ბინძური გაიძვერა

მარკ ტვენი“. 1879

გითარგმნათ და წაკითხვა გაიძულათ მარინე კიკნაძემ

დასაწყისი იხ. „მამული“ 2005-2006

კარი მეორე

კარიბჭენი

აზმა მესამე

„მოქცევიდან“ გორგასალამდე

წიგნი „მოქცევისა“

ქრისტეს რჯული ქართველობისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად.

ილია ჭავჭავაძე

მესამე საუკუნის დასასრულიდან რომის მსოფლიო სახელმწიფო მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდა ერთიანობას, ნამდვილად კი იგი უკვე ორი ნაწილისაგან - აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიებისაგან შედგებოდა.

მალე თვით რომს, „მსოფლიოს ცენტრსა და მარადიულ ქალაქს“, აღმოსავლეთში ახალი სატახტო ქალაქი დაუპირისპირდა. იგი ააგო იმპერატორმა კონსტანტინემ ბოსფორის სრუტისა და მარმარილოს ზღვის შესაყარში, ძველი ბერძნული კოლონიის, ბიზანტიონის ადგილზე. დამაარსებლის სახელის მიხედვით, ქალაქს ეწოდა „კონსტანტინოპოლის“ (კონსტანტინეს ქალაქი). მისი კურთხევა და ახალ სატახტოდ გამოცხადება, დიდი ზორვითა და ზარზეიმით მოხდა 330 წლის 11 მაისს. აქედანვე დაედო საფუძველი „აღმოსავლეთ რომის იმპერიას“, ანუ მეორენაირად - „ბიზანტიის იმპერიას“ (ძველი ბიზანტიონის სახელის მიხედვით).

ეს ის დროა, როცა მთელ რომის იმპერიაში, ატლანტის ოკეანიდან მესოპოტამიამდე, გავრცელებულიყო ახალი რელიგიური მოძღვრება - ქრისტიანობა, რომელიც აქამდე, მთელი სამასი წლის მანძილზე, მოღწეულიყო ვითარცა დევნილი და წამებული რელიგია.

რომის იმპერატორთაგან კონსტანტინე იყო პირველი, რომელმაც გონივრულად შეაფასა ქრისტიანობის ძალა და სარგებლიანობა მონარქიული ხელისუფლებისათვის: მძლავრი კრიზისებით შერყეულ იმპერიას ერთიანი, მონოთეისტური რელიგიურ-იდეოლოგიური საძირკველი სჭირდებოდა, ხოლო ასეთ „ერთიან იდეოლოგიად“ მანამდელი პოლითეისტურ-მრავალღმერთიანული რელიგიებისაგან განსხვავებით, სწორედ ქრისტიანობა უნდა გამომდგარიყო.

ამიტომ კონსტანტინემ მის წინამორბედ იმპერატორთა ანტიქრისტიანული პოლიტიკა დაგმო და ქრისტიანობა მთელს იმპერიაში ნებადართულ მოძღვრებად გამოაცხადა. მისივე ნებით 325 წელს, ქალაქ ნიკეაში, მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება.

საქართველოში ქრისტიანობას კარგა ხანია იცნობდნენ, ხოლო კონსტანტინეს კეისრობის ჟამს იგი აქ ძალზე ფართოდაც იყო გავრცელებული.

ახალი რელიგია, როგორც მოსალოდნელი იყო, კონსტანტინოპოლურ სამყაროსთან უშუალოდ დაკავშირებულ დასავლეთ საქართველოში გავრცელდა. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ამბავი, რომ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო ყრილობის მონაწილე 318 ეპისკოპოსიდან 111-ე ნომრით მოხსენიებულია ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. ამდენად, დასავლეთ საქართველოში, უკვე IV საუკუნის პირველ მეოთხედში, საეპისკოპოსოები არსებულა.

330 წლის მახლობლად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოში - იბერიაში.

მაშინ აქ მეფედ იჯდა მირიან მესამე.

ქართლში ახალი მოძღვრების გამოცხადებისა და ქართველი ხალხის მონათვლის (მოქცევის) მთავარი გმირი შეიქნა ახალგაზრდა ქალი, სახელად ნინო.

მისი სამშობლო იყო კაპადოკია, ძველთაგან „პონტოელი ქართველებით“ დასახლებული ქვეყანა.

ჰყავდა წარჩინებული მშობლები:

მამა - ზაბილონ.

დედა - სუსანა.

ზაბილონ კაპადოკიელს ჭაბუკობიდანვე სახელი გაეთქვა ნიჭით, სიმამაცით, სიქველით, გულკეთილობით, ზნეკეთილობით.

რომის იმპერიის მხედართუფროსობისათვის მიუღწევია ზაბილონს.

ქრისტეს სჯულზე მოქცეულა და სხვაც მრავალი მოუქცევია.

მერე იერუსალიმს წასულა „ქრისტეს ადგილთა“ სათაყვანოდ, თან მთელი თავის ქონება წაუღია და გლახაკთა და ქვრივ-ობოლთათვის დაურიგებია.

მოსწონებია და ცოლად შეურთავს ქრისტიანი ქალი სუსანა, იერუსალიმის პატრიარქის და.

აქვე, იერუსალიმში დაორკეცებულა სუსანა.

ცოლ-ქმარი კაპადოკიაში დაბრუნებულა, მშობლიურ ქალაქ კალასტროში.

აქ დაბადებულა ნინო.

როცა თერთმეტი წლისა გახდა, მშობლებმა ყველაფერი მიჰყიდ-მოჰყიდეს, ისევ იერუსალიმს ჩავიდნენ და ფული მთლიანად იქაურ მათხოვრებს, საპყართ და ქვრივ-ობლებს დაურიგეს. აქვე დასახლდნენ და შეუდგნენ ღვთისმსახურებას.

ნინომ ბიძასთან, იერუსალიმის პატრიარქთან ისწავლა ქრისტიანობა და ქრისტეს მსახურობა.

კარგად რომ ისწავლა და შეისისხლხორცა, ბიძას ლოცვა-კურთხევა გამოსწირა, მშობლებს დაემშვიდობა და წარმართ ადამიანთა ქრისტეს სჯულზე მოქცევას შეუდგა.

ასე, ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით, ნინომ მიაღწია „სამეფოსა ჰრომს“.

აქ იგი დაუახლოვდა ორ ქალს - რიფსიმესა და მის გამზრდელ დედამძუძეს, გაიანეს. ორივე ქალი გააქრისტიანა. მალე მათ გარდა კიდევ ორმოცდაათამდე წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

ამასობაში, რომში ქრისტიანთა მორიგი დევნა და ხოცვა-ჟლეტა დაიწყო.

ნინო, რიფსიმე და გაიანე რომიდან გამოიქცნენ და დიდის ვაივაგლახით სომხეთს მოაღწიეს.

რიფსიმე და გაიანე სომხეთს დარჩნენ, სომეხთა მოსაქცევად.

ხოლო ნინო „ზეგარდმო მინიშნებით“, წამოემართა საქართველოსკენ.

მოდიოდა იგი, ქალწული უმშვენიერესი, სულით უმანკო და სხეულით უზადო, ტანად ალვა და პირად სახიერი, გონებით ნათელიერი და რწმენით შეგრძნებული, ყვავილ-ბალახთა მესაიდუმლე და მესასწაულე აქიმ-მკურნალი.

სამი თვე მოდიოდა, ხან ფეხზე ხამლით, ხან ფეხშიშველი, ხელში არგანით, მკერდზე ჯვარცმით.

მეოთხე თვეს, ივნისში, ჯავახეთში შემოდგა ფეხი.

ქალი შეაძრწუნა მთებმა, რომელთაც ზაფხულშიაც არ მოეხადათ თეთრი ნაბდები.

თავფარავნის ტბასთან შედგა და იქვე დაივანა ორი დღე-ღამე.

თვალსა და გულს აჩვევდა ქართულ მიდამოს, გასაოცარ მიწას და ზეცას.

ინახად მჯდარი გემის უსინჯავდა თავფარავნულ თევზს.

იხიბლებოდა აქაურ მწყემსთა თავაზითა და სტუმართმოყვარეობით.

აქვე პირველად მოისმინა „არმაზ“ და „ზადენ“, რომელთაც მასპინძელი მწყემსები მოუხმობდნენ, ლოცვას აღავლენდნენ და ზორვას უმართავდნენ.

აქვე ამ უცნაური კერპების თაყვანისმცემლებს პირველად უხილავთ უცხო ქალწულის ქრისტიანული ლოცვა-ვედრება და ცრემლთა თხევა.

აქვე ნინომ შეიტყო, რომ ეს გულკეთილი ადამიანები ყოფილან მცხოვრებნი „დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“.

და ნინოც წამოვიდა ამა „დიდისა ქალაქისაკენ“.

კიდევ დიდხანს იარა ხამლით და უხამლოდ.

გზაზე მგზავრებს აჰყვა, მტკვარი გადმოიარა და მოვიდა ურბნისს.

ერთი თვე აქ დადგა, ისწავლა აქაური ხალხი, მათი ცხოვრება, ზნე და ჩვევა. მერე დადგა დღე,

ᲣᲛᲐᲠᲛᲐᲨᲝ ᲬᲔᲚᲘᲬᲘ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲐᲜᲘᲫᲔ

როცა ხალხი დაიძრა „დიდად ქალაქად, სამეუფოდ, მცხეთად, მოვაჭრეებად სახმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“.

და ნინოც გაჰყვა ხალხის მდინარებას.

მოვიდა მცხეთას და იხილა ქალაქი საარაკო სიმშვენიერით.

ორი მდინარის შესაყარში გაშლილიყო სამეუფო ქალაქი ქართლოსიანებისა. მჭიდროდ და მრავლად დასახლებული, სახლები ტანსრული ხუროთმოძღვრული ანაგებით, კრამიტის სახურავებით, შუაგულში სამეფო სრა-სასახლით და ქალაქის თავზე უმტკიცესი აკროპოლისით. მდინარეთა მხრიდან ზვიადი მთები დასაკქეროდნენ მცხეთას.

ქალაქი ხალხს ვეღარ იტევდა, „გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილნი ველისანი“.

ატყდა ცემა ბუკთა, საყვირთა და ზანზალაკთა.

სასახლიდან გამობრძანდა დედოფალი ნანა და მის კვალდაკვალ - მეფე მირიან.

„და ნელად მოვიდოდა ერი და შეამკუნეს ყოველნი ფოლოცნი თვითოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა“.

მეფე-დედოფალი წინ მიუძღოდა ზღვა ხალხს.

პროცესია მთისკენ, არმაზციხისკენ მიემართებოდა.

ნინოც მიყვებოდა.

„იგი ხედვიდა საკვირველებასა მიუწვდომელსა და ენითა გამოუთქმელსა“.

არმაზის მთაზე იდგა კერპი, თვითონ არმაზი, უზარმაზარი სპილენძის ბუმბერაზი, თავზე მუზარად-ჩაბალახით, ტანზე ოქროს ჯაჭვ-საჭურველით, ხელში ელვამკრთომელი მახვილით, სახით ზვიადი და მრისხანე, კუშტ წარბთა ქვეშე - ერთი თვალი ზურმუხტის ედგა, ხოლო მეორე - ბივრილიონის.

მთელი ღამე გრიგალი, ღვარნაფშვენი, ლეშნი, სეტყვის ხრიალი და ჭექა-ქუხილი არყევდა ცას და დედამიწას;

როგორც იქნა, გათენებისას ჩადგა ქარიშხალი. ქვეყანა დაწყნარდა. ცამ პირი გადაიწმინდა.

ხალხი აღტაცებით შეხვდა მზის გამოჩენას.

მაგრამ მათი სათაყვანო კერპები უკვე აღარ იმზირებოდნენ არმაზის მთიდან.

საშინელ ქარბორბალას, ნიაღვარსა და „ლიტრის სწორ“ სეტყვას კერპები დაელეწნა, შეემუსრნა და ნამუსრევნი „შთაებნივნა კლდეთა ნაპრალთა“.

„გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოებდეს, რომლისათვის დაეცა მათ შიში და ძრწოლა“.

ატყდა მითქმა-მოთქმა; ზოგი მართლა ძრწოლა-შიშით, ზოგიც გაბოროტებით - გაიძახდნენ, რომ ეს სალოცავ-სათაყვანო კერპთა მსხვრევა დიდი ღვთის წყრომა და განუზომელი უბედურების მომტანი უნდა ყოფილიყო.

ვინ რას გაიძახდა ამ „ღვთის წყრომის“ წყაროდ! ზოგი არმაზის დამანგრევლად ქალდეველთა ღმერთს ითრუჯანს ასახელებდა.

ისეთებიც გამოჩენილან, რომლებიც მცხეთის კერპთა შემმუსვრელ ძალად იესო ქრისტეს ასახელებდნენ, ნაზარეველ ღვთაებრივ გმირს, თვით სასწაულთმოქმედ ღვთაებას, კაცობრიობის ცოდვებისთვის ჯვარცმით ვნებულს და სისხლდათხეულს, მერე მკვდრეთით აღმდგარსა და ზეცად ამაღლებულს.

ეტყობოდა, მცხეთაში ბევრი უკვე იცნობდა „ქრისტეს მოძღვრებას“ და შეფარვით კიდეც აღიარებდა მას.

მეზობელი სომხეთიდანაც ნაირნაირი ამბავი მოდიოდა. მათ არმაზს ორის მხრიდან თითო მომცრო ქანდაკნი ედგა:

მარჯვნივ - ოქროსი, სახელად გაც.

მარცხნივ - ვერცხლისა, სახელად გაიმ.

ხალხი შეუდგა ლოცვას და ზორვას კერპთა წინაშე...

დღე იყო ღრუბლიანი და უნათლო.

შუადღე გადავიდა.

საარმაზო მისტერია ჯერ არ დასრულებულიყო, რომ ზეცად ატყდა ელვა და ჭექა-ქუხილი. წვიმაც დაუშვა კოკისპირული. ელვას და ჭექას მალე სეტყვაც მოჰყვა.

ხალხი მთიდან მოწყდა და დაბლობისაკენ დაეშვა.

მოსაღამოვდა. წვიმა ქარიშხლად იქცა.

მეორე მთის ბოლოსკენ წავიდა და მივიდა იქ, სადაც აღმართული იყო მეფეთა საჩრდილობელი - ბებერი, აკაკის ჯიშის ხე, „შუენიერი, მაღალი და რტომრავალი“.

იმ ხეს მიადგა ნინო. დიდხანს ეწვალა და ზედ ნიში ამოჭრა ქრისტეს ჯვარცმის გამოხატულებით.

ექვსი დღე დადიოდა და ლოცულობდა მისგანვე ნაკვეთი ქმნილების წინაშე.

უკანასკნელ დღეს აქ მას, მუხლმოყრილსა და მხურვალედ მლოცველს, მოუსწრო სამეფო სახლეულთაგან რომელიღაც ქალმა, სახელად შროშანამ.

სეფექალმა ვინაობა ჰკითხა ნინოს.

ნინომ არ გაუმხილა თავისი წარმომავლობა და უბრალოდ უთხრა: მე ერთი უთვისტომო ტყვე ქალი ვარო. შროშანას შეებრალა და შეუჩნდა - სასახლეში წამომყევიო. ნინო უარზე დადგა.

კიდევ სამი დღე დარჩა ქრისტიანი ქალწული არმაზის ჯვარცმის წინაშე. მერე მთიდან დაეშვა, ხიდი გადმოვლო და მცხეთის სამეფო სასახლეს მიადგა.

აქ მშვენიერი წალკოტი გაშლილიყო, მრავალფერი ყვავილნარ-ბალახებით, ბუჩქნარებით და ხეებზე ახლართული ვაზებით.

წალკოტის განაპირად მებაღის მცირე სახლაკი იდგა.

ნინო იმ სახლაკს მიადგა.

სახლიდან ქალი გამოვიდა, მებაღის ცოლი, სახელად ანასტო.

ანასტო დაატყვევა უცნობი გოგონას სიმშვენიერემ და კდემამოსილებამ.

უძეო ცოლ-ქმარს უცხო ქალწული ღვიძლი შვილივით შეუყვარდა და შვილადვე შეიკედლა.

ცხრა თვე იცხოვრა ნინომ მათთან.

ნინო ანასტოსთან ერთად ბაღში დადიოდა, ყვავილებსა და ბალახებს ჰკრეფდა, ხარშავდა, რაღაც წამლებს ამზადებდა.

ანასტოსაც უსვამს ნინოს ნახარში წამალი და „სასწაულსაც“ აღარ დაუყოვნებია: მებაღის ცოლს, მანამდე უძეოს, შვილი შეეძინა.

ცადაფრენილი ცოლ-ქმარი ნინომ დაარწმუნა, უძეობით გაკურნება და ყრმის დაბადება ქრისტეს ნებით მოხდაო. მებაღესა და მის ცოლს ისღა დარჩენოდათ, ქრისტიანობა მიეღოთ, - „აღიარეს ქრისტე და დაემოწაფნეს ფარულად“.

მალე ამის შემდეგ ნინო მახლობელ ბორცვზე ავიდა.

ბორცვი მაყვლის ეკალბარდს მოეცვა.

და იმ დღესვე ნინომ ვაზის ნასხლავ რქათაგან ჯვარი გამართა, საკუთარი დალალიდან აკვეცილი თმით შეკრა და ყველაზე მაღალი მაყვლის ბუჩქის ქვეშ აღმართა.

ყოველ დღე-ღამე მოდიოდნან აქ ნინო და მებაღე ცოლ-ქმარი. მოდიოდნენ და ლოცულობდნენ, ლიტანიობდნენ ამ პირველი ვაზის ჯვრის წინაშე.

ხალხი მოდიოდა, შორიახლო დგებოდა და გაშტერებით უცქერდა უცხო რიტუალს. დრო ვიდოდა. ნინო დაუცხრომლად იღვწოდა, ავადმყოფთ მკურნალობდა, განკურნებას ქრისტეს ძალად და მადლად აცხადებდა, - „ჰყოფდა კურნებათა და საკვირველებათა ძალითა ქრისტესითა: მრავალნი განრღუეულნი განკურნნა რეცა მიზეზითა წამლისათა“.

ბევრი დაიმოწაფა და გააქრისტიანა.

მცხეთაში ახალი სჯული სწრაფად ვრცელდებოდა.

მესამე წელი მიდიოდა ნინოს მოსვლიდან.

მეფე მირიანი აქამდე მორჭმით განაგებდა ქვეყანას. ჩრდილოეთიდან ყამ-ყამად ხაზართა და ალანთა ნიაღვარს ძლევამოსილად უკუაქცევდა ხოლმე. დიდი ფარნავაზის საფლავს ძვირფასი შესამკობლებით ამკობდა და მის დიდ მამულიშვილურ საქმეებს წარმატებით განასრულებდა.

ქართველთა მეფეს დასავლეთისკენ ეჭირა თვალი - ძველი ქართულ-პონტოური მიწების შემოერთებაზე ოცნებობდა.

პირველი ცოლი რომ გარდაეცვალა, მეორე ცოლად შეერთო პონტოელი მმართველის ასული, სახელად ნანა.

პონტოურ მემკვიდრეობაზე ხელის დადება რომის ხელისუფლების გადამტერებას ნიშნავდა. ამას იბერიელი მეფე არც ერიდებოდა.

იგი წინა აზიაში პირველობას სპარსელ მბრძანებლებთან ერთად ინაწილებდა.

მაგრამ მირიანის მეფობის შუა ხანებში ერთბაშად მსოფლიო წონასწორობის სასწორი ავისმაუწყებლად შექანდა. რომის საიმპერიო ტახტზე დიდი ხელმწიფე დაბრძანდა. ეს იყო სწორედ კონსტანტინე. მის გახელმწიფებასთან დაკავშირებით, აღმოსავლეთში უცნაური ამბავი მოიჭრა: 312 წლის 28 ოქტომბერს მდინარე ტიბრზე, მულვიუსის ხიდთან, კონსტანტინე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება საომარი ძალებით ოთხჯერ უძლიერეს მეტოქეს, მაქსენციუსს. და, ბრძოლის წინ ღამეს კონსტანტინეს ჯვარი გამოეცხადა წარწერით: „ამით გაიმარჯვებ“ (ბერძ. „ტუტო ნიკა“); მეორე დღეს ბრძოლად გავიდა „ჯვაროსანი დროშით“ და მართლაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა. გამოდის, ის ვიღაც კონსტანტინე, ქრისტემ აიყვანა ტახტზე (!). კონსტანტინეს დედა, დედოფალი ელენე ხომ დიდი ხანია ქრისტიანად ყოფილა მოქცეული, ქრისტიანთა თავგამოდებული მფარველი და ეკლესიათა დაუცხრომელი მშენებელი.

მალე კონსტანტინემ, როგორც ითქვა, ახალი სატახტოც დააარსა და ქრისტიანობაც სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

კონსტანტინე აღმოსავლური პოლიტიკის თვალთახედვიდან ერთი წუთითაც არ უშვებდა ამაყ ქართველთა ქვეყანას. იცოდა, იქაურ მეფეს თვალი ქრისტიანთა მოსისხლე სპარსეთისკენ ეჭირა.

ბოლოს და ბოლოს, მირიანმა უარი ვეღარ შეჰბედა პირველი ქრისტიანი ხელმწიფის მოთხოვნას და კონსტანტინოპოლში მძევლად გაგზავნა თავისი ვაჟი ბაქარი.

ქრისტე და ქრისტიანობა!

სამასი წელი გაისმოდა მთელს ქვეყანაზე ეს ღვთაებრივი იდუმალებით აღსავსე სახელები. რომის იმპერიის გარეთაც გაიდგა ფესვები ღვთაებრივი გმირის თავგადასავალმა. კავკასიონის სანახებსაც დიდი ხანია შესდგომია ევანგელური საგალობელნი. თვით მირიანის სამშობლოში სამასი წელი დაბეჯითებით დადის ხმა შესახებ იმისა, რომ ქრისტეს კვართი, მაინცდამაინც, მცხეთის მიწაში განისვენებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფულისფული ადგილი

მაია ნინოშვილი

ავიაბილეთები საქართველოდან და მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
ფაქსი: 718-621-6846
ელ.ფოსტა: mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214

ცნობილი „სეიეს" მეღვინეობა

S+ Discount store plus

2910 Brighton 8th street
Corner of Neptune ave
in Brooklyn

საგელეფონო ბარათები ფასდაკლებით

T-Mobile cingular WESTERN UNION GIROSOL La Nacional

მკითხველის ჯუთხე

ეს ლექსები ახლახანს მივიღეთ, ავტორმა იგი მხოლოდ გასაცნობად გამოგვიგზავნა.

განვცვიფრდით... სამშობლოს სიყვარულით გამოწვეული ტკივილი... და უდიდესი ოპტიმიზმი, რომ საქართველო ისევ ჰშობს გმირებს, და გადავრჩებით!

„ის, რაც ხელნაწერებიდან შემიგროვდა, მხოლოდ ჩემი მშფოთვარე სულისა და გონების ნააზრევია: წარსულის გამოძახილით, დღევანდელობის რეალობითა და მომავლის რწმენით, გადმოტანილი ქაღალდზე ლექსად. არაფერს ვჩემობ და არც არაფრის მაქვს პრეტენზია: ყოველივე ეს ჩემი ოჯახის, მეგობრებისა და სამშობლოს სიყვარულით გამიკეთებია, შემიქმნია"-ო, გვწერს ავტორი.

მართლაც!

* * *

არაფერს ვჩემობ დაჰქრის სიონი,
დუდუნებს მტკვარი, შფოთავს რიონი,
არ ვარ აკაკი, ვაჟა, ილია,
მხოლოდ ერთია გალაქტიონი.
გთხოვთ დამერწმუნოთ, რომ მე ამ ქვეყნად,
არც არაფერზე მაქვს პრეტენზია,
თუ მოგატყუოთ, ღმერთი გამიწყრეს,
განზე გამიდგეს მე ეკლესია.
ლექსსა ვწერ, იგი სულის სითბოა,
არის ოცნება, გულის წადილი,
რწმენა, იმედი ნათელ მომავლის,
თუნდაც, წინაპრის გამოძახილი.
გასეირნების ამ მოკლე გზაზე,
ჩემი ნაღარა, ჩემი დაფია,
და წარწერილი საფლავის ქვაზე,
განვლილ ცხოვრების ეპიტაფია.

* * *

ამ ჩემს ქვეყანას ეს რა სჭირს,
რად არ სცილდება ჭირიო,
გული მიკვდება დარდისგან,
ცხარეს ცრემლითა ვტირიო.
ჩამოჭრილი აქვს მარჯვენი,
დაობლდა გუდა-სტვირიო,
ღმერთო ხომ უნდა გვაკმარო,
ამდენი გასაჭირიო.
აღარსით არ ჩანს საშველი,
ხეს გასჩენია კილიო,
ეჰ... თითქოს დიდსაც და პატარას,
ერთად შეუკრავთ პირიო.

* * *

უპატრონო ეკლესიას
ყვავი დაპატრონებია,
ხალხი ცხვრის ფარად ქცეულა
და მომრავლდნენ ყორნებია,
ცხვრის ფარაში ეს რამდენი
კოჭლი ცხვარი გვყოლებია.
უმეცარნი წარმოჩინდნენ,
სულით არას მქონებია,
სულ სჯივჯგნიან ყოველივეს
ორბები თუ ქორებია,
მზეც ჯეროვნად ვერ ანათებს,
ფარავს დათვის ტორებია,
სიკეთის გზა არსად არ სჩანს,
ბოროტების მორევია,
ირგვლივ ენის ტარტალი და
უსასრულო ჭორებია,
მომავალი ჩაკლულია,
ნათელს ბნელი მორევია,
მიეშველეთ ეკლესიას
ყვავი დაპატრონებია!!!

* * *

მოწმენდილ ცაზე ცისარტყელა ლაღად ანათებს,
და არემარეს ნაზად სწვდება მისი ფერები,
რა შეედრება კავკასიონის ამაყ, მაღალ მთებს,
მე საქართველოვ შენზე ვფიქრობ, შენ გეფერები!
ერთი ხანძთელი, ერთი რუსთველი,
ჩემო ქვეყანავ კვლავ გაგეჩინოს,
შენებითა და სულიერებით
შთამომავლობა გადაგერჩინოს.
მამულისათვის თავის გაწირვა,
რეალობაა, არ არის მითი,
წინაპრისაგან ოდითგან მოგვდევს,
დღეს უნდა იყოს ეს მაგალითი.
დიდმა გიორგი საკაძემაც,
თავის სისხლის და მარჯვენის გარდა,
ქვეყნის დიდების გადასარჩენად
განა არ მისცა ურჯულოთ პაატა?
თუნდ ქეთევანის წმინდა სხეული,
და მოფარფატე ნარნარი სული,
გააცამტვერეს, დანაკუწეს,
არ შეიცვალა არაფრით რჯული.
გვინდა კვლავ ცხრა ძმა ხერხეულისძე,
ირგვლივ შემუსრონ მათ მინდორ-ველი,
გვინდა თევდორე, ცოტნე, დემეტრე,
სამასი მოჰყვეს მას არაგველი.
ქართველნო! ფეხზე მედგრად დადექით,
სულს ნუ მიჰყიდით განცხრომით ეშმაკს,
განგებასა ვთხოვ ერთი დავითი,
ანდა თამარი ერთხელაც ეშვას.
ჩვენი მომავლის გადასარჩენად,
ყველამ შეჰკარით ძალი და ღონი,
მამულს ერთხელაც კიდევ სჭირდება,
ბასიანი და ერთი დიდგორი.
დრო გადის, ცაზე ცისარტყელა ნელ-ნელა ქრება,
ცის ლაჟვარდებში იფანტება მისი ფერები,
განკითხვის ჟამი არასოდეს არ დაგიდგება,
ჩემო ქვეყანავ, შენზე ვლოცულობ, შენ გეფერები.

გია ბოჭორიშვილი

გაიხსნა საძარცვლის საკონსულო ნუ იორკში!

144 East 44th, 5th Floor
Corner of Lexington ave
New York, NY 10017

212-867-3617
212-867-3272



ექიმი ბორის პიკმანი
20-წლიანი სამედიცინო
გამოცდილებით სიხარულით
ამცნობს საზოგადოებას ახალი
კბილის კლინიკის გახსნას

DENTAL OFFICE

205 Avenue U
Brooklyn, NY 11223

- სეფერის ჯოსმეტიკა;
- კბილის ვლომბი;
- გვირგვინები, ხიდები, ვრეცხლები;
- ღრძილის მკურნალობა;
- გათეთრება

* ვლებულობთ დაზღვევას
** ვმკურნალობთ ბავშვებსაც

ნინასწარი ჩანერა:
718-449-2607

საღამოს საათებშიც
და შაბათ-კვირას

EAI Consulting&Training

Empire state Bldg, Suite 1701
350 5th ave, NY, NY 10118

გიწვევთ უფასო განათლების მისაღებად (პირობების გათვალისწინებით)

✓ სამედიცინო კურსები -
✓ ინგლისური ენის შესწავლა - Business English;
✓ ოფისის ადმინისტრაცია - Office Admin/mos;
✓ ბროკერი ფინანსისტი - Financial Licenses (series 7/63/66);
✓ ბიზნეს ბუღალტერია - Business Accounting;
✓ სამედიცინო ბილინგი - Medical Billing;
✓ ყველა სახის კომპიუტერული სწავლება.
დაგეხმარებით სამსახურის მოძებნაში (PCA, HHA)

დაგვიკავშირდით:
212-268-8909 Ext 109, Dr. MAIA

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი დონისა და ასაკის მსურველებს

ლელა
718-784-1337

ჩვენს **ჟანა ეფრემიძეს** დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერებას, კარსმომდგარ ტკბილ ბებიობას ვუსურვებთ.

მეგობრები

მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის უახლესი და ყველაზე შედეგიანი მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!

ეჭიმ ჯერაჯ ბოდერი

VEIN & LASER CENTER

მსხვილი ვარიკოზული ვენების ლაზერულ ცენტრში ვიყენებთ ყველაზე ეფექტურ, უახლეს მსოფლიო კლასის ტექნოლოგიას და მკურნალობის მეთოდებს, ვატარებთ კომპლექსურ მკურნალობას უკანასკნელი თაობის ლაზერის საშუალებით.

- მიკროქირურგია ულტრაბგერის გამოყენებით;
- თანამედროვე სკლეროთერაპია.
- პროცედურის ხანგრძლივობა – 30-90 წუთი
- პროცედურის დროს შემოგთავაზებთ კინოფილმების ნახვას

პროცედურის შემდეგ შეიძლება სახლში ან სამსახურში წასვლა 10 წუთში.

მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობა საჭიროა დროულად, ვიდრე არ წარმოიქმნა:

ყავისფერი ლაქები კანზე; ფეხის კანის გამსხვილება და შემჭიდროება; სისხლდენა დაზიანებული ვენებიდან; წყლულები;

იმკურნალეთ, ვიდრე არ გახდა განუკურნავი!

წვრილ ვარიკოზულ კაპილარებს „ქსელებს" წარმატებით განვკურნავთ ლაზერით და სკლეროტირებით. მსხვილი და წვრილი ვარიკოზული ვენების ამ მეთოდით მკურნალობას ანაზღაურებს უმეტესი სადაზღვევო კომპანია.

ეჭიმი მერაბ ბოდერი - ქირურგი, 35 წლიანი მუშაობის გამოცდილებით ყოფილ სსრკ-სა და აშშ-ში. ქირურგიის ამერიკული საბჭოს დიპლომირებული. აბრეთვე ატარებს თიაქარის, ბუასილის, სწორი ნაწლავის დაავადებების და კანის წარმონაქმნების ოპერაციებს.

660 92nd Street, Bay Ridge, Brooklyn, NY 11228
(კონსულტაცია, გამოკვლევა და მკურნალობა)
102-51 Queens Blvd, Forest Hills, Queens, NY 11375
(კონსულტაცია და გამოკვლევა); **1-718-238-1555**

ესაუბრობთ ქართულად!



თითოეული DVD-ის ღირებულებაა 20$, საფოსტო მომსახურეობა ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 5$, უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი DVD-ის უჯრედი, ფურცელზე მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი, მისამართი, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი და გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

Gela SACHALELI
3405 Kings Hwy, Apt 3C
Brooklyn, NY 11234

ვულოცავთ

პატარა ვაჟკაცის - **ლეონარდოს** დაბადებას ვულოცავთ რესტორან „თამადის" კოლორიტს **ნუგზარ ძნელაძესა** და **ქეთევან თორაძეს.**

სასახელო მოქალაქედ, და რაც მთავარია ჭეშმარიტ ქართველად აღზრდას ვუსურვებთ.

გაზეთ „მამულის" რედაქცია

გაცნობებები

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

შემოწირულობა „მამულის" არსებობისთვის

☐ სურვილი მაქვს გაზეთ „მამულის" არსებობისათვის გავიღო ——— დოლარი.

_____
(თქვენი სახელი და გვარი)

_____
(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

_____
(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

უახლოეს ხანში შეიქმნება „მამულის" საგამომცემლო საბჭო 10-კაციანი შემადგენლობით, რომელთა საწევრო გადასახადით გამოვა გაზეთის თითოეული ნომერი. მსურველებმა დაუკავშირდით საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგ ნომერზე: 908-910-3639

იყიდება ჩეხური პროექტის 4-ოთახიანი ბინა თემქის დასახლებაში და 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი კაკლებში (ბაგებსა და წყნეთს შორის), ზურაბ წერეთლის სახელოსნოსთან ახლოს. დამიკავშირდით: თბილისში 64-64-68, (877)78-97-74; (893) 17-95-46 იკითხეთ სვეტა, ამერიკაში (917)407-2023

იყიდება 220კვ.მ. საცხოვრებელი ბინა ძმები ზუბალაშვილების N4-ში მე-3 სართულზე, და 160კვ.მ. საცხოვრებელი ბინა პავლოვოს ქუჩაზე.
დარეკეთ: 99-53-01
8(99)95-96-46 თათია
8(99)16-20-61 სოფია

იმგზავრეთ ჩვენთან ერთად

PANORAMA TRAVEL

ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელია: Georgian Airways

ორი გზა: ნიუ-იორკი-თბილისი 400 $-დან + Tax

MANHATTAN
156 Fifth Avenue, Suite 934, New York, NY 10010, USA
(212) 741-0033

ვსაუბრობთ ქართულად

BROOKLYN
1035 Brighton Beach Ave. Office #2, Brooklyn, N Y
11235, USA (718) 615-0088
www.panoramatravel.com

GIFTS.GE

საჩუქრების ინტერნეტ-მაღაზია

კომპანია NovaCom წარმოგიდგენთ საჩუქრების ინტერნეტ მაღაზიას Gifts.ge

გსურთ გაახაროთ თქვენთვის ძვირფასი ადამიანები, რომლებიც ამჟამად თქვენგან შორს, საქართველოში იმყოფებიან? ამისთვის საჭიროა ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს www.gifts.ge, სადაც მაღალხარისხიანი პროდუქციის ფართო არჩევანია წარმოდგენილი: ყვავილები, სუვენირები, სასმელები, ნამცხვრები, ტკბილეული, წიგნები, საათები, კომპიუტერები, აუდიო-ვიდეო და კიდევ უამრავი სხვა პროდუქტი. სასურველი საჩუქრის შერჩევის შემდეგ, მიუთითეთ საჩუქრის მიმღების მისამართი, ხოლო კურიერი დათქმულ დროსა და ადგილას მოახდენს გზავნილის მიწოდებას.

ასევე გთავაზობთ უნიკალურ სერვისს „შეინახე ემოცია", რომელიც სასიამოვნო აღმოჩენა იქნება საზღვარგარეთ მყოფი ქართველებისთვის. სურვილის შემთხვევაში პროფესიონალი ფოტოგრაფი, ფოტო ან ვიდეო ფირზე დაფიქსირებს ადრესატის ემოციებს საჩუქრის გადაცემის პროცესში, ხოლო გადაღებული მასალა უმოკლეს დროში გადმოიგზავნება თქვენთან ელ.ფოსტის საშუალებით. თქვენ ჩუქნით საჩუქარს - ჩვენ ვაფიქსირებთ ემოციას.

გაზეთ „მამულის" მკითხველებისათვის 10% ფასდაკლებაა. ნებისმიერი მომსახურების შეკვეთისას სპეციალურ ფასდაკლების გრაფაში მიუთითეთ სიტყვა-კოდი: mamuli

WESTERN UNION VISA MasterCard

„მამულის" დისკზე და კასეტაზე



DVD-ის ან ვიდეოკასეტის ღირებულებაა 15$, საფოსტო მომსახურეობა ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 5$, ბინაზე მიღების მსურველებმა ფურცელზე უნდა დაწეროთ თქვენი სახელი და გვარი, მისამართი და ტელეფონი, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი „მანუჩარ კაჭახიძის" სახელზე და გამოგზავნოთ: **MAMULI, P.O. Box 13121. Jersey City, NJ 07303**

ქვეყნის ეკონომიურმა გაჭირვებამ ქართველები სამშობლოდან შორს, 9 ათასი კილომეტრისა თუ 9 სასაათო სარტყელის მოშორებით გადაისროლა. ღვთისანაბარად მიტოვებულებს სამშობლოსთან უხილავ ძაფებად ერთადერთი ქართული გაზეთი „მამული" მოევლინათ. გაზეთისადმი სიყვარულის გამოცხადების ლამაზი დასტურია ეს საღამოც...

ტკივილი

მალხაზ იათაშვილის ხსოვნას

უბედურად გათენდა 16 თებერვალი ჩვენთვის და განუსაზღვრელი ტკივილი დაგვიტოვა გულში. ყველასათვის საყვარელმა მახომ უდროოდ დაიდო ბინა სამუდამო სასუფეველში - ცხოვრებაზე, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული 36 წლის ვაჟკაცი ველარასდროს გაგვიღიმებს თავისი განუმეორებელი ღიმილით.

სამშობლო ენატრებოდა და საქართველოდან 5 დღის დაბრუნებული ისევ მშობელ ქვეყანას უბრუნდება, ამჯერად სამუდამოდ.

ვერაფერი შეავსებს უმისობით გაჩენილ სიცარიელეს. ყველას მოაკლდა მისი სითბო და სიყვარული. მძიმეა დაჯერება, რომ აუხდენელმა ოცნებებმა, მიზნებმა და იმედებმა მხოლოდ მის ტანჯულ გულში დაიდო ბინა. მშობლიურ კერას მოწყვეტილი თავისი პატარა ოჯახის შექმნაზე ნატრობდა, უნდოდა ყველაფერი ლამაზად და ღირსეულად გაეკეთებინა, ისე როგორც ნამდვილ ქართველ მამაკაცს შეჰშვენის.

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იჰქმნების" -უთქვამს დიდ რუსთველს. მართლაც ასე, ყოველი ადამიანის ცხოვრება ბედისწერით არის განსაზღვრული, და ჩვენც ამით ვიმშვიდებთ თავს.

თავადაც მორჩილი ქრისტიანი ყველაფერს ღვთის ნებას მიაწერდა.

ხშირად ნახავდით ნიუ იორკის წმიდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ ეკლესიაში მხურვალედ მლოცველ ყმაწვილს და მასში აუცილებლად მახოს ამოიცნობდით.

ყველას გვიჭირს ემიგრაციაში ცხოვრება - ოჯახს, ახლობლებს, სამშობლოს მოკლებული ქართველები ხშირად ვვარდებით სასოწარკვეთილებაში, არც მახო იყო გამონაკლისი... თუმცა თავის გასაჭირს სხვას არასოდეს მოახვევდა, ხანდახან მიიწყენდა, ჩაფიქრდებოდა, მაგრამ დაგინახავდა თუ არა, სახე გაებადრებოდა, წრფელი ღიმილით გაგიღიმებდა.

მომავლის იმედი არ დაუკარგავს - მებრძოლი, ბობოქარი სულის პატრონი იყო და ფარ-ხმალი არასდროს დაუყრია, წინ იცქირებოდა და ნათელ მომავალს შეჰნატროდა.

ყველას დაგვწყვიტა გული, ვლოცულობთ მისთვის, ვუნთებთ სანთლებს და ღმერთს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს მალხაზ იათაშვილის ლამაზი სული, იქ სადაც მართალნი განისვენებენ.

საყვარელი ადამიანებისგან:

დოდო, ეკა, მაკა, პაატა, ნაზი, ნელი, მზია, თემური, ელიკო, გია, ირაკლი, ნატო, ვაჟა.

გოგი მორალიშვილის ხსოვნას

მისი სიცოცხლე მარადიულობას გაჰყვა, მაგრამ დარჩა ხსოვნა, რომელიც არასოდეს დაბერდება და სიყვარული, რომელიც არასოდეს მოკვდება.

წავიდა ჩვენგან დიდი ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, საქართველოზე მეოცნებე ადამიანი.

მისი ცხოვრების გზა მეტად უცნაური იყო; სრულიად ახალგაზრდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს და დიდი სამამულო ომიც დაიწყო. სიზმარივით გაქრა ჭაბუკობის წლები. ომი კი დამთავრდა, მაგრამ მისთვის დაიწყო ემიგრაციის უმძიმესი დრო. როგორც ბევრ მისნაირს, მასაც არ შეეძლო ეფიქრა სამშობლოში დაბრუნებაზე, რადგან მაშინდელი რეჟიმი ღალატად უთვლიდა იმას, რომ მისი ცხოვრება ასე უცნაურად აეწყო.

რომელი სამშობლოს ღალატი?! წამი არ იყო თავის ქვეყანაზე არ ეფიქრა, თავის სამშობლოზე, თავის თერჯოლაზე, იმერეთზე...

17 წელი - ბავშვობის და ყმაწვილკაცობის წლები, იქ საოცნებო საქართველოში, მთელი ცხოვრება აქ ამერიკაში, ამ უზარმაზარ ქვეყანაში! თუმცა მის გულში ყოველთვის ენთო უზარმაზარი ცეცხლი ადამიანობის, ქართველობის.

„დიდი ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან", - გვახსენდება ეს ფრაზა ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაციდან". მისი ცხოვრება მართლაც იყო ხელთუქმნელი ძეგლი. ამ ძეგლთან მარადიულ ცეცხლად დაენთება პატივისცემა და მარადიული მოგონება ყველა ჩვენთაგანის, ვისაც ოდესმე გვქონია ბედნიერება, რომ შევხვედროდით და გავცნობოდით გოგი მორალიშვილს, რომელიც ყველას გვიღებდა თავის გულისა და სახლის კარებს, ყველას გვიკვალავდა გზას გაუცხოებულ უცხოეთში.

ნანა ბაზღაძე, მაია მაკარიძე, დარეჯან გოგოლაძე, ლუბა სულაბერიძე, ეთერ დადუნაშვილი, ნანა ტატიაშვილი, ირინა კილასონია, ქეთინო ჟიჟოძე, ნათია ბარათაშვილი, ეთერ ფერეთელი.

გაზეთ „მამულის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება ძველი თაობის ქართველი ემიგრანტის **გიორგი მორალიშვილის** სულის გადასვლას ზეციურ საქართველოში

მეგობრების სახელით მანუჩარ კაჭახიძე თანაუგრძნობს ნაირა ხუციშვილს უდიდეს მწუხარებაში დედის **ციალა ხუციშვილის** გარდაცვალების გამო.

ასავალ დასავალის ვერსიებით



მამული

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770
თბილისიდან: 420-320

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE